Негативные последствия интенсивного воздействия человека на окружающую природную среду в большой мере сказываются на условиях общественного производства и на состоянии здоровья людей нашей планеты. Поэтому экологические процессы, проходившие ранее независимо от познания общества, превращаются ныне в объекты сознательного общественного воздействия, т. е. возникает, как выше отмечалось, необходимость целенаправленного вмешательства в процессы взаимодействия подсистем природы и общества с целью их регулирования.

При таком вмешательстве в основном надо решать проблемы трех категорий.

Первая категория проблем связана с определением источника удовлетворения растущих потребностей общества в природных благах (в энергии, сырье, продовольствии и т. д.). Решение таких проблем в основном заключается в осуществлении мероприятий поисков и разведки полезных ископаемых, освоении новых земель и повышении плодородия используемых, культивировании растений и животных, переломе речных стоков, сборе вторичных ресурсов и т. п.

Проблемы второй категории связаны с определением мест отходов производства и потребления, нейтрализацией вредных воздействий

загрязнений на человечество и полным избавлением от загрязнений окружающей среды. Решение этих проблем требует осуществления мер, включающих в себя очистку производственно-бытовых стоков и отходящих газов, создание и внедрение замкнутых циклов производства и безотходной технологии, наиболее комплексное использование извлекаемого из природной кладовой сырья, создание звукопоглощающих устройств и т. д.

И, наконец, третья категория проблем, связанная с сохранением динамичного равновесия в природе, — в ее отдельных комплексах, ландшафтах. Решение этих проблем в какой-то степени зависит от решения вышерассмотренных двух. Однако существуют и специальные виды деятельности, непосредственно способствующие решению проблем третьей категории. Они заключаются в уходе за естественными лесами и их охране, создании заповедников и заказников, проведении противоэрозионных мероприятий, гидротехнического строительства, направленного на охрану водных источников, и т. д.

Следует отметить, что хотя вышерассмотренные проблемы различные и заключают в себе осуществление разнообразных мер, но их экономическая сущность все-таки одна и та же — воспроизводство природных богатств и воссоздание естественной базы жизнедеятельности общества. Однако надо добавить, что одни мероприятия (очистка сточных вод, создание противодумовых установок и т. д.) обеспечивают сохранение нужной естественной базы в неизменных, прежних масштабах, а другие (освоение целинных земель, повышение плодородия сельскохозяйственных угодий и т. д.) — в расширенных.

Возможности решения вышеупомянутых проблем заложены прежде всего в самой природе, но их познание и использование зависят от желаний, знаний и квалификации соответственно общества и специалистов разных отраслей науки и практики.

Существенные изменения в природе происходят намного медленнее, чем в общественной жизни. При этом роль человека в таком изменении очень низка. Все это вызывает возникновение и развитие отрицательных явлений и диспропорций в системе «природа—общество», хотя они сказываются не сразу, а спустя многие годы и десятилетия. После возникновения таких нежелательных явлений принимаемые меры нередко оказываются запоздалыми, дорогостоящими, а иногда безрезультатными. Следовательно, бесспорно, что в таких случаях требуется принять меры заранее, намного раньше, чем наступит момент возникновения отрицательных явлений. Все это возможно лишь с помощью заблаговременного предвидения ожидаемых последствий общественного воздействия на окружающую природную среду и целенаправленного регулирования процессов (в т. ч. экономических) природопользования. Причем предвидение и регулирование отмеченных процессов должно опираться на результаты широких и тщательных научно-исследовательских и экспериментальных работ.

Из сказанного очевидно, что на современном этапе развития общества возникает необходимость не только составления долгосрочных комплексных планов целенаправленного регулирования процессов взаимодействия природы и общества, но и их практической реализации.

Природное богатство в своей натуральной форме является трудно воссоздаваемым, хотя оно ограничено и подвергается опасности истощения. Поэтому главная цель регулирования процессов, проходящих в системе «природа—общество», заключается в предусмотрении разумного, экономного расходования традиционных природных богатств, в их охране и восстановлении (в смысле восстановления их первона-

чальных природных свойств). Эта цель в основании сводится к обеспечению воспроизводства естественной жизненной среды и предполагает разные пути ее достижения.

Регулирование процессов, проходящих в системе «природа—общество», проведенное на научном уровне, должно опираться, прежде всего, на познание закономерностей и тенденций взаимодействия природы и общества, среди которых наиболее характерными являются следующие:

а) неуклонное повышение интенсивности, мощности, многообразия форм, масштабов и широты охвата воздействия общества на окружающую природную среду, т. е. возрастание роли антропогенного фактора во взаимодействии природы и общества;

б) заметное изменение в соотношении основных форм взаимодействия природы и общества (процессы использования природных сил и веществ характеризуются намного большими масштабами и темпами, чем процессы преобразования природных комплексов и особенно — возобновления потребных, естественных благ);

в) существенные изменения в соотношении между сознательно регулируемыми и стихийно происходящими процессами природы (в настоящее время становится заметным процесс вытеснения случайных, стихийных, разрозненных, локальных усилий по охране среды и преобразованию ее в комплексе с крупномасштабными, регулируемыми направлениями воздействия);

г) радикально новый подход к использованию природных благ. (Принцип — «используй то, что дала природа» — заменяется существенно новым принципом — «потребляй, воспроизводи, создавай нормальные естественные условия жизнедеятельности»);

д) необходимость пропорциональности между потреблением природных ресурсов и их воссозданием.

При составлении плана регулирования процессов взаимодействия природы и общества особое значение имеет метод системного подхода, так как во время разработки такого плана приходится решать вопросы комплексного экономико-экологического характера и обеспечивать интересы системы «природа—общество» в целом. Поэтому при его составлении надо применять не только традиционные методы (например, балансовый, нормативный, статистический и т. д.), но и современное (экономико-математические, эвристические и т. п.).

План регулирования процессов взаимодействия природы и общества характеризуется многовариантностью, т. е. в определенных условиях возможно составление не единственного, а множества вариантов такого плана. Естественно, что среди этих вариантов полное предпочтение дается наилучшему по какой-то цели. Он называется оптимальным планом регулирования процессов, протекающих в системе «природа—общество», а процесс составления такого оптимального плана — оптимизацией плана регулирования.

Из сказанного следует, что оптимальное регулирование процессов, протекающих в системе «природа—общество», является важнейшим инструментом совершенствования сферы взаимодействия природы и общества и поскольку такое совершенствование, прежде всего, основано на целенаправленных действиях, оптимальное регулирование современных процессов, присущих системе «природа—общество», представляет собой один из важных моментов целенаправленного регулирования взаимодействия природы и общества.

Оптимальный план регулирования процессов взаимодействия природы и общества должен охватывать все их многообразие, т. е. в пла-

не необходимо отражать физические, биологические, химические, социальные, экономические и другие стороны этих процессов. Однако, среди них интерес прежде всего вызывают экономические стороны, ибо они соответствуют главной цели исследования данной работы. В связи с этим представляется целесообразным выделить место оптимизации экономических процессов природопользования в системе целенаправленного регулирования взаимодействия природы и общества.

В оптимальном плане целенаправленного регулирования процессов взаимодействия природы и общества экономические показатели должны пронизывать и соответствующим образом отражать все основные стороны (физические, химические, биологические, социологические, экономические и т. д.) рассматриваемых процессов. Отсюда следует, что при составлении вышеупомянутого плана экономические процессы природопользования выступают в качестве координатора всех рассматриваемых процессов взаимодействия природы и общества.

Из всего вышесказанного можно сделать вывод, что оптимизация экономических процессов природопользования является важным элементом в системе целенаправленного регулирования взаимодействия природы и общества.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა
აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ბუნებათსარგებლობის ეკონო-
მიკის განყოფილებამ

რამაზ აბუსაძე

საპარტოველოს ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების
პერსპექტივები

ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს, რასაც ემყარება დღევანდელი კაცობრიობის არსებობა, მისი შრომითი საქმიანობა, საზოგადოებრივი პროგრესი, თანამედროვე წარმოების განვითარების ტემპები, წარმოადგენს ენერგეტიკა. სწორედ ენერგეტიკის განვითარების დონე განსაზღვრავს უმნიშვნელოვანესწილად საზოგადოების წარმოებრივ შესაძლებლობებს. მტკიცე ენერგეტიკული ბაზა ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის აუცილებელი პირობაა.

საქართველოს ენერგეტიკა ხასიათდება რიგი თავისებურებებით, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ არა მხოლოდ საკუთრივ ენერგეტიკის, არამედ მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე.

რესპუბლიკა ღარიბია საკუთარი სათბობი რესურსებით, მის ფარგლებს გარედან შემოდის მოხმარებული გაზის თითქმის მთელი რაოდენობა, ქვანახშირის ნახევარი და ნავთობის 90 პროცენტი;

საკუთარი სათბობის უქონლობა და საქართველოს ელექტროენერგეტიკის (განსაკუთრებით თბოელექტროსადგურების) არასაკმარის დონით განვითარება განაპირობებს იმას, რომ რესპუბლიკის ელექტრობალანსი წლების განმავლობაში დეფიციტურია და დეფიციტი თანდათან იზრდება. მაგალითად, ელექტროენერჯის დეფიციტმა 1985 წელს შეადგინა 20,8; ხოლო 1990 წელს— 14,0 პროცენტი. მოსალოდნელია გართულებული პოლიტიკური სიტუაციის პირობებში, ეს დეფიციტი კიდევ უფრო გაიზარდოს;

ეკოლოგიური სიტუაციის გამწვავების გამო ფაქტიურად შეჩერებულია რესპუბლიკის მდიდარი ჰიდროენერგორესურსების ათვისება, რაც ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა;

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ცალკეულ ენერგეტიკულ წარმოებში: დაბალრენტაბელურია ნავთობის მოპოვება, რომელიც ამჟამად ვერ უზრუნველყოფს მთელი დარგის (გეოლოგიურ-საძიებო და სხვა სამუშაოების ჩათვლით) მუშაობას თვითდაფინანსების პირობებში. დაბალრენტაბელურია აგრეთვე ქვანახშირის წარმოებაც, ქვანახშირის მარაგები ძირითად საბადოებზე ილევა, მცირდება მოპოვების მოცულობა, უარესდება ხარისხობრივი მაჩვენებლები, მოპოვების ტექნოლოგია სრულებით არ შეესაბამება დღევანდელ პირობებს; დიდი ხანის მორალურად და ფიზიკურად მოძველებული მოწყობილობები მუშაობს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებში, რის გამოც აქ წარმოება მინიმუმამდეა შემცირებული და შექმნილია დაძაბული ეკოლოგიური სიტუაცია; მორალურად მოძველებულია თბილისის თბოელექტროცენტრალი და ტყვარჩელის სახელმწიფო-რაიონული ელექტროსადგური, რეკონსტრუქციას საჭიროებს საქართველოს ჰიდროელექტროსა-

დგურთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, რეკონსტრუქციას მოითხოვს აგრეთვე რესპუბლიკის ელექტროქსელის მნიშვნელოვანი ნაწილი და სხვ.

ამასთანავე საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის შემდგომი ზრდისათვის მოითხოვება ელექტროენერჯის გამომუშავების შემდგომი სწრაფი ზრდა. ეს განპირობებულია უწინარესყოვლისა იმით, რომ ამჟამად ელექტროენერჯის გამოყენების დონე, რესპუბლიკის როგორც სახალხო მეურნეობაში, ისე ყოფა-ცხოვრებაში ძლიერ დაბალია (ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერჯის მოხმარება საქართველოში შეადგენს აშშ-ის ანალოგიური მაჩვენებლის დაახლოებით 30%-ს). განსაკუთრებით დაბალია ელექტროენერჯის გამოყენების დონე სოფლის მეურნეობაში. მომავალში შრომის ნაყოფიერების კარდინალური ამაღლება შეუძლებელია ელექტროენერჯის ფართოდ დანერგვის გარეშე ტექნოლოგიურ პროცესებში, სადაც ელექტროენერჯია გამოდის არა მხოლოდ როგორც ენერჯის მატარებელი, არამედ როგორც განსაკუთრებული სახის შრომის იარაღი. მაშასადამე პროდუქციის საერთო ენერგოტევდობის შემცირებასთან ერთად, განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, სანამ არ დასრულდება ტექნოლოგიური პროცესების ელექტროენერჯით გაჯერების პოცესი, პროდუქციის ელექტროტევადობა უნდა გაიზარდოს.

ასეთ პირობებში საქართველოს სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისას გეზი აღებული უნდა იქნეს საკუთარი ენერგორესურსების მაქსიმალური და ამასთანავე რაციონალური გამოყენებისაკენ, რისთვისაც უწინარეს ყოვლისა უნდა განხორციელდეს:

ენერგოდამზოგი პოლიტიკის უმკაცრესი გატარება, სადაც ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებებთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს პრინციპულად ახალი ენერგოდამზოგი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას (უნარჩენო ტექნოლოგია, ბიოტექნოლოგია და სხვ.) ამისათვის სისტემატურად უნდა ხორციელდებოდეს პრიორიტეტულ მიმართულებათა დასაბუთება და დანერგვა, აღნიშნულ სფეროში, საზღვარგარეთ არსებულ უახლეს მიღწევათა გამოყენებაზე დაყრდნობით. მიზანშეწონილია კონკრეტულ შემთხვევაში, არსებული სახსრები მიმართულ იქნეს ასეთი ღონისძიებების განსახორციელებლად, ნაცვლად ელექტროსადგურების მშენებლობისა. საჭიროა შეიქმნას შესაბამისი ეკონომიკური ბერკეტები; ახალ მიმართულებათა ყოველმხრივი სტიმულირების უზრუნველსაყოფად;

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სტრუქტურის სრულყოფა ენერგეტიკული ფაქტორის გათვალისწინებით, იმ დარგების უპირატესი განვითარების საფუძველზე, რომელთათვისაც რესპუბლიკაში არსებობს ბუნებრივი ხელსაყრელი პირობები (სოფლის მეურნეობა, მრეწველობის არაენერგოტევალი დარგები და სხვ.);

აღდგენადი ენერგორესურსების მაქსიმალური გამოყენება, განსაკუთრებით მდიდარი ჰიდროენერგორესურსების გამოყენება. სასწრაფოდ უნდა დაიწყოს მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობა. საქართველოს ჰიდროენერგორესურსების ათვისების დონე დაუშვებლად დაბალია და არ აღემატება 10%-ს, მაშინ როდესაც იაპონიაში ეს მაჩვენებელი უკვე აღემატება 60%-ს.

ნებელი ტოლია — 65, იტალიაში — 70, შვეციაში — 82,5. საფრანგეთში — 89,5, შვეიცარიაში — 90%-ის და ა. შ. წყალსაცავიან ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დროს, რათა ადგილი არ ქონდეს მშენებლობის რაიონებში მცხოვრები მოსახლეობის წინააღმდეგობას, საჭიროა საყოფაცხოვრებო და ეკოლოგიური ხასიათის ზიანის მინიმუმამდე შემცირების მიზნით ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ჯამური სააღრიცხვო ღირებულების განსაზღვრის დროს გათვალისწინებული იქნეს შესაბამისი თანხები, როგორც ეს ხდება უცხოეთში, სადაც აღნიშნული თანხები შეადგენს ენერგეტიკული ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 10%-ს, მწვავე ენერგეტიკული პრობლემის გადაჭრისათვის აუცილებელია წავიდეთ ზოგიერთ ეკოლოგიურ დათმობაზე, თუმცა არა ისეთზე, რომელსაც შეიძლება რესპუბლიკისათვის გლობალური ხასიათის უარყოფითი შედეგები მოჰყვეს;

უფრო სერიოზული ნაბიჯები უნდა გადაიდგას ენერგეტიკული მიზნებისათვის თერმული წყლებისა და მზის და ქარის ენერჯის ათვისების მიმართულებით. სერიოზული მუშაობა უნდა წარიმართოს აგრეთვე ბიოენერგეტიკის შექმნისა და განვითარებისათვის;

საქართველოში საბაზისო და პიკურ სიმძლავრეთა შორის წონასწორობის დარღვევის აღსადგენად თბოელექტროსადგურთა მშენებლობის დაჩქარება;

გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების ეფექტიანობის კარდინალური ამაღლება ნავთობომპოვებელ და ქვანახშირის მრეწველობაში, რაც საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად შევამციროთ დანახარჯები ამ სამუშაოებზე და უზრუნველყოთ აღნიშნული დარგების გადასვლა თვითდაფინანსებაზე; ახალი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის უმაღლეს ხარისხს და ეკოლოგიურ სისუფთავეს;

მორლურად და ფიზიკურად მოძველებულ ენერგომოწყობილობათა რეკონსტრუქცია, მათ შორის უპირველეს ყოვლისა რესპუბლიკის ელექტროქსელებისა, რაც საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ ელექტროენერჯის გამომუშავება და შევამციროთ მისი დანაკარგები გადაცემის დროს;

ენერგეტიკულ საწარმოთა სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა. საჭიროა მეტრ დამოუკიდებლობა მიენიჭოს ცალკეულ ელექტროსადგურებს. რაც შეეხება პრივატიზაციას, ახლანდელ პირობებში არსებულ ენერგოსაწარმოთა პრივატიზაცია მიზანშეწონილია, რადგანაც ეს გამოიწვევდა ფასების მკვეთრ ზრდას და საერთოდ ენერჯით სახალხო მეურნეობის მომარაგების მოშლას. ხოლო რაც შეეხება ახალი ენერგეტიკული საწარმოების მშენებლობას (განსაკუთრებით მცირე) იგი შეიძლება განხორციელდეს კერძო სექტორშიდაც. შემდეგ კი კონკურენცია გამოავლენს თუ რომელი ფორმით განვითარდება უპირატესად ენერგეტიკა.

დღეისათვის ენერგეტიკაში კარზეა მიმდგარი მრავალი ისეთი სიახლე, რომელთა გადაწყვეტა ძირეულად შეცვლის მოთხოვნილებას ენერგეტიკისადმი და მაშასადამე მისი განვითარებისადმი;

ენერჯის მიღების პერსპექტიული მეთოდია ტექნოლოგიური ბიოენერგეტიკა-ფოტოსინთეზის დროს დაგროვილი ენერჯის გამოყენება. უკვე თეორიული დამუშავების დონეზე იმყოფება მზის ენერჯის უშუალოდ ელექ-

ასეთი ღონისძიების გატარების გარეშე არც ერთ სამეცნიერო დაწესებულებას, არც თვით სახელმწიფოს, მითუმეტეს ცალკეულ მეცნიერმუშაკს, არ შეუძლია შეიმუშაოს ენერგეტიკის განვითარების სრულყოფილი პროგრამა.

უახლოეს პერსპექტივაში საქართველოს ენერგოსისტემაში ზამთრის პერიოდში იმ შემთხვევაშიც კი, თუ როგორც სათბობის, ისე ელექტროენერჯის გათვალისწინებული მოწოდება გარედან არ შეფერხდება, დღე-ღამეში მაინც მოსალოდნელია ელექტროენერჯის მნიშვნელოვანი დეფიციტი, რაც აუცილებლად გამოიწვევს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოსა და კომერციის სერიოზულ შეზღუდვას. ვერც ერთი ღონისძიება მიმართული ენერჯის ეკონომიკური გამოყენებისაკენ ვერ დაფარავს მთლიანად აღნიშნულ დეფიციტს, თუმცა ასეთი ღონისძიებების მნიშვნელობაც ძალზე დიდია.

ზამთრის პერიოდისათვის მზადყოფნის მიზნით, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია შეიქმნას წყლის მაქსიმალურად შესაძლო მარაგი წყალსაცავებში და ასევე სათბობის მარაგი რეზერვუარებში. უნდა განხორციელდეს მორალურად და ფიზიკურად მოძველებული მოწყობილობების მაქსიმალურად შეცვლა, რაც შეამცირებს პროდუქციის ელექტროტევადობას. შემდეგ უნდა გატარდეს ორგანიზაციული ღონისძიებები. სპეციალური გამოკვლევები უჩვენებს, რომ თვით ყველაზე საუკეთესო საწარმოებში ენერჯის (მათ შორის ელექტროენერჯის) ეკონომიის მნიშვნელოვანი რეზერვებია, რომელთა რეალიზაცია მოითხოვს მინიმალურ დანახარჯებს. ყველა საწარმოს შეუძლია შეამციროს ელექტროენერჯის დანახარჯები 51-10%-ით მხოლოდ წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ხარჯზე. ასეთი ღონისძიებები შეიძლება იყოს: რაციონალური ძაბვის შერჩევა და გამოყენება, გამანაწილებელი დამწვევი ქვესადგურების რაციონალური განლაგება, ელექტროქსელში და ტრანსფორმატორებში დანაკარგების შემცირება, საწარმოების ელექტროქსელების გადაყენა 200 ვოლტიდან 380 ვოლტ ძაბვაზე; ძაბვის სტაბილურობა გამანათლებელ ქსელში, სინქრონული ძრავების შეცვლა ასინქრონულით, უქმი სვლის შემზღუდავების დანერგვა, ვარვარების ნათურის შეცვლა ლუმინესცენციური ნათურებით, ნათურების ერთეული სიმძლავრის გაზრდა, განათების ავტომატური ჩართვისა და გამორთვის დანერგვა, ელექტროენერჯის მომხმარებელ დანადგართა ავტომატიზაცია (მაგალითად, ელექტროლუმენების, შემღულელები აპარატების და ელექტროიზოლატური აბაზანების პროგრამული მართვა და სხვა), წუნის მინიმუმამდე შემცირება და სხვ.

ელექტროენერჯის ეკონომიკის მიმართულებით გაწეული მუშაობა დიდ შედეგს გამოიღებს, მაგრამ საწარმოებში ამ მიმართულებით მუშაობა ძლიერ არადაამკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მართალია თითოეულ საწარმოში დგება ენერჯის ეკონომიის ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებათა გეგმა, მაგრამ იგი ხშირად არ ასახავს რეალურ მდგომარეობას და ხშირად ეს გეგმა არ სრულდება. ერთიანი ენერგოეკოლოგიური კომპლექსის შექმნა ამ პრობლემასაც დადებითად გადაწყვეტს.

Р. А. АБЕСАДЗЕ

ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ ЭНЕРГЕТИКИ ГРУЗИИ

Резюме

В статье изучается настоящее состояние энергетического комплекса Грузии и даны пути дальнейшего его развития. Особое внимание уделяется энергоэкологическим вопросам развития энергетики республики.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის ეკონომიკის განყოფილებამ.

3. ბუნებაში

მეცნიერებისა და წარმოების ინსტიტუტის საკითხისათვის

ორი ათას წელზე მეტია რაც მეცნიერება არსებობს როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების შედარებით დამოუკიდებელი ფორმა და ადამიანის საქმიანობის გენერალური სფერო. მიუხედავად ამისა, დიდი ხანი არ არის რაც მან დაიწყო წარმოების თეორიული საფუძვლის როლის შესრულება.

მეცნიერების თვით არსი, როგორც სპეციფიკური საზოგადოებრივი მოვლენისა, მისი განვითარების შინაგანი კანონზომიერებანი განსაზღვრავენ მის შესაძლებლობას წინ უსწრებდეს თავის განვითარებით ტექნიკას, წარმოებას. ეს უპირატესი განვითარება, თავის მხრივ, განაპირობებს მეცნიერული ცოდნის დიდი მარაგის დაგროვებას, რომლის გამოყენებაც შეიძლება არსებული ტექნიკის სრულყოფისათვის და პრინციპულად ახალი ტექნიკის შექმნისა და ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებისათვის.

ამ მეცნიერული ცოდნის მარაგის ერთი ნაწილი გამოიყენება წარმოებრივი ტექნიკის ყოველდღიური, თანდათანობითი გაუმჯობესებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს მის ევოლუციურ განვითარებას. ამ მიზნით გამოიყენება ცოდნის ის ნაწილი, რომელიც არ წარმოადგენს რევოლუციური აღმოჩენების, გადატრიალებების პროდუქტს და ამიტომ არ შეიძლება გამოიწვიოს ტექნიკაში და, მასთანადავ, წარმოებაში რევოლუციური ცვლილებები.

რაც შეეხება ცოდნის მეორე ნაწილს, მისი დანიშნულებაა წარმოებრივი ტექნიკის მომავალი განვითარების უზრუნველყოფა. მის საფუძველშია რევოლუციური სასიათის აღმოჩენების შედეგად აღმოცენებული მეცნიერული იდეები, რომლებიც გულისხმობენ ახალი პრინციპების გამოყენებას ტექნიკური საშუალებების შექმნისას. ამ იდეების გამოყენება მოითხოვს დიდი სამუშაოების ჩატარებას, სათანადო ტექნიკური ბაზის შექმნას და ამიტომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ისინი რჩება მხოლოდ პოტენციურ შესაძლებლობად.

მეორე დანიშნულების ცოდნის რეალიზაციის შესაძლებლობა განპირობებულია მეცნიერების თვისებით რჩებოდეს შედარებით დამოუკიდებელ მოვლენად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემადგენლობაში. რა თქმა უნდა, ეს ეხება ფუნდამენტური მეცნიერების დარგებს ადამიანის შემეცნებითი პროცესის გათავისუფლებით პრაქტიკის ყოველდღიური მოთხოვნებისაგან, მეცნიერება შესაძლებლობას ღებულობს მოგვევლინოს როგორც საზოგადოების მწარმოებლურ ძალთა განვითარების პოტენცია, რაშიც ვლინდება მისი უდიდესი ძალა.

მეცნიერების ამ თვისებამ იჩინა თავი XIX—XX სს. მიჯნაზე ბუნებისმეტყველებაში მომხდარ რევოლუციაში. ამ რევოლუციის მომწიფებაში დიდი როლი შეასრულეს წარმოების მოთხოვნებმა, საზოგადოების მწარმოებლურ

ძალთა შემდგომი განვითარების საჭიროებამ. მაგრამ რევოლუციის პროცესში მოხდა ისეთი აღმოჩენები, რომლებმაც ნახევარი საუკუნის შემდეგ გამოიწვიეს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დაწყება.

ასეთი ხასიათის აღმოჩენები ფუნდამენტურ მეცნიერებაში ხდება დღესაც, რის შესახებაც მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება. ამ აღმოჩენების შედეგად დაგროვებული ცოდნა, იძლევა რა წარმოების მომავალი განვითარების შესაძლებლობას, პრინციპულად ახალი ტექნიკური საშუალებების შექმნის გზით, წარმოადგენს საზოგადოებრივ ფასეულობას.

თავის თანამიმდევრული განვითარების პროცესში მეცნიერებამ შეიძინა ერთი მეტად მნიშვნელოვანი თვისება, რამაც ხელი შეუწყო მისი, როგორც საზოგადოების მწარმოებლური ძალის, როლის გაძლიერებას, მის გადაქცევას უშუალო მწარმოებლურ ძალად. ეს თვისება მდგომარეობს შემდეგში.

ადრე მეცნიერება ბუნების მოვლენების სხვადასხვა მხარეებს შეისწავლიდა ცალ-ცალკე, მათ შორის არსებული ურთიერთკავშირების გარეშე. ასე ხდებოდა, მაგალითად, ელექტრული, მაგნიტური, ოპტიკური თვისებების შესწავლა. მეცნიერული ცოდნა ერთიან, შეკავშირებულ სისტემას არ წარმოადგენდა, ეს იყო დაქსაქსული ცოდნა ბუნების კანონებისა და კანონზომიერებათა შესახებ, და მას ჯერ არ შეეძლო მნიშვნელოვანი როლის შესრულება ტექნიკური საშუალებების შექმნასა და წარმოების ფუნქციონირებაში.

მეორე ტექნიკური რევოლუციის შემდეგ, რომელიც დაკავშირებული იყო ორთქლის ძრავის გამოგონებასთან, მეცნიერების, როგორც მწარმოებლური ძალის, განვითარებაში დაიწყო ახალი ეტაპი. ამ ეტაპზე სულ უფრო მეტ პრობლემებს აყენებდა მეცნიერების წინაშე წარმოება. დღის წესრიგში დადგა ძრავებისა და მანქანათა სისტემების შექმნის საკითხი, რაც შესაძლებელი იყო მხოლოდ მეცნიერული ცოდნის ბაზაზე. წარმოების მოთხოვნების დაკმაყოფილების საწინდარი იყო მხოლოდ შემეცნების გაღრმავება, ამისათვის კი ბუნებრივი მოვლენების სხვადასხვა მხარეების შესწავლა მათ შორის არსებული ურთიერთკავშირების გარეშე საკმარისი არ აღმოჩნდა. საჭირო გახდა მოვლენების კომპლექსური მიზანმიმართული შესწავლა, რაც უზრუნველყოფდა ყველა მათი მხარის ერთობლივ სიღრმისეულ შემეცნებას. მხოლოდ ასეთი ყოველმხრივი შესწავლის შედეგად გახდებოდა შესაძლებელი ისეთი რთული ტექნიკური საშუალების შექმნა, რომლებსაც მოითხოვდა ტექნიკური პროგრესი, წარმოების შემდგომი განვითარება.

ამ ეტაპზე შემეცნებამ მიიღო სიღრმისეული ხასიათი და მეცნიერულმა ცოდნამ კი ერთიანი, შეკავშირებული სისტემის სახე, რის შედეგადაც გახდა წინააღმდეგობის დაძლევა, რომელიც წარმოიშვა, ერთი მხრივ, ტექნიკისა და წარმოების შემდგომ განვითარების საჭიროებასა და, მეორე მხრივ, მეცნიერების არასაკმარის განვითარებას შორის.

მეცნიერების გადაქცევა საზოგადოების მწარმოებლურ ძალად მოითხოვდა შემაკავშირებელი რგოლის არსებობას მასა და ტექნიკას შორის. ასეთი შემაკავშირებელი რგოლის ფუნქცია ფუნდამენტურ მეცნიერებასა და ტექნიკას შორის შემდგომში შეასრულეს ტექნიკურმა მეცნიერებამ.

ტექნიკური მეცნიერების დარგები გაჩნდა საბუნებისმეტყველო-მათემატიკური მეცნიერებათა პირაპირზე მათი ურთიერთშერწყმის, მიზანმიმართული კოოპერაციის, კვლევათა ინტეგრაციის გზით. ასეთი დარგებია მანქანათა და მექანიზმების თეორია, დრეკალობის, მდგრადობის, რხევის, მასალათა გამ-

ძლეობის თეორიები, ბალისტიკა, ჰიდრომექანიკა, თერმოდინამიკა და ა. შ., რომლებიც გაჩნდა XVII-XVIII სს. და დიდი განვითარება მიიღო XIX ს-ში.

ბუნებისმეტყველებაში მომხდარი რევოლუციის პროცესში გაკეთებული აღმოჩენების შედეგად წარმოქმნილი იდეების პრაქტიკაში გამოყენების საჭიროებამ, რაც გარდაჰქმნიდა საზოგადოების მთელ მწარმოებლურ ძალებს, განაპირობა ტექნიკურ მეცნიერებათა ისეთი დარგების წარმოშობა, როგორცაა კიბერნეტიკა, ელექტრონიკა, ატომური ფიზიკა, მათემატიკური ფიზიკა და ა. შ. ამავე პერიოდში, ე. ი. უკვე XX ს-ში, დიდი განვითარება მიიღეს ჰიდრაულიკამ, ელექტროტექნიკამ, ფიზიკურმა ქიმიამ, ბიოქიმიამ და სხვ. ყოველი ამ დარგთაგანი, გაჩნდა რა მას კვლევის საკუთარი საგანი, აერთიანებს ამ საგნის მიმართ სხვადასხვა დარგებში ჩატარებულ გამოკვლევებს. გარდა იმისა რომ მათ შეაკავშირებს ფუნდამენტური მეცნიერება და ტექნიკა, მათმა გამოყენებამ შესაძლებელი გახადა ბუნებრივი მოვლენების კომპლექსური შესწავლა მათ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა გამოყენებითი კვლევების წარმოება, რაც ფუნდამენტური მეცნიერების იდეების პრაქტიკაში განხორციელების აუცილებელი რგოლია, და მეცნიერება ვერ შეასრულებდა წარმოების თეორიულ საფუძვლის როლს.

როგორც აღინიშნა, მიუხედავად იმისა რომ ფუნდამენტური მეცნიერება ჩამბულია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში როგორც მისი ერთ-ერთი შემადგენელი რგოლის ნაწილი, იგი ინარჩუნებს გარკვეულ ფარგლებში თავის დამოუკიდებლობას. ამავე დროს საჭიროა ითქვას, რომ ფუნდამენტური მეცნიერების დარგები, მიუხედავად მათ შორის მიმდინარე ინტეგრაციისა, ასევე ინარჩუნებენ თავის დამოკიდებულებას ერთმეორისაგან. ყოველი მათგანი ინარჩუნებს თავის საგანს, მიუხედავად იმისა რომ ეს საგანი შეისწავლება აგრეთვე მრავალი სხვა ზემოთ ხსენებული დარგის მიერ.

ეს ორი გარემოება, ე. ი. ფუნდამენტური მეცნიერების მიერ გარკვეული დამოუკიდებლობის შენარჩუნება მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში და მისი დარგების მიერ დამოუკიდებლობის შენარჩუნება მათ შორის მიმდინარე ინტეგრაციის მიუხედავად, და თვით ინტეგრაცია, რომელიც ხელს უწყობს ბუნებრივი მოვლენების კომპლექსურ შესწავლას, განაპირობებს ფუნდამენტური მეცნიერების მიერ საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაში მიმდინარე ხარისხობრივი ცვლილებებისათვის თეორიული საფუძვლის როლის შესრულებას. ამ როლის შესრულებას უზრუნველყოფს მეცნიერული აღმოჩენები, რომლებიც ხდება ფუნდამენტური კვლევის შედეგად. ამ აღმოჩენების ტექნიკური რეალიზაცია გულისხმობს მათ მრავალსახეობრივ გამოყენებას წარმოებაში, რომელიც ვრცელდება დროსა და სივრცეში. წარმოადგენს რა წარმოების ეფექტიანობის გადამწყვეტ, ხანგრძლივად მომქმედ წყაროს, სრულებით ახალ წარმოებათა და მრეწველობის ახალი დარგების ამოსავალს, ასეთი აღმოჩენის ეკონომიკური ეფექტიანობა მთელი ეკონომიკის, საზოგადოების მასშტაბით დადგენას არ ექვემდებარება. მაგალითად, შეუძლებელია იმ ეფექტის დადგენა, რომელიც გამოიწვია ნებისმიერ ქვეყანაში ისეთი აღმოჩენის გამოყენებამ, როგორცაა ელექტროენერგია, მით უმეტეს რომ მისი გამოყენება მეტად მრავალსახეობრივია.

ფუნდამენტური კვლევის შედეგების გამოყენება ტრადიციულ ნაკეთობათა მულტიპლ გაუმჯობესებისა და წარმოების მეთოდების სრულყოფისათვის

უზრუნველყოფს პრინციპულად ახალი ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებას, ახალი განწყობილების და მოწყობილობის შექმნას და ა. შ.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, მთელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საბუნებისმეტყველო-მეცნიერული საფუძველია ფუნდამენტური მეცნიერება. რადგან დღევანდელ პირობებში ძნელია წარმოვიდგინოთ ისეთი წარმოება, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზემოქმედების ან გავლენის გარეშე დარჩება, რომელშიც ეს მოვლენა არ შეიტანს გარდამქმნელ ცვლილებებს, გამოდის, რომ ფუნდამენტური მეცნიერების საბუნებისმეტყველო დარგები წარმოადგენენ საწარმოების თეორიულ საფუძველს.

მეცნიერების ყველა დარგთა შორის, რომლებიც წარმოადგენენ წარმოების თეორიულ საფუძველს, წამყვანი ადგილი უჭირავს ფიზიკას. ამის დასადასტურებლად საკმარისია ვავისხენოთ, რომ რევოლუცია ბუნებისმეტყველებაში XIX-XX სს. მიჯნაზე, რის შედეგადაც, როგორც უკვე აღინიშნა, ნახევარი საუკუნის შემდეგ დაიწყო მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და გაძლიერდა მეცნიერების საზოგადოების მწარმოებლურ ძალად გადაქცევის პროცესი, უპირველეს ყოვლის წარმოადგენდა რევოლუციას ფიზიკაში. ამის სისწორის შესახებ მეტყველებს შემდეგი ფაქტები.

ასე, ატომური ბირთვის სტრუქტურის გამოკვლევამ გზა გაუხსნა ატომური ენერჯის პრაქტიკულ გამოყენებას. მყარ სხეულში და გაზებში ელექტრონი მძვინვარების შესწავლამ გამოიწვია მეცნიერების ახალი დარგის — ელექტრონიკის ჩამოყალიბება, რომელმაც, თავის მხრივ, საფუძველი ჩაუყარა ტექნიკისა და მრეწველობის სათანადო დარგების აღმოცენებას; ფიზიკის, მექანიკისა და მათემატიკის ახალმა მიღწევებმა განაპირობეს კიბერნეტიკული, სავაიციო, კოსმოსური ტექნიკის შექმნა, წარმოებისა და მართვის ავტომატიზაცია. ფიზიკის მიღწევებზეა დაფუძნებული ენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის ტექნიკა, ტელეწყობების შექმნა და მათი სრულყოფა. ფიზიკის იდეები და მეთოდებია უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური მიმართულებების — მიკროელექტრონიკისა და კვანტური ელექტრონიკის საფუძველები.

ფიზიკის მიღწევების საფუძველები შეიქმნა მეცნიერული კვლევის ხარისხობრივად ახალი საშუალებები და მეთოდები, რომლებმაც მძლავრი მარევიოლუციონირებელი ზემოქმედება მოახდინეს თვით საბუნებისმეტყველო დარგებზე — ასტრონომიაზე, ბიოლოგიაზე და ა. შ. როგორც ს. ვავილოვი აღნიშნავდა, „...არ არის და არ შეიძლება იყოს ბუნების მოვლენები, რომელთაც არ გააჩნიათ ფიზიკური თვისებები და მხარეები. ამიტომ ფიზიკის მონაწილეობა გარდუვალია ბუნებისმეტყველების ნებისმიერი განყოფილების საფუძველში... ფიზიკა, ხსნის რა ბევრ რაიმეს მათში, განსაზღვრავს კანონთა ხასიათს, იძლევა რა კვლევის მეთოდებს, უღრმესი ფესვებით შეეზარდა ასტრონომიას, ქიმიას, ფიზიოლოგიას და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს“¹.

პროგრესი თანამედროვე ტექნიკაში ბევრადაა დამოკიდებული ახალი მასალების შექმნაზე, რომლებიც ხასიათდება მეტად მნიშვნელოვანი თვისებების კომპლექსით, რაც არ გააჩნია ტრადიციულ მასალებს. ასეთი მასა-

¹ Вавилов С. И. В. И. Ленин и современная физика. — В кн.: «Ленинское философское наследие и современная физика». М., 1981, с. 419.



ლების შექმნა განაპირობა XX ს. მეორე ნახევარში მომხდარმა მყარი სხეულის შექმნის მანამდე უცნობი კანონებისა და კანონზომიერებათა აღმოჩენამ, რაშიც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფიზიკას, კერძოდ კი — მყარი სხეულის ფიზიკას. ამ ახალმა მასალებმა უკვე ფართო გავრცელება პოვეს ელექტრული დენის გარდამქმნელების, ნახევრადგამტარების, კიბერნეტიკული, სალაზერო, კოსმოსური, ელექტრონული ტექნიკის წარმოებაში.

ბევრი დიდი მიღწევა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მსვლელობის პროცესში განაპირობა ქიმიის განვითარებამ. ქიმიაში მომხდარი აღმოჩენები, იქმნება რა მათი გამოყენების მეოხებით ახალი მასალები, აფართოებენ შრომის სავანს. გარდა ამისა, ისინი შესაძლებლობას ჰქმნიან გამოყენებული იქნას წარმოებაში ბუნებრივი პროცესები (რეაქციები), რაც ადიდებს წარმოებრივი პროცესების სიჩქარეს და იწვევს მთელ რიგ დადებით შედეგებს.

XX ს. შუალედში ქიმიაში მოხდა დიდი აღმოჩენები. რაც შეეხება ახალი, წინასწარ განსაზღვრული თვისებების მქონე შენაერთთა სინთეზის მეცნიერული საფუძვლების შემუშავებას, ეს არის ქიმიაში თანამედროვე რევოლუციის მთავარი არსი.

ქიმიის მიღწევებმა განაპირობეს ის ფაქტი, რომ ყოველ ათწლეულში ხდება დახლოებით 500 ათასი ახალი ქიმიური ნივთიერებათა სინთეზი. შექმნილია ისეთი პოლიმერული შენაერთები, როგორიცაა პოლისტიროლი, პოლიქლორვინილი, პოლიამიდები, პოლიეთერები და სხვ.

ქიმიის მიღწევებმა უზრუნველყო ახალი დიდი მიმართულების ჩამოყალიბება მატერიალურ ინჟინერიაში, რომელიც ახალ ნივთიერებათა შექმნას უზრუნველყოფს პოლიმერების ჯაჭვური მოლეკულების შედგენილობის შეცვლის მეშვეობით.

მნიშვნელოვანია ბოლო დროს ბიოლოგიის წვლილი მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში. იგი სულ უფრო მეტად ასრულებს საზოგადოების მწარმოებლური ძალის როლს, შეაქვს რა რევოლუციური ცვლილებები წარმოებაში. ეს ცვლილებები დაკავშირებულია ცოცხალი სამყაროს მექანიზმების გამოყენებასთან წარმოებაში, რაც შესაძლებელი გახდა სასიცოცხლო პროცესების და მათი მართვის მექანიზმების შემეცნების შედეგად.

ბიოლოგიის ასეთი მიღწევები განაპირობა მისმა დაკავშირებამ ბუნებისმეტყველების სხვა დარგებთან და ზუსტ დარგებთან (ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა), რასაც ეწოდა პირველი დისციპლინათაშორისი სინთეზი ბიოლოგიაში და რომელთა მიჯნაზეც წარმოიშვა ბიოფიზიკა, ბიოქიმია და ამ ტიპის სხვა დარგები. ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის წარმოშობამ და განვითარებამ, შეიძლება ითქვას, შექმნა ახალი ეპოქა ცოცხალი მატერიის შესწავლაში².

ფიზიკამ და ქიმიამ გაამდიდრეს ბიოლოგია კვლევის ახალი მეთოდებითა და ინსტრუმენტარულით, რითაც ბიოლოგიური შემეცნების ახალი ეტაპის დაწყების სტიმული შეიქმნა, რომლისთვისაც დამახასიათებელია სიღრმისეულ, ინტიმურ ბიოლოგიურ პროცესებში ჩაწვდომა.

² Социально-экономические проблемы научно-технической революции. Под ред. В. Г. Лебедева и Н. В. Маркова. М., 1976, с. 18.

³ Философия. Естественные науки. НТР. Под ред. Ю. В. Сачкова. Фам Ны-Кьонга. М., 1986, с. 193.

ბიოქიმია, რომელიც XIX-XX სს. მიჯნაზე ჩამოყალიბდა როგორც მეცნიერება, ამჟამად შეისწავლის ნივთიერებათა ცვლას ცოცხალ ორგანიზმში, მის რეგულაციასა და ენერგეტიკულ უზრუნველყოფას. დღევანდელი ცოდნა იმის შესახებ, რომ ცოცხალი ორგანიზმი არის ევოლუციის მიერ აწყობილი ურთულესი ქიმიური ვარდაქმნების უსასრულო ჰაერული პროცესი, წარმოადგენს ამ მეცნიერების ერთ-ერთ მიღწევას. ბიოქიმიის მიღწევებს ეკუთვნის სიცოცხლის მთელი რიგი კანონზომიერებათა აღმოჩენა. ბიოქიმიის მეოხებით უკვე გაშიფრულია მეგვიდრეობის გენეტიკური კოდის საფუძველები, სინთეზირებული იქნა მარტივი გენი. დადგინდა, რომ მეგვიდრეობის ფუნქციებს ასრულებს ერთ-ერთი ნუკლეინის მჟავა⁴.

სასიცოცხლო პროცესების შესწავლაში დიდი როლი ეკუთვნის აგრეთვე ბიოფიზიკას, რომელმაც უკვე დიდი მოცულობის ცოდნა დააგროვა ფოტოსინთეზისა და კუნთების მუშაობის, მიკროორგანიზმების ზრდის, უჯრედების დაყოფის, სისხლის მოძრაობისა და ფერმენტების მუშაობის შესახებ. ამ დარგის მეოხებით ბიოლოგიაში დამკვიდრდა მათემატიკური მოდელების მეთოდები თერმოდინამიკის და კინეტიკის პრინციპები და ა. შ.

დიდი მიღწევები აქვს ბიოორგანულ ქიმიას, რომელიც XX ს. 50-იანი წლების ბოლოს გაჩნდა, მოლეკულურ ბიოლოგიას, რადიობიოლოგიას, ბიონიკას და ა. შ.

ბიოლოგიის კავშირმა მეცნიერების ტექნიკურ დარგებთან შესაძლებელი გახადა მისი მიღწევების რეალიზაცია პრაქტიკაში. ამჟამად კი, როგორც წიგნის „ფილოსოფია საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი. მტრ“ ვტორები აღნიშნავენ, ბიოლოგია დგას ახალი დისციპლინათა შორისი სინთეზის წინაშე სოციალუმინტარული ცოდნის სისტემასთან, რაც განსაზღვრავს ბიოლოგიის განვითარების სპეციფიკასა და კანონზომიერებებს დღეს⁵.

მოტიანილიდან ამჟაბაა, რომ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მეცნიერულ-ტექნიკური რეგულაციის მსვლელობის პროცესში იქმნება ციკლი „მეცნიერება—ტექნიკა—წარმოება“, რომელიც სულ უფრო მკიდრო ხასიათს ღებულობს მეცნიერების უშუალო მწარმოებლურ ძალად გადაქცივის შედეგად, და რომ ამ ციკლში მეცნიერება ასრულებს წამყვანი ძალის როლს. ამ როლის შესახებ მეტყველებს მეცნიერების ჩამოთვლილი დარგების მიღწევების გამოყენების საფუძველზე შემუშავებული ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა წარმოებაში. ეს ტექნოლოგიური პროცესები აგებულია მაგნიტური, ხმოვანი და ბუნების სხვა ძალების გამოყენებაზე. ფართო მასშტაბებით მიმდინარეობს, მაგალითად, ლითონების წარმოების ტექნოლოგიების სრულყოფა ვაკუუმის, ელექტროწიფის, პლაზმური, ელექტრონულ-სხივური მეთოდების გამოყენების საფუძველზე. სულ უფრო ფართო გამოყენებას ღებულობს ტექნოლოგიური პროცესები, რომლებშიც გამოიყენება ლაზერი, კერძოდ ლითონის შედღუღებისა და ჭრისათვის, ძვირფასი ქვების დამუშავებისათვის და ა. შ.

უკვე ინერგება ისეთი პროცესები, როგორიცაა ზუსტი და ელექტრონიკური ჩამოსხმა, დაშტამპვა-შედღუღება და ა. შ., რომელთა შედეგად მიღებული ნამზადი თავის კონფიგურაციით უახლოვდება მზა ღეტალებს, რაც გამო-

⁴ Социально-экономические проблемы научно-технической революции, с. 19.

⁵ Философия. Естественные науки. НТР, с. 193—194.

რიცხავს ან მინიმუმამდე დაყვანას უზრუნველყოფს შემდგომ მექანიკურ დამუშავებას ჭრის მეთოდით.

მაღალი ეფექტიანობით ხასიათდება პლანშიური და ფხვნილის მეტალურგიის ტექნოლოგიები. ფხვნილის მეტალურგიის მეთოდები გამოიყენება შავი და ფერადი ლითონების მიღებისათვის. მისი სწრაფი გავრცელების საწინდარია გაცილებით უფრო ნაკლები შრომატევადობა, ვიდრე ეს გააჩნია ტრადიციულ მეტალურგიას. ასე, მანქანებისათვის დეტალების დამზადებისას ფხვნილის მეტალურგიის მეთოდის გამოყენება 30—60 პროცენტით ამცირებს შრომის დანახარჯებს.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის დღეს დამახასიათებელია წარმოებრივი ვაწყობილობის ერთეულთა სიმძლავრეების გადიდების ტენდენცია. იქმნება მანქანათა სისტემები, რომელთა ფუნქციონირება მოიცავს ტექნოლოგიური პროცესების ყველა ოპერაციის შესრულებას, ნედლეულის წარმოებაში ჩაშვებით დაწყებული და მზა ნაკეთობათა მიღებით დამთავრებული.

ასეთი მანქანების და მანქანათა სისტემების წარმოება უზრუნველყოფს კაპიტალტევადობის და მასალატევადობის შემცირების სიმძლავრის ერთეულზე, მათი ექსპლოატაცია კი შრომის ზედრითი დანახარჯების შემცირების შესაძლებლობას იძლევა. საბოლოოდ ეს ცოცხალი და გასავნობრივებული შრომის ეკონომიას ნიშნავს. ასეთი სიმძლავრეების მქონე მანქანების და ავრეგატების გამოშვება შესაძლებელს გახდის მძიმე მრეწველობის დარგების ენერგეტიკული, მეტალურგიული, ქიმიური მრეწველობის ხელახლად შეიარაღებას.

დიდი სიმძლავრეების მქონე მანქანების და მანქანათა სისტემების დანერგვა იწვევს წარმოების კონცენტრაციას, რის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია დიდი მოცულობის ნარჩენების დაგროვება. ამით მათი უტილიზაციის, და, საბოლოოდ, ნედლეულის კომპლექსური გამოყენების შესაძლებლობა იქმნება. ნარჩენების გამოყენება კი დღეს ჯერ კიდევ მწვავე პრობლემაა, პირველ რიგში მანქანათმშენებლობაში, სადაც დამუშავებაში მყოფი ლითონების 30 პროცენტი გადადის ნარჩენებში. თუ რა როლი აქვს რესურსების დაზოგვის საქმეში ნარჩენების გადამუშავებას, ამაზე შემდეგი მაგალითები მეტყველებს.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დაინერგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული მანგანუმშემცველი მტვერისა და შლამის გადამუშავების მეთოდი, რომელთა გამოყენება მანამდე შეუძლებელი იყო მათი დისპერსიულობის გამო. ამჟამად მტვერი და შლამი მთლიანად გამოიყენება წარმოებაში როგორც მეორეული მინერალური ნედლეული, რაც წელიწადში 25 ათასი ტონა მალაჩარისსოვანი დეფიციტური მანგანუმის დაზოგვის შესაძლებლობას იძლევა. ამავე ინსტიტუტმა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან და ურალის (ქ. სვერდლოვსკი) შავი მეტალურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად შეიმუშავა წარმოების ე. წ. გადასაყრელი ნარჩენების — წილის მეტალურგიაში ხელახლად გამოყენების ტექნოლოგიური პროცესები. ამ პროცესების დანერგვამდე 16-19 პროცენტი მანგანუმის შემცველი წილა გამოიყენებოდა მშენებლობაში, რაც გამართლებული არ იყო. ამჟამად რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ბრძმედებში თუჯის გამოდნობისას ახალი ტექნოლოგიური პრო-

ცესების გამოყენების მეოხებით მადნის ნაცვლად გამოიყენება წილა, რის შედეგადაც წელიწადში 23 ათასი ტონა მადანი იზოგება⁶.

საჭიროა ითქვას, რომ დისციპლინათაშორისი სინთეზი სოციოჰუმანიტარული ცოდნის სისტემასთან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოქმედების პირობებში დამახასიათებელია არა მარტო ბიოლოგიისათვის, არამედ მეცნიერების სხვა დარგებისათვისაც. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ წარმოებრივი პროცესის მსვლელობის, შრომის ორგანიზაციისა და შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით უკვე გამოიყენება მეცნიერების ისეთი დარგები, როგორცაა სინთეზური ფსიქოლოგია, შრომის ფსიქოლოგია, ინდუსტრიული სოციოლოგია, წარმოებრივი ესთეტიკა და ა. შ., რომლებიც ჩამოყალიბდა მეცნიერების ტექნიკურ და ჰუმანიტარულ დარგთა პირაპირზე. ეს მოვლენა აშკარად მეტყველებს მეცნიერების საზოგადოების უშუალო მწარმოებლურ ძალად გადაქცევის შესახებ.

В. В. БУЧУКУРИ

К ВОПРОСУ ОБ ИНТЕГРАЦИИ НАУКИ И ПРОИЗВОДСТВА

Резюме

Сама сущность науки, как специфического общественного явления, внутренние закономерности ее развития определяют ее возможность опережать в своем развитии технику, производство. Это опережающее развитие, в свою очередь, обуславливает накопление большого объема научных знаний, которые можно использовать для совершенствования существующей и создания принципиально новой техники.

В процессе революции в естествознании на рубеже XIX—XX вв. произошли научные открытия, идеи которых послужили теоретической основой для научно-технической революции, действие которой началось в середине XX века, когда уже сформировалось такое связующее фундаментальные науки и технику звено, каким является система технических наук, и была создана соответствующая техническая база.

В процессе научно-технической революции возник цикл «наука—техника—производство», в котором наука, в значительной степени, сохраняя свою самостоятельность, играет ведущую роль, роль непосредственной производительной силы.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სისტემური გამოკვლევების ლაბორატორიამ.

3. ბურჟუაზია

მართვის დემონოპოლიზაციის საკითხები

სოციალიზმის პირობებში საკუთრების გასახელმწიფოებრიობამ წარმოქმნა სახელმწიფოებრივი მონოპოლია, რომელმაც მოიცვა სამეურნეო ცხოვრების ყველა სფერო. სახელმწიფოებრივი მონოპოლიის რეალიზაცია ხორციელდებოდა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ბიუროკრატიული სისტემის საშუალებით, რომელიც შეიძლება განმარტებული იქნას როგორც სპეციფიკური, მეურნეობის მოცემული წესისათვის დამახასიათებელი მართვის მონოპოლიური სისტემა. მონოპოლიური მართვის ფორმები და მეთოდები ღრმად გაჯდნენ სამეურნეო ცხოვრებაში, მმართველობის კადრების შეგნებაში, ამიტომ ბაზრის ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში მათგან თავის დახსნა არც ისე ადვილი იქნება. ათწლეულობით დამკვიდრებული მეურნეობრივი აზროვნების წესის პირობებში, გარდაუვალია როგორც შეგნებული, ასევე უნებლიე ცდები მართვის მონოპოლიური სისტემის ელემენტების გადატანისა ბაზრის მეურნეობის ახალ სტრუქტურებში, რაც დააბრკოლებს მის განვითარებასა და განვითარებას. ამიტომ აუცილებელია მართვის მონოპოლიური სისტემის ანალიზი და დემონოპოლიზაციის გზების გამოვლენა, მეურნეობის მართვისა და ორგანიზაციაში იმ სტრუქტურების და მეთოდების ლიკვიდაცია, რომლებიც დამახასიათებელია მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ბიუროკრატიული სისტემისათვის.

წინანდელ პირობებში მართვის სტრუქტურების ორგანიზაციის დროს ითვლებოდა, რომ ამა თუ იმ სამეურნეო პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება მართვის ახალი ორგანოს შექმნით. „თითქოს აქსიომად ითვლებოდა, რომ მართვის რომელიმე ახალი ორგანოს შექმნას შეუძლია თავისთავად ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტა“¹.

კაპიტალისტურ ქვეყნებშიც არის სამინისტროები და უწყებები, რომლებიც ახორციელებენ ბიუროკრატიულ კოორდინაციას ბაზრის ეკონომიკის პირობებში, მაგრამ ისინი არ არიან ისეთი ორგანოები, რომელთა მოვალეობაში შედის დირექტიული და ოპერატიული ფუნქციების შესრულება. მათ კომპეტენციაში შედის ისეთი საკითხები, როგორიცაა: მეცნიერულ-ტექნიკური, სამრეწველო, საფინანსო და საგარეო ეკონომიკური რეგულატორების მოქნილი გამოყენება ბაზრის სტაბილური ფუნქციონირებისათვის, ეფექტური კონკურენციისათვის და წარმოების სტრუქტურული გარდაქმნისათვის, რომელიც შეესაბამება მის მეცნიერულ-ტექნიკური დონის განვითარებას.

თანამედროვე პირობებში, როცა აუცილებელია მოქნილი რეაქცია, ბაზრის კონიუნქტურის ცვალებად მოთხოვნილებებზე და, ამასთან დაკავშირებ-

¹ Наговици А. Множественность организационных структур управления, Ж.: Вопросы экономики, 1990, № 3, с. 99.

ბით, მსხვილი მეცნიერულ-ტექნიკური, ინოვაციური ამოცანების რეალიზაცია, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს მართო დარგთაშორისი კოოპერაციის, სამეურნეო სტრუქტურების დივერსიფიკირების, კაპიტალის ეფექტური გადანაწილების, ტექნოლოგიის და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის ბაზაზე, ვერტიკალურ-მონოპოლური სტრუქტურებს (განსაკუთრებით, რომლებიც მართავენ ვიწრო დასპეციალიზებულ წარმოებებს) არ შეუძლიათ უზრუნველყონ სამეურნეო ობიექტების სათანადო პროგრესული განვითარება. სამინისტროების და უწყებების და სხვა მათ დაქვემდებარებაში მყოფ ვერტიკალური სტრუქტურების მონოპოლური ბიუროკრატიული მართვა ხელს შეუშლის კონკურენციის განვითარებას, შინაგანი ბაზრის გაჩენას და მსოფლიოს ბაზართან ინტეგრაციას.

რადგანაც ჩვენს ვერტიკალურად ორგანიზებულ მონოპოლიური მმართველობის სტრუქტურებს არა აქვთ საჭირო პოტენციალი და ექსპერტიზა და ამავდროულად ისინი ძალიან შორს არიან ბაზარსა და მომხმარებლისაგან, ამდენად ისინი ვერ შეასრულებენ სათანადო წესით დარგობრივი მართვის ისეთ სპეციფიკურ ამოცანებს, როგორცაა განსაკუთრებული სახეობის პროდუქტის ხარისხის უზრუნველყოფა და მათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება, დარგის კონკურენტული უპირატესობების განვითარების და განმტკიცების პირობების შექმნა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში. მისი სტრუქტურული გარდაქმნის და მოდერნიზაციის განხორციელება, წამგებიანი წარმოებების მოცილება, ახალი წარმოებების შექმნაზე კონტროლის განხორციელება, მწარმოებელთა ინტერესების შეთანხმება, სტანდარტების, ფასების, კოოპერაციის პირობების რეგულირება და ა. შ.²

კაპიტალისტურ ქვეყნებში ასეთი დარგობრივი ამოცანების გადაწყვეტა ხდება ფირმების, კონცერნების, კორპორაციების და სხვა ასოცირებული სტრუქტურების დონეზე, რომლებიც სწრაფ რეაგირებას ახდენენ ბაზრის კონიუნქტურაზე და მომხმარებლის ინტერესებზე, ამასთან დაკავშირებით, შეუძლიათ სწრაფად განვითარდნენ ტექნოლოგია, ჩაატარონ წარმოების სტრუქტურის რაციონალიზაცია, მოცილონ არაეფექტიანი წარმოებები და განავითარონ საქმიანობის ახალი მიმართულებანი კაპიტალის დარგთაშორისი გადანაწილების საფუძველზე.

ბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის პირობებში, ათწლეულობის განმავლობაში, ორგანიზაციული სტრუქტურების ფორმირება ხდებოდა ტიპური სტანდარტული გადაწყვეტილებების საფუძველზე. „შტატები, მართვის სქემები მტკიცდებოდა ანალოგების მიხედვით, რეალური ამოცანების და მოთხოვნების გააზრებისა და წარმოების სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე“³.

მონოპოლიური ტენდენციების და ბიუროკრატიული ექსპანსიის დაძლევა მართვაში უნდა უზრუნველყოფილი იქნას მართვის სტანდარტული სტრუქტურების უარყოფის ხარჯზე, მის ყველა ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დონეზე და აგრეთვე გამოსავალი საკუთრების სხვადასხვა ფორმების არსებობიდან მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების მრავლობითობის ხარჯზე.

² Кузин Д. Проблемы отраслевого управления в капиталистической экономике и практика перестройки, Ж.: Вопросы экономики, 1989, № 10, с. 35.

³ Мильнер Б. З. Горизонтальные структуры, газ.: «Экономика и жизнь», 1990, июль, № 27, с. 7.

მართვის ორგანიზაციული სტრუქტურები უნდა შეიქმნას საერთოდ წარმოების და კერძოდ მისი ყველა ცალკეული რგოლის რეალური მოთხოვნილებების მიხედვით. ეს გულისხმობს სამინისტროებისათვის და უწყებებისათვის მეურნეობის ბიუროკრატიული (ადმინისტრაციული და საფინანსო-ეკონომიკური) რეგულირების ფუნქციების, ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების საერთო სტრატეგიის შემუშავებისა და შეთანხმების საკითხების დატოვებას. ყველა სხვა ფუნქციებისაგან სამინისტროები და უწყებები განთავისუფლებულნი უნდა იქნან. ეს ფუნქციები უნდა გადაეცეს კორპორაციების, კონცერნების და სხვა ასოცირებული სტრუქტურების მართვის ორგანოებს და მეურნეობის საბაზრო კოორდინაციის ინსტიტუტებს (საფონდო და სასაქონლო ბირჟებს, კომერციულ ბანკებს, სადაზღვევო კომპანიებს, სააუდიტორო ორგანიზაციებს, ინფორმაციული სერვისის სამსახურებს, ფასების დაკვირვების სამსახურებს, მარკეტინგის ფირმებს და ბაზრის ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტებს) და აგრეთვე უშუალოდ დამოუკიდებელ კერძო საწარმოებს, რომლებიც არ შედიან ასოცირებულ წარმონაქმნებში.

სახელმწიფო ორგანოების განთავისუფლებას მონოპოლური განკარგულებითი ფუნქციებისაგან და მათი ყურადღების გამახვილება მეურნეობის რეგულირების პროცესზე ბიუროკრატიული კოორდინაციის მიზანშეწონილი მეთოდების საშუალებით მართვის და სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციული ფორმების გარდაქმნის სფეროში ხელს შეუწყობს, ერთის მხრივ, სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის ასოცირებული ფორმების განვითარება (კორპორაციების, კონცერნების, დარგთაშორისი გაერთიანებების, სააქციონერო საზოგადოებების, საწარმოთა ორგანიზაციების სხვა ფორმების), რომელთა შექმნა უნდა განხორციელდეს მათი ეკონომიკური ინტერესებისაგან გამომდინარე ინტეგრაციული პროცესების საფუძველზე, მეორეს მხრივ, არაფექტიური გაერთიანებების დაშლის, რიგი საწარმოების და ორგანიზაციების დაწვრილვითების პროცესი.

როგორც ერთი, ისევე მეორე პროცესი უნდა მიდიოდეს საკუთრების განსახელმწიფოებრიობის და პრივატიზაციის, წარმოების მართვის დეცენტრალიზაციის გზით.

არსებობს საშიშროება სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის ასოცირებული ფორმების განვითარებასთან ერთად მართვის მონოპოლური მექანიზმი გადატანილი იქნას კორპორაციული, საკონცერნო და სხვა ასოცირებული სტრუქტურების დონეზე. ამიტომ ასოცირებული სტრუქტურების ორგანიზაციის პროცესი უნდა განხორციელდეს ქვემოდან და გამომდინარეობდეს რესურსების, სიმძლავრეების, სხვადასხვაგვარი პროფილის წარმოებების კონცენტრაციის აუცილებლობიდან. იგი უნდა ხდებოდეს არა ყოფილი ვიწრო სპეციალიზებული სამინისტროების ჩარჩოებში, არამედ წარმოების დივერსიფიკაციის, წარმოებრივი მოქნილობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოების დანახარჯების შემცირების, წარმოებრივი და სამომხმარებლო მოთხოვნილების დაკმაყოფილების, კონკურენტული ურთიერთკავშირების განვითარების ინტერესების გათვალისწინებით. ასეთი სამეურნეო სტრუქტურები უნდა მოიცავდნენ „მსხვილი, საშუალო და წვრილი საწარმოების და სპეციალიზებული სამეურნეოანგარიშიანი ფუნქციონალური ცენტრების მთელ ჯგუფებს“ და წარმოადგენდნენ „რესურსების ეფექტური კომბინაციის ორგანიზაციულ-ეკონომიკურ მექა-

ნიზმს⁴. ყველა მათი ურთიერთკავშირები სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ხელისუფლებასთან აწყობილი უნდა იყოს არა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ბერკეტების საფუძველზე, არამედ საგადასახადო სისტემის და კანონმდებლობით დადგენილი წესების საფუძველზე. თუკი სხვადასხვა რანგის „მოხელეები“ გამოიჩინენ მისწრაფებას, რომ დაუქვემდებარონ ისინი რომელიმე სამინისტროს, შეზღუდონ მათი უფლებები, რაც ეწინააღმდეგება მათი შექმნის მთელ ლოგიკას, მაშინ საბოლოო შედეგში ბევრი მათგანი გადაიქცევა რიგით ბიუროკრატიულ ზედმეტობად.

მართვის დემონოპოლიზაციის საქმეში დიდი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს დარგობრივი და დარგთაშორისი სამრეწველო ასოციაციების შექმნას. ასეთი ასოციაციები არსებობენ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში და ასრულებენ სამეურნეო ინფორმაციის შეკრების და განაწილების ფუნქციებს მთელი ქვეყნის მასშტაბში და რეგიონების ჭრილში, ამუშავენ ფასებს და სტანდარტებს, ახორციელებენ საკონსულტაციო და კვლევით სამუშაოებს, უზრუნველყოფენ კადრების აღრიცხვისა და მომზადების საქმეს, ახალისებენ დარგობრივი ბარტნიორობის შექმნას, წარმართავენ დარგობრივი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის ფორმირებასთან დაკავშირებულ კოორდინაციის საკითხებს, ატარებენ კონსულტაციებს წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებაზე, იცავენ დარგების ინტერესებს მთავრობაში და სხვა ასოციაციებში და ა. შ.⁵. ამასთან, ისინი სრულიად არ არიან დასაქმებული ადმინისტრაციული თუ სამეურნეო საკითხების გადაწყვეტით, ესე იგი ისეთი საკითხებით, რომლებიც ერთის მხრივ, სამინისტროების კომპეტენციაში შედიან, მეორეს მხრივ — წარმოადგენენ საწარმოო-სამეურნეო ობიექტების მართვის ორგანოების კომპეტენციას.

მსგავსი ასოციაციების შექმნა ქრესპუბლიკაში ხელს შეუწყობს სამინისტროების და უწყებების განტვირთვის რიგი, ზემოაღნიშნული, ფუნქციების შესრულებისაგან, რომელთა რეალიზაცია უმჯობესია მოხდეს არა დირექტიულ-ადმინისტრაციული წესით, არამედ სამრეწველო-სამეურნეო ობიექტების (კონცერნების, ფირმების, კოოპერატივების და ა. შ.) ინტერესების გათვალისწინებით. მიგვაჩნია, რომ ასეთი ასოციაციების საქმიანობა წარმოადგენს ერთ-ერთ ქმედით მექანიზმს ბაზრის ეკონომიკის მართვის სტრუქტურების სისტემაში.

იმისათვის, რომ აცილებული იქნას მართვის მონოპოლური მექანიზმის გადატანა წარმოების ორგანიზაციის ასოცირებული ფორმების ჩარჩოებში, საჭიროა მათში აქტიურად განვითარდეს წვრილი საწარმოების ქსელი, რათა ისინი ორიენტირებულნი იქნენ ცალკეულ უზარმაზარ საწარმოთა ზომების შეზღუდვაზე, და აგრეთვე ბაზრის კონკრეტულ მოთხოვნილებებზე. ასეთი სტრუქტურების საერთო მართვა, პროგნოზირება და სტრატეგიული დაგეგმვა უნდა ხდებოდეს კოლექტივობის და კონკრეტული პიროვნებების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ეკონომიკური პასუხისმგებლობის პირობებში.

მართვაში მონოპოლიზმის ლიკვიდაციას ხელს შეუწყობს წარმოების დეკონცენტრაცია, პირველ რიგში, მსხვილი, არაეფექტური გაერთიანებების

⁴ Мильнер Б. Проблемы перехода к новым формам организации управления. Ж.: Вопросы экономики, 1989, № 10, с. 5.

⁵ Кузин Д. Проблемы отраслевого управления в капиталистической экономике и практика перестройки, Ж.: Вопросы экономики, 1989, № 10, с. 41, 42.

და საწარმოების დაშლის საფუძველზე, და მათ ნიადაგზე ისეთი საწარმოების შექმნა, რომლებიც კონკურენციას გაუწევენ ერთმანეთს. მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა თავისი ნებით შევიდნენ წარმოების ორგანიზაციის სხვადასხვაგვარ ასოცირებულ ფორმებშიც. მართვის მონოპოლური ორგანიზებისაგან დამოუკიდებლობის პირობებში დაწვრილერთეულზე უფრო საწარმოები მოიპოვებენ თავისუფლებას სამეურნეო საქმიანობის სტრატეგიის შერჩევაში, შესაძლებლობა მიეცემათ ამაღლონ მეურნეობის გაძლიერების დინამიზმი, წარმოებრივი მოქნილობა და ამთვისებლობა ბაზრის მოთხოვნილებების შესაბამისად. ამას ხელს შეუწყობს სამეურნეო პარტნიორობის თავისუფალი შერჩევის და აგრეთვე საკრედიტო ორგანიზაციებთან თავისუფალი ურთიერთმოქმედების შესაძლებლობა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ასეთი საწარმოებისათვის აუცილებელია განსაზღვრული იქნას ტრანსფორმაციის სახე სახელმწიფოებრივისაგან ყველაზე უფრო მიზანშეწონილი საკუთრების ფორმაში (სააქციონერო, კოოპერატიული, კერძო, ერთობლივი საწარმო და სხვა).

მაშასადამე, მსხვილი საწარმოების ეფექტური ფორმების ორგანიზაციასთან ერთად არ უნდა იყოს იგნორირებული დიდი შესაძლებლობანი, რომელიც დაკავშირებულია საშუალო და, განსაკუთრებით, წვრილი საწარმოების როლის ამაღლებასთან და ინტენსიურ განვითარებასთან. მათი შექმნა და განვითარება წარმოადგენს არა მარტო საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას, არამედ დეცენტრალიზაციის და დემონოპოლიზაციის პროცესის მნიშვნელოვან ფაქტორსაც. როგორც გვიჩვენა წარმოების გამოცდილებამ, რაც შემთხვევაში მსხვილი და უდიდესი საწარმოები არიან ნაკლებად ეფექტიანები, უფრო წვილ საწარმოებთან შედარებით, მათ ახასიათებს ინერციული იერარქიული მართვის სტრუქტურა, მათ უფრო ნაკლები უნარი გააჩნიათ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამთვისებლობაში.

თანამედროვე პირობებში საწარმო-სამეურნეო ორგანიზაციის ფუნქციონირების ეფექტიანობის ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელს წარმოადგენს წარმოებრივი მოქნილობის დონე, რომელიც გამოქვეყნებული უნდა იქნას მისი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში: წარმოების მოცულობის ვარიაციების მოქნილობა; მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ოპერატიულობა; მომხმარებლის მოთხოვნილებებზე თავისდროული რეაგირება და, ამასთან დაკავშირებით, ერთი სახეობის ნაკეთების გამოშვებისაგან სხვა ნაკეთებზე სწრაფი გადასვლის ან პროდუქციაში გაუმჯობესების შეტანის უნარიანობა; რესურსების ყველა სახეობების მოხერხებული მანევრირება, მათ შორის საფინანსო რესურსებით; წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის საჭირო მიმართულებებით ორგანიზაციული სტრუქტურების და მართვის მექანიზმის თავისდროული გარდაქმნის უნარიანობა.

ამიტომ, თანამედროვე ეტაპზე შეინიშნება მექანიზაციის და ავტომატიზაციის მაღალი დონის მქონე ვიწროსპეციალიზებული მცირე წარმოებების შექმნის ტენდენცია. მაგალითად, გფრ-ის და იაბონის ჩარხმშენებელი ფირმები ფართოდ კოოპერირდებიან წვილ და წვირილმან ფირმებთან, რომლებიც დასპეციალიზებულნი არიან ცალკეულ ოპერაციებზე ან ცალკეული დეტალების და უნიფიცირებული კვანძების წარმოებაზე.

წვრილი და საშუალო დასპეციალიზებული წარმოებების ქსელის ორგანიზაცია ხელს შეუწყობს მიმწოდებლების მონოპოლიისადმი წინააღმდეგობის გაწევას. მაგალითად „ჯენერალ მოტორსი“ და აშშ სხვა საავტომობილო კონცერნები „გარემომორტყმულნი არიან ათეულ ათასობით წვრილი საწარმოებით, რომლებიც ამზადებენ საკომპლექტო დეტალებს კონცერნის სპეციალური შეკვეთების მიხედვით, მისი სპეციფიკაციებით. საწარმოოც — დამოუკიდებელია, ეკუთვნის თავის პატრონს, და არა რომელიმე სხვა კონცერნგანანტს. ეს იმის საშუალებას აძლევს, რომ საკომპლექტო დეტალები და პროდუქცია მიღებული იყოს თავის დროზე და ჰქონდეს საჭირო ხარისხი, რადგანაც ასეთი წვრილი საწარმოები მთლიანად დამოკიდებულები არიან მყიდველისაგან და მთელი პასუხისმგებლობით უფრო ხილდებიან კონცერნთან გაფორმებული ზელმეკრულების შესრულებას“⁶.

იგივე ეხება სამომხმარებლო საქონლის და მომსახურების სფეროსაც, რომელთა წარმოებას უმრავლეს შემთხვევაში უფრო უკეთ უზრუნველყოფენ არა მსხვილი საწარმოები, არამედ წვრილი და საშუალო საწარმოები და აგრეთვე ცალკეული მომუშავეები და ოჯახებიც.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მცირე ბიზნესი ყოველდღიურად, ყოველ საათს იკვლევს ბაზრის შესაძლებლობებს და უფრო სწრაფად აძლევს პასუხს, საჭიროა თუ არა მისი პროდუქტი მყიდველისათვის, ვიდრე ყოველგვარი გამოკვლევები და პროგნოზები⁷.

მაშასადამე, მიზანშეწონილია წვრილი, საშუალო, მსხვილი და ზემსხვილი საწარმოების ორგანული შეხამება. წარმოების ორგანიზაციის ეფექტურ თანამედროვე ფორმებად, რომლებიც უზრუნველყოფენ მისი მოქნილობის ამღლებას, ხელს უწყობენ მოთხოვნილებების უფრო სრულ დაკმაყოფილებას, მონოპოლიზმის ლიკვიდაციას, უნდა ჩაითვალოს წვრილი ვიწროსპეციალიზებული საწარმოების შექმნა, რომლებიც აწარმოებენ ცალკეულ დეტალებს, კვანძებს, ამასთანავე შეუძლიათ სწრაფად გადავიდნენ სხვა სახეობის პროდუქციის გამოშვებაზე. საჭიროა აგრეთვე ასეთი დარგთაშორისი საწარმოების შექმნა და განვითარება, რომლებიც მოსახლეობისათვის საქონელს აწარმოებენ და უწყვენ მას მომსახურებას:

მაშასადამე, წარმოებრივი და მმართველობის სტრუქტურების მსოფლიო ტენდენციებისა და აგრეთვე არსებული გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე, უნდა გატარდეს წვრილ და საშუალო საწარმოთა შექმნისა და განვითარების მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებული იქნება საკუთრების აქციონერულ, კერძო, კოოპერატიულ და სხვა ფორმებზე. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ მიზნით საჭიროა გატარდეს წარმოების დეკონცენტრაცია, არაეფექტური სახელმწიფოებრივი გაერთიანებების და საწარმოების დაწვრილურთეულება, მათი ნაწილების იჯარაში, აქციონერულ, კოოპერატიულ და კერძო საკუთრებაში გადაცემის საფუძველზე.

მეურნეობის გაძლიერების წვრილი ფორმების ქვესისტემის ფორმირება, რომლებიც ფუნქციონირებენ შეჯიბრების საფუძველზე, უშუალოდ მსხვილი გაერთიანებებისა და საწარმოების შემადგენლობაში, და აგრეთვე დამოუკი-

⁶ Меньшиков С. Катастрофа или катарсис? — М.: Интер-версо, 1990, с. 39.

⁷ Покровский В. А. «Правила игры» для конкурентов. газ. «Экономика и жизнь», 1990, июль, № 27, с. 7.

დებელი წვრილი საწარმოების ფართო ქსელის შექმნა და განვითარება მოემსახურება აგრეთვე მართვის დებიუროკრატიზაციის საქმეს, მათ შორის კონკრეტული ურთიერთობების დამყარებას.

რეკომენდაციების დასამუშავებლად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მსხვილი, საშულო და წვრილი საწარმოების რაციონალური შეფარდების უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილი იქნება რესპუბლიკის მთავრობაში შექმნას სპეციალური ორგანო (კომისია).

სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მართვის დემონოპოლიზაცია რეგიონალურ დონეზე უპირველეს ყოვლისა უნდა განხორციელდეს სახელმწიფოებრივი საკუთრების განსახელმწიფოებრიობის, პრიატიზაციის და მუნიციპალიზაციის, აგრეთვე ახალი ადგილობრივი კერძო საწარმოებისა და ორგანიზაციების ფართო ქსელის შექმნის საფუძველზე. საჭიროა ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც მიმართული იქნებოდნენ წამგებიანი და მცირე რეგულაციური საწარმოების ლიკვიდაციისაკენ ან მათ გადაცემაზე კერძო სექტორში, მომდევნო მოდერნიზაციის ან პროფილის შეცვლის განხორციელებით. რეგიონის წარმოებრივი და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, საჭიროა წილობრივი წესით მოზიდული იქნას მის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების სახსრები, ხელი უნდა შეუწყოს რეგიონის ტერიტორიაზე მსხვილი საწარმოების, კონცერნების, კორპორაციების და სხვა ასოცირებული სტრუქტურების ფილიალების შექმნას და განვითარებას. ურთიერთობები ადგილობრივი მეურნეობის მუნიციპალურ და კერძო სექტორს შორის, და აგრეთვე ეკონომიკური კავშირები სხვა რეგიონებთან დაფუძნებული უნდა იყოს სასაქონლო-ფულად ურთიერთკავშირებზე, რაც ხელს შეუწყობს წარმოების საშუალებების და მოხმარების საგნების, ინვესტიციურ და ინოვაციური ბაზრების ფორმირებას.

თანამედროვე ეკონომიკის პირობებში ვერც ბაზარს, ვერც სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ მმართველობას, ვერც კორპორაციულ და საფირმო მმართველობას ცალ-ცალკე არ შეუძლიათ უზრუნველყონ მეურნეობის კოორდინაცია, მისი სტაბილური პროპორციული ზრდა. როგორც სახელმწიფო, ისევე რიგ კორპორაციულ ორგანოებში ხდება მართვის მონოპოლიზაცია და ბიუროკრატიზაცია, რასაც ხელს უწყობს ორგანიზაციის დიდი ზომები, მრავალდონიანი სტრუქტურა, რომელიც ცვლილებებს მცირედ განიცდის, და ამასთან დაკავშირებით ადვილი აქვს ინერტულობას, მართვაში არასაკმარის მოქნილობას, მცირე ამთვისებლობას და ზშირადაც წინააღმდეგობებს სიახლეების დანერგვაში. ამიტომ საჭიროა მეურნეობის სახელმწიფოებრივი, კორპორაციული და საბაზრო კოორდინაციას შორის ხელსაყრელი პროპორციების დამყარება, რასაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო-ბიუროკრატიული და საბაზრო რეგულაციის სათანადო ურთიერთმოქმედება მართვის თანამედროვე პროგრესულ ორგანიზაციული ფორმების სიმრავლის არსებობის პირობებში. ეკონომიკური თავისუფლების სახელმწიფო და საბაზრო შეზღუდვებმა, არ უნდა დაუშვან ანარქია და თვითნებობა სამეურნეო საქმიანობაში, ხელი უნდა შეუწყოს მის მიზანშეწონილ ეკონომიკურ ზრდას.

მსოფლიოს პრაქტიკა უჩვენებს, რომ სახელმწიფოებრივი კოორდინაციის უზრუნველყოფისათვის საჭიროა 10-20 სამინისტროსა და უწყების არსებობა, რომელნიც კურიერებენ ეკონომიკის მთავარ სფეროებს. ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ზემოქმედება საჭიროა ტექნიკურად ჩამორჩენილი

დარგების რეორგანიზაციისათვის, და აგრეთვე ახალი პროგრესული დარგების განვითარებისათვის, რაც პრაქტიკაშია გამოყენებული რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში მიზნობრივი საფინანსო ღონისძიებების რეალიზაციისა და აბაზირდაპირი მარგულირებელი მეთოდების საფუძველზე.

განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მართვის სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ორგანოების კოორდინაციის ფუნქციების რიცხვში შედის: ბაზრის და კონკურენციის კონტროლი, კონკურენციის, კოოპერაციის და საგეგმო ინდიკატური საწყისების შეხამების უზუნველყოფა, დარგების სტრუქტურაზე მიზანმიმართული ზემოქმედება, ფირმების საინფორმაციო მომსახურება და სხვა, და აგრეთვე ახალი დარგების განვითარებისათვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა (წასახალისებელი საგადასახადო რეჟიმი, ლიდერების მხარდაჭერა, კონტრაქტების დადება, შესყიდვების განხორციელება, კვლევების გადაცემა სახელმწიფოებრივი ლაბორატორიებიდან მრეწველობაში და ა. შ.)⁸.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მართვის ორგანიზაციული ფორმების სიმრავლე გულისხმობს კორპორაციების, კონცერნების, სამეურნეო საქმიანობის სხვა ასოცირებული ფორმების ჩამოყალიბებას, დამოუკიდებელი კერძო ფირმების და კოოპერატივების შექმნას, წვრილი საწარმოების ქსელის განვითარებას და აგრეთვე იმ საწარმოებისათვის, რომლებიც რჩებიან სახელმწიფო სექტორში, სამეურნეო-საკომერციო დამოუკიდებლობის მინიჭებას საბაზრო კონკურენციაში მონაწილეობის პირობებში.

და ბოლოს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აუცილებელია ბაზრის ინფრასტრუქტურის ელემენტების თანამიმდევრული შექმნა, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბოს შესაბამისი ეკონომიკური გარემო და ხელი შეუწყოს კონკურენტული ურთიერთკავშირების დამყარებას. კაპიტალისტურ ქვეყნებში მოქმედებს რამდენიმე ათეული სპეციფიკური საბაზრო სტრუქტურა, მათ შორის კომერციული ბანკები, სააუდიტორიო ორგანიზაციები, დამზღვევი კომპანიები, მარკეტინგული, კონსალტინგური, ინჟინირინგული და სხვა ფორმები და ორგანიზაციები. საბაზრო ინფრასტრუქტურის ელემენტების ნაწილი შეიძლება შეიქმნას სამეურნეო საქმიანობაში მონაწილეების მიერ თავისი სახსრების ხარჯზე. მაგრამ, რომ ეს პროცესი სახსრების ნაკლებობის გამო არ გაგრძელდეს მრავალი წლის მანძილზე, საჭიროა სახელმწიფოებრივი მიშველება შესაბამისი სახსრების გამოყოფის გზით. საბაზრო ინფრასტრუქტურის ელემენტების ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა აგრეთვე შეიქმნას საფუძვლიანი ნორმატიული ბაზა საბაზრო ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების საქმიანობის კონკრეტული სახეებისათვის შესაბამისი კანონების და საკანონმდებლო აქტების დამუშავების გზით.

მაშასადამე, გადასვლა ორგანიზებულ რეგულირებად ბაზარზე საჭიროებს შესაბამისი მეურნეობის წარმოების ამ ხერხისათვის საკუთრების სახეობების სხვადასხვაობის პირობებში მართვის და წარმოების მრავალგვარი ფორმების და სტრუქტურების და საბაზრო ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების განშტოებული ქსელის შექმნას, და აგრეთვე კოორდინაციის სახელმწიფოებრივი და საბაზრო მეთოდების მჭიდრო თანამოქმედებას.

⁸ Кузин Д. Проблемы отраслевого управления в капиталистической экономике и практика перестройки, Ж.: Вопросы экономики, 1989, № 10, с. 38, 41.

В. БУРДУЛИ

ВОПРОСЫ ДЕМОНОПОЛИТИЗАЦИИ ПРАВЛЕНИЯ

Резюме

В работе на основе критического подхода к командно-административной бюрократической системе управления рассмотрены соответствующие условиям рыночной экономики пути рестройки управленческих и производственных структур: Рассмотрены вопросы изменения функций министерств и ведомств, разграничения экономических функций управления между государственными, ассоциативными и непосредственно частными органами управления и элементами рыночной инфраструктуры. Рассмотрены вопросы развития мелких и средних производств, основанных на частной и других формах собственности, и их важная роль в повышении гибкости экономики, развитии конкуренции и рыночных отношений. Предложены пути формирования ассоциативных (корпоративных, концерновых и др.) и рыночных структур управления.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის რეგიონალური ეკონომიკის განყოფილებამ

ა. ჩიქოვანი, თ. თურმანიძე

მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის დარღობრივ- ტერიტორიული ასპექტები

მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის პრობლემების სიღრმისეულ შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში. ამ პრობლემებს ახლებური გააზრება სჭირდებათ, განსაკუთრებით შიგარესპუბლიკური რეგიონების მიხედვით, კერძოდ, მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობა ადმინისტრაციული რაიონის დონეზე საერთოდ შეუსწავლელია, ამ სფეროში ეკონომიკური აზროვნების მიღწეული დონე აშკარად ჩამორჩება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მოთხოვნებს.

ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის პრობლემები მეტ-ნაკლებად შესწავლილია მთლიანად რესპუბლიკური მასშტაბით და ცალკეული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვ. გორგილაძემ¹ თავის დროზე შეისწავლა მსყიდველობითი ფონდების, საცალო საქონელბრუნვისა და მისი სასაქონლო უზრუნველყოფის ტერიტორიული თანაფარდობის პრობლემები, მაგრამ ამ გამოკვლევაში განუხილველი დარჩა რიგი პრობლემებისა, რომლებიც კიდევ უფრო გამწვავდნენ მომდევნო პერიოდში და შესაბამისად მათი შესწავლის აქტუალობაც უფრო გაიზარდა. ამ გამოკვლევის ძირითადი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ კვლევის მიღმა დარჩა დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა შიგარესპუბლიკური რეგიონების (პირველ რიგში, ადმინისტრაციული რაიონების) მიხედვით.

ეკონომისტთა შორის ფართო დისკუსია წარმოებს იმის გარშემო, თუ რას უნდა სწავლობდეს მოსახლეობის მოთხოვნა. ეკონომისტთა ერთ ნაწილს (მაგ. პროფ. მ. მოჩალოვი) მიაჩნია, რომ მოთხოვნა უნდა შეისწავლებოდეს ვაჭრობის მიერ, რომელმაც უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მოცულობა და სტრუქტურა, საქონლის რეალიზაციის პოტენციური შესაძლებლობები. ამ ეკონომისტთა აზრით, საწარმოს ფუნქციად რჩება მხოლოდ საქონლის წარმოება სავაჭრო ორგანიზაციების დაკვეთით, ასორტიმენტის გაფართოება, რეკლამირება და სხვ.

ეკონომისტთა მეორე ნაწილის აზრით, მოთხოვნის შესწავლისათვის საჭიროა სათანადო დაკვირვებები, საოჯახო ბიუჯეტების სპეციალური დამუშავება და ა. შ. მაგ. პროფესორი პ. მასლოვი ამტკიცებს: „რატომღაც თანამედროვე პირობებში სამომხმარებლო მოთხოვნის შესწავლას ახორციელებს ვაჭრობის უწყება. ამასთან, ეს სფერო წმინდად სტატისტიკურ ხასიათს ატა-

¹ ვ. გორგილაძე, მსყიდველობითი ფონდები, საცალო საქონელბრუნვა და მათი ტერიტორიული გადაადგილება საქართველოში, თბ., 1969.

რებს. აქ საჭიროა შედეგებზე დაკვირვებისა და დამუშავების თანამედროვე სტატისტიკური მეთოდების გამოყენება. განა საქმე ისაა, თუ მოცემული ჯგუფის რა თანხის საქონელი გაიყიდა? მოსახლეობის რა ფენები, რა პროპორციებით და რამდენს ყიდულობენ — აი რა მონაცემებია საჭიროა².

სპეციალისტების მესამე ჯგუფის აზრით, საჭიროა კაპიტალისტური ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, სადაც მოთხოვნის შესწავლას საკუთარ პროდუქტიაზე აწარმოებენ, სამრეწველო ფირმები.

თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საწარმო-გასაღების და სავაჭრო საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის სისტემა, რომელმაც მიიღო მარკეტინგის, ან მართვის საბაზრო კონცეფციის სახელწოდება.

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი პროფ. ლ. როზენბერგი აღნიშნავს, რომ მარკეტინგის სტრატეგია წარმოადგენს სამომხმარებლო მოთხოვნის ფორმირების საქმიანობის შერწყმას მოქიშპე ფირმების შთანთქმის საქმიანობასთან.

ჩვენ ვეთანხმებით პროფ. ლ. როზენბერგის მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ საქართველოს თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოთხოვნის შესწავლის არსებული სისტემის შეცვლას მარკეტინგის სისტემით. ეს პროცესი უნდა განხორციელდეს დარგობრივ-ტერიტორიულ ჭრილშიც.

მარკეტინგის სისტემის უპირატესობა, მოთხოვნის შესწავლის არსებულ სისტემასთან შედარებით, იმაში მდგომარეობს, რომ მისი მეშვეობით შესაძლებელი ხდება მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის ოპტიმიზაცია, მოთხოვნის შესწავლა მიწოდებისაგან მოწყვეტით, განსაკუთრებით, საქონლის ქრონიკული დეფიციტის პირობებში, რაგინდ მაღალ მეცნიერულ დონეზეც არ უნდა ხდებოდეს იგი, არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია.

რესპუბლიკაში დღესდღეობით არ არსებობს მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის მეცნიერულ-ეკონომიკურად შესწავლის მექანიზმი, ადმინისტრაციული რაიონის დონეზე: თითოეული ადმინისტრაციული რაიონის მოსახლეობას უყალიბდება მოთხოვნის სპეციფიკურად ჩამოყალიბებული სტრუქტურა, გამომდინარე ბუნებრივ-კლიმატური, ეკონომიკური, სოციალური, ყოფა-ცხოვრებითი, ადამ-წესებისა და ტრადიციების და ა. შ. ფაქტორების კომპლექსური ურთიერთმოქმედების შედეგად. ყველა ამ ფაქტორის შესწავლა ძალიან შორს წავიყვანდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში შესაძლებელი იყო შესწავლილიყო მსყიდველობითი ფონდებისა და საცალო საქონელბრუნვის თანაფარდობის საკითხები საერთო მოცულობის მიხედვით ადმინისტრაციული რაიონის დონეზე. დღეს ამ შესაძლებლობასაც მოკლებულნი ვართ. რატომ?

მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის ტრადიციულად ჩამოყალიბებული დარგობრივ-ტერიტორიული ასპექტები ერთმანეთთან არავითარ კოორდინაციაში არ იმყოფებიან. ეს გარემოება განპირობებულია იმით, რომ რესპუბლიკის რიგი რაიონების მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებას უწევს არა ერთი და ორი სავაჭრო უწყება, ეს სავაჭრო უწყებები ფუნქციონირებენ თავიანთი ვიწრო უწყებრივი ინტერესებიდან, და არა მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების ინტერესებიდან გამომდინარე. როგორც ცნობილია, ვაჭ-

რობის სამინისტროს სისტემა ძირითადად ემსახურება ქალაქის მოსახლეობას, ცეკავშირის სისტემა კი კოოპერატივის განვითარების სისტემა — სოფლის მოსახლეობას. ადმინისტრაციულ რაიონებში, ვაჭრობის სამინისტროს სისტემის გარდა, ფუნქციონირებენ სახელმწიფო ვაჭრობის სხვა ორგანიზაციები. მათი სამოქმედო ზონები მკვეთრად როდია გამიჯნული.

ცხრილი 1

საქართველოს სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა (საზოგადოებრივი კვების ჩათვლით)* (პროცენტებში)

წლები	საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობა	საცალო საქონელბრუნვის განაწილება					
		I		II		III	
		სახელმწიფო ვაჭრობა	კოოპერატიული ვაჭრობა	საცალო ვაჭრობა	საზოგადოებრივი კვება	ქალაქად ვაჭრობა	სოფლად ვაჭრობა
1980	100	68,6	31,4	88,9	11,1	91,6	18,4
1985	100	70,1	29,9	89,4	10,6	82,2	17,8
1986	100	70,3	29,7	89,9	10,1	81,0	19,0
1987	100	69,7	30,3	89,6	10,4	81,3	18,7
1988	100	70,0	30,0	89,7	10,3	81,3	18,7
1989	100	70,1	29,9	90,2	9,8	81,6	18,4

როგორც ეკონომიკური ანალიზი გვიჩვენებს, კოოპერატიული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქებზე და ქალაქის ტიპის დასახლებებზე მოდის. ცხრილი 1-ის მონაცემებიდან ჩანს, რომ 1980-1989 წლებში სოფლად ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა რესპუბლიკის საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში საშუალოდ შეადგენს 18,4 პროცენტს. ეს ციფრი ზუსტად როდი ასახავს სოფლის მოსახლეობის მოთხოვნას. სხვაობამ კოოპერატიული და სოფლად ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის ხვედრით წონებს შორის 1980 წელს შეადგენდა 13,0%, 1985 წ. 12,1%, 1986 წ. — 10,7%; 1987 წ. — 11,6%, 1988 წ. — 11,3%, 1989 წელს კი — 11,5%. ეკონომიკური ანალიზით ვრწმუნდებით, რომ კოოპერატიული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში სოფლად ვაჭრობის ხვედრითი წონა შეადგენდა 1980 წელს — 18,4%, ქალაქად ვაჭრობა — 13,0%, 1985 წელს 17,8 და 12,1%, 1986 წ. — 19,0 და 10,7%, 1987 წ. — 18,7 და 11,6%, 1988 წ. — 18,7 და 11,3%, 1989 წ. კი 18,4 და 11,5%.

აღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ცეკავშირის სისტემა საკმაოდ ღრმად შეჭრილი ვაჭრობის სამინისტროს სისტემის სამოქმედო ზონაში, რაც გაუმართლებლად მიგვაჩნია.

ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით მოთხოვნისა და მიწოდების თანფარდობის შესასწავლად, პირველ რიგში, აუცილებლად მიგვაჩნია საცალო საქონელბრუნვის ეკონომიკური ანალიზი რაიონების მიხედვით საქართველოს

* ცხრილი შედგენილია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის „ვაჭრობა და მომსახურება საქართველოში“ საფუძველზე.

4. „მაენე“, ეკონომიკა და სამართალი, 1991, 4

ადმინისტრაციული რაიონების საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში, უმეტეს შემთხვევაში, უპირატესი ხვედრიწონა უკავია რაიკოოპერატიული ორგანიზაციების საქონელბრუნვას (80-90%). თუმცა, საქართველოს 11 რაიონში მათი საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში მნიშვნელოვანი, ზოგჯერ კი უპირატესი ხვედრითი წონა უკავია სხვა სავაჭრო სისტემების საქონელბრუნვას, რაც მიზანშეუწონელია, კერძოდ, 1989 წელს ახალციხის რაიონში საცალო საქონელბრუნვამ შეადგინა 59,4 მლნ. მანეთი, აქედან, კოოპერატიულ ვაჭრობაზე მოდიოდა 24,5 მლნ. მანეთი (41,2%), ბოლნისის რაიონში ეს მონაცემები შესაბამისად შეადგენდა 50,3 და 31,1 მლნ. მანეთს (61,8%), ბორჯომის რაიონში — 49,8 და 11,5 მლნ. მან., (23,1), თელავის რაიონში — 94,6 და 25,6 მლნ. მან., (27,1%), მცხეთის რაიონში — 134,2 და 49,1 მლნ. მან. (36,6%), ოზურგეთის რაიონში — 104,0 და 46,6 მლნ. მან. (44,8%), საგარეჯოს რაიონში 41,3 და 30,7 მლნ. მან. (74,3%), სამტრედიის რაიონში — 99,0 და 31,6 მლნ. მან. (31,9%), სენაკის რაიონში — 70,7 და 19,1 მლნ. მან. (27,0%), გარდაბნის რაიონში — 91,8 და 54,1 მლნ. მან. (58,9%) და სხვ.

აღნიშნულ რაიონებში ვაჭრობის მართვის მრავალრგოლიანობა იწვევს სირთულეებს მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის მეცნიერულ-ეკონომიკური შესწავლის საქმეში, ამდენად, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა დღის წესრიგში აყენებს საკითხს ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით ვაჭრობის მართვის სფეროში პარალელიზმისა და დუბლირების აღმოფხვრის, მრავალრგოლიანობის მოსპობის შესახებ. ეს კი გულისხმობს, რომ ადმინისტრაციული რაიონის მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების ხარისხი არ გაუმჯობესდება, უპირატესობა თუ არ მივანიჭებთ ტერიტორიულ პრინციპს.

მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის დარგობრივ-ტერიტორიული ასპექტები გულისხმობენ მრავალი მეთოდოლოგიური პრობლემების გადაჭრას, ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა ადმინისტრაციული რაიონის მოსახლეობის მოთხოვნის საერთო მოცულობის გაანგარიშება, რომ აღარაფერი ვთქვათ მის სტრუქტურაზე.

ამემად, ადმინისტრაციული რაიონის დონეზე მოთხოვნის მოცულობა, რაც აისახება მსყიდველობითი ფონდების სიდიდეში, არ გაიანგარიშება, იგი წარმოებს მხოლოდ ცეკავშირის სისტემის სამოქმედო ზონის მიხედვით რაიკოოპერატიული ორგანიზაციების ჭრილში. რაიკოოპერატიული ორგანიზაციების მიერ მომსახურე მოსახლეობის მიხედვით მსყიდველობითი ფონდების მაჩვენებლები როდი აისახვენ მთელი რაიონის მოსახლეობის მოთხოვნას, მით უმეტეს იმ რაიონებში, სადაც კოოპერატიული ორგანიზაციების საცალო საქონელბრუნვის ხვედრითი წილი რაიონის საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში შედარებით დაბალია, ეკონომიკურ გამოკვლევებში ხშირად „სოფლის მოსახლეობა“ ვაიგვებუღია სამომხმარებლო კოოპერაციის მომსახურე ზონის მოსახლეობასთან, რაც დაუშვებელია. ასევე არ შეიძლება ერთმანეთთან ვაიგვიგვიოთ ადმინისტრაციული რაიონის მოსახლეობის მსყიდველობითი ფონდები და კოოპერატიული ორგანიზაციის მომსახურე ზონის მოსახლეობის მსყიდველობითი ფონდები, თუმცა იმ რაიონებში, სადაც, კოოპერატიული ორგანიზაციების საცალო საქონელბრუნვის ხვედრითი წონა რაიონის საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში უპირატესია, კოოპერატიული ორგანიზაციების მომსახურე ზონის მოსა-

ხლეობის მსყიდველობითი ფონდებისა და საცალო საქონელბრუნვის თანაფარდობა ზუსტად ასახავს რაიონის მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების დონეს.

ადმინისტრაციული რაიონის მოსახლეობის მოთხოვნის საერთო მოცულობის გასაანგარიშებლად სათანადო ყურადღებით უნდა მოვეციდეთ რაიონული საკასო გეგმების შესრულების მონაცემებს, რაც სპეციალური შესწავლის საგანია. განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება საემისიო შედეგებისა და ანაბრების შესწავლას ადმინისტრაციული რაიონების ჭრილში. მათი შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს მეტი სიზუსტით განვსაზღვროთ ადმინისტრაციული რაიონის მოსახლეობის პოტენციური სყიდვითუნარიანობა.

ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ბოლო ხანებში გარკვეული ყურადღება მიაქციეს საემისიო შედეგებისა და ანაბრების შესწავლის მნიშვნელობას რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნის საერთო მოცულობის, ანუ მისი მსყიდველობითი ფონდების განსაზღვრის საქმეში, მაგრამ რატომღაც გვერდი აუარეს ამავე ფაქტორებს ადმინისტრაციული რაიონის მოსახლეობის მოთხოვნის შესასწავლად.

სტატიის მოცულობის შეზღუდულობის გამო ჩვენ არ გვექონდა შესაძლებლობა დეტალურად შეგვესწავლა საემისიო შედეგებისა და ანაბრების გავლენა მოთხოვნის ფორმირების პროცესზე ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით, მაგრამ ვფიქრობთ საემისიო შედეგებისა და ანაბრების საერთო ჯამის უდიდესი ნაწილი დაუკმაყოფილებელი მოთხოვნითაა განპირობებული და წარმოადგენს რეალურ მსყიდველობითი ფონდების შემადგენელ კომპონენტს, რაიონულ ჭრილში. ამ პოზიციიდან გამომდინარე, საემისიო შედეგებისა და ანაბრების ჯამი მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით საცალო საქონელბრუნვის ზრდის რეზერვს ფულადი უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

გვინდა ზაზგასმით აღვნიშნოთ, რომ რესპუბლიკის უმრავლეს რაიონში საკასო გეგმების შესრულება საემისიო შედეგებით მთავრდება, ახალციხის, ბორჯომის, საჩხერის, გუდაუთის, ზესტაფონის რაიონებში კი შეიმჩნევა მიმოქცევიდან ფულის ამოღება. აქ ზაზი გვინდა გავუსვათ ერთ გარემოებასაც: საკასო გეგმის მიხედვით გაანგარიშებული საემისიო შედეგი რაიონების მიხედვით გარკვეულ კორექციას საჭიროებს, რამდენადაც იგი ასახავს ორგანიზაციებისა და საწარმოების სალაროს ბრუნვასაც, თუმცა ეს მაჩვენებელი იმდენად მცირეა, რომ საემისიო შედეგების ზოგადი კანონზომიერების შესწავლაზე რაიმე გავლენას ვერ ახდენს.

ჩვენი აზრით, საუკუთო ამონაგები რაიონულ ჭრილში მიტ-ნაკლები სიზუსტით ასახავს რაიონის მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების მდგომარეობას, რამდენადაც იგი განასახიერებს რაიონის საცალო საქონელბრუნვის მოცულობას. ამ მაჩვენებელში, რა თქმა უნდა, არა ჩანს, თუ რამდენად სწორადაა შეხამებული რაიონის ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი სავაჭრო სისტემების უწყებრივ-ტერიტორიული ინტერესები, გამომდინარე რაიონის მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების ინტერესებიდან. უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვი, რომ ამგვარი საერთო ინტერესები საერთოდ არ არსებობს. უბრალოდ, სავაჭრო ამონაგებში, როგორც რაიონული საკასო გეგმის შემოსავლების ფორმირების ძირითად მაჩვენებელში, ავტომატურად აისახე-

ბა რაიონის ტერიტორიაზე მოქმედი სავაჭრო სისტემების საცალო საქონელბრუნვის ჯამი, მიუხედავად საერთო ინტერესების არქონისა. ამრიგად, სავაჭრო ამონაგების გეგმის შესრულება რაიონულ ჭრილში გარკვეული ზომით ასახავს მოთხოვნის დაკმაყოფილების სურათს. უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მრავალ რაიონში სავაჭრო ამონაგების გეგმები არ სრულდება. ასე მაგალითად 1989 წელს მცხეთის რაიონში სავაჭრო ამონაგების გეგმა შესრულდა 89%, ონის რაიონში 84%, ვარდაბნის რაიონში — 81,0%, ბოლნისის რაიონში — 88,9% ლენტეხის რაიონში — 86,1% და და ა. შ. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ სავაჭრო ამონაგების სიდიდეში სინთეზურად ასახება როგორც რაიონის მოსახლეობის რეალიზებული მოთხოვნა, ისე წვრილბითუმული ვაჭრობის ბრუნვაც. წვრილბითუმად ვაჭრობის ბრუნვის ეკონომიკური ანალიზი ბოლო წლებში სათანადოდ შესწავლას მოითხოვს, რამდენადაც საწარმოებისა და ორგანიზაციების მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასვლასთან დაკავშირებით მკვეთრად გაიზარდა მისი მოცულობა. ეს შეეხება რაიონულ ჭრილსაც.

სახელმწიფო ბანკის საკასო ბრუნვის მაჩვენებლები ფართოდ შეიძლება გამოვიყენოთ რაიონის მასშტაბით მსყიდველობითი ფონდებისა და ფულის მიგრაციის განსაზღვრისას. სირთულეებთანაა დაკავშირებული ფულის რაიონთაშორისო მიგრაციის სიდიდის განსაზღვრა, რაც ძირითადად განპირობებულია იმით, რომ რაიონული მასშტაბით არ ხდება ხელზე ნაღდ ფულად არსებული დანაზოგების გაანგარიშება. მხოლოდ საემისიო შედეგი კი ნათელ წარმოდგენას ვერ გვაძლევს ფულის რაიონთაშორისო მიგრაციის შესახებ.

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვისარგებლოთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის სახალხო მეურნეობის ბალანსის განყოფილების მიერ დამუშავებული მაკეტებით, მოსახლეობის ფულად შემოსავლებისა და გასაღების ბალანსის სოციალური ჯგუფების მიხედვით შედგენილი მაჩვენებლების ანალიზით. ამ მაკეტებში ასახება საემისიო შედეგი მისი შემადგენელი კომპონენტებით, ე. ი. ფულის გატანისა და ხელზე ნაღდ ფულად არსებული დანაზოგების ჯამი, კერძოდ, 1985 წელს საემისიო შედეგმა საქართველოს მოსახლეობის ფულადი შემოსავლებისა და გასაღების ბალანსის მიხედვით შეადგინა 6794 მლნ. მან., აქედან ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გავიდა 560,0 მლნ. მანეთი, ანუ 82,4%, არაორგანიზებული დანაზოგების სახით ჩაწვა 119,4 მლნ. მანეთი (17,6%). 1989 წელს საემისიო შედეგი 1,7 ჯერ გაიზარდა და მიადწია 1130,8 მლნ. მანეთს, ფულის მიგრაცია 1985 წელთან შედარებით გაიზარდა 1,3-ჯერ და შეადგინა 720,0 მლნ მან. (საემისიო შედეგის 63,7%), არაორგანიზებული დანაზოგების მატებამ 410,08 მლნ. მან. (საემისიო შედეგის 36,6%), და 1985 წელთან შედარებით 3,3-ჯერ გაიზარდა.

იმ რაიონებში, სადაც სახელმწიფო ბანკის საკასო გეგმა საემისიო შედეგებით მთავრდებოდა (ამგვარი რაიონები კი აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენს) აღნიშნულ წლებში, შეგვიძლია ვისარგებლოთ ზემოთ მოტანილი პროპორციებით. ამით ჩვენ მივიღებთ საორიენტაციო სურათს რესპუბლიკის რაიონების მიხედვით ფულის მიგრაციისა და ხელზე არსებული დანაზოგების აბსოლუტური სიდიდეების შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ აუცილებელ მონაცემებს რაიონების მიხედვით მოსახლეობის მოთხოვნის შესა-

ხებ. სპეციალურ შესწავლას საჭიროებს მოსახლეობის ცხოვრების დონე ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით.

თეორიულად რესპუბლიკის ადმინისტრაციული რაიონის მოსახლეობის ცხოვრების დონე უშუალოდ არ არის დამოკიდებული აქ წარმოებული პროდუქციის რაოდენობაზე. რეგიონს არ შეუძლია უშუალო გალენა მოახდინოს მის ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციისა და მიღებული შემოსავლების გადაადგილებაზე, თუმცა მის ფარგლებში საბოლოოდ ვლინდებიან დარგების განვითარების პირობები წარმოების ყველა ფაქტორის შეთანაწყობის გათვალისწინებით.

ამ პირობებში რესპუბლიკის რეგიონების მიხედვით სულადობრივი საქონელბრუნვის გამოთანაბრების თეზისი სრულიადაც არ ნიშნავს ერთნაირი აბსოლუტური სიდიდეების მიღწევას. მთავარია, რომ თანაბარზომიერად დაკმაყოფილდეს რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონების მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნა. ამიტომ რესპუბლიკის ტერიტორიების მიხედვით სულადობრივი საქონელბრუნვის შეწონასწორების მიზანია მათი ფაქტიური განსხვავების დადგენა რეგიონების მიხედვით. ამგვარი დიფერენციაციის გამომწვევი ფაქტორების განსაზღვრა და ა. შ. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის ადმინისტრაციული რაიონებიდან 1990 წლის მონაცემებით ერთ სულ მოსახლეზე წლიური საქონელბრუნვა 60 მანეთამდე აქვს 17 რაიონს, 600-700 მანეთი — 16 რაიონს, 700-800 მანეთი — 8 რაიონს, 800-900 მანეთი — 4 რაიონს და 90 მანეთზე მეტი 29 რაიონს. მხოლოდ დმანისის რაიონს აქვს საქონელბრუნვა 374 მანეთის ოდენობით, რაც სოფელ ადგილებში საქონელბრუნვაზე დაბალი მაჩვენებელია.

რაიონების მასშტაბით მოსახლეობის მოთხოვნის სიდიდის დაზუსტება აუცილებელი წინაპირობაა მოთხოვნის შესაბამისი მიწოდების სიდიდის განსაზღვრისათვის.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ბოლო პერიოდში მეტ ყურადღებას უთმობენ მოთხოვნის საერთო მოცულობის განსაზღვრის საკითხებს. რაც შეეხება მიწოდების სიდიდის განსაზღვრას, შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა. რა თქმა უნდა მიწოდების ძირითადი განმსაზღვრელი მაჩვენებელია საცალო საქონელბრუნვა. რაიონის დონეზე კი სავაჭრო ამონაგები, რამდენადაც დარგობრივ-ტერიტორიული ინტერესები შეუთანხმებელია. თუ გვინდა მიწოდება შესაბამისობაში მოვიყვანოთ რაიონის მოსახლეობის მოთხოვნასთან, იგი უნდა გავანთავისუფლოთ წვრილბითუმად ვაჭრობის ბრუნვისაგან.

ამრიგად, რაიონის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა და მოთხოვნისა და მიწოდების ოპტიმალური დაბალანსების უზრუნველსაყოფად დღის წესრიგში დგება საკითხი რაიონებში ფუნქციონირებადი სავაჭრო სისტემების უწყებრივ-ტერიტორიული ინტერესების კოორდინაციის შესახებ. ამ მიზნით, ჩვენი აზრით, სავალდებულოა რაიონის მასშტაბით ყოველწლიურად დამუშავდეს მოთხოვნა — მიწოდების ბალანსი როგორც საერთო მოცულობის, ისე უმნიშვნელოვანესი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით.

რაიონის მოსახლეობის მოთხოვნის საერთო მოცულობის გასაანგარიშებლად გამოყენებული უნდა იქნეს შემდეგი მაჩვენებლები: რაიონის მოსახლეობის მსყიდველობითი ფონდები, გაანგარიშებული წლიური ფულადი შე-

მოსავლების საფუძველზე, რომელსაც უნდა დაემატოს ფულის რაიონთაშორისო მიგრაციის სიდიდე. აგრეთვე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა ორგანიზებულ და არაორგანიზებულ დანაზოგებში. ეს მაჩვენებლები უნდა განისაზღვროს წლის დასაწყისში და წლის ბოლოს.

რაიონის სასაქონლო მიწოდების გასაანგარიშებლად გამოყენებულ იქნეს შემდეგი მაჩვენებლები: რაიონის საცალო საქონელბრუნვა წვრილობითუ-მად ვაჭრობის ბრუნვის გარეშე, საქონლის მარაგები წლის დასაწყისში და ბოლოს.

მოთხოვნა-მიწოდების ბალანსების გაანგარიშება რაიონების მასშტაბით რესპუბლიკის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რამდენადაც მათი მეშვეობით შესაძლებელი გახდება მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის პრობლემების კომპლექსური შესწავლა რაიონულ კრილში და ხელს შეუწყობს უწყებრივი ბარიერების დაძლევას.

А. Р. ЧИКОВАНИ, Т. Г. ТУРМАНИДЗЕ

ОТРАСЛЕВО-ТЕРРИТОРИАЛЬНЫЕ АСПЕКТЫ СООТНОШЕНИЯ СПРОСА И ПРЕДЛОЖЕНИЯ

Резюме

В процессе перехода Грузии на свободную рыночную экономику особое значение приобретает изучение проблем соотношения спроса и предложения по внутриреспубликанским регионам. Это обусловлено тем, что именно оптимальные соотношения спроса и предложения формируют механизм рыночных отношений. Несоответствие отраслево-территориальных аспектов особенно заметно в сфере торговли предметами народного потребления. По внутриреспубликанским регионам вообще не функционирует механизм изучения спроса населения, что является важнейшим предусловием функционирования регионального маркетинга. По мнению авторов, решение в отраслевом разрезе проблемы соотношения спроса и предложения не будет способствовать формированию правильных пропорций между спросом и предложением. Исходя из этого, следует отказаться от ведомственных барьеров и предпочесть территориальный аспект.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სოციო-ალური ინფრასტრუქტურის ეკონომიკის ლაბორატორიამ

დ. დინასიძე

როგორ დავალწიოთ თავი აგრარულ კრიზისს?

რესპუბლიკაში შექმნილმა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ საბედნიეროდ იმის საშუალება მოგვცა, რომ გულახდილად ვიმსჯელოთ მომწიფებულ სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებზე. ერთ-ერთ ასეთ პრობლემად მიგვაჩნია კრიზისული ვითარების შექმნა სოფლის მეურნეობაში და ამ კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიება.

კრიზისმა გარკვეული სასურსათო სიძნელეების წინაშე დააყენა რესპუბლიკის მოსახლეობა, რასაც იმპერიული პოლიტიკა კიდევ უფრო ამწვავებს და ამძაფრებს.

საქართველოს პოზიციები მოსახლეობის ერთ სულზე აგროსასურსათო კომპლექსის პროდუქციის წარმოების მხრივ მნიშვნელოვნად უფრო მაღალია საშუალო-საკავშირო დონესთან შედარებით. ეს გარკვეულ ასახვას პოულობს რესპუბლიკათაშორისი გაცვლის ბალანსში. გატანა (ღირებულებაში გამოხატული) ბევრად აღემატება შემოტანას. სალდო ერთ მილიარდ მანეთს აღემატება, მაგრამ მიუხედავად ამისა მოსახლეობის სულადობრივი მოხმარების დონით რესპუბლიკა მნიშვნელოვნად ჩამორჩება საკავშირო მაჩვენებლებს: ოფიციალური სტატისტიკით ხორცისა და ხორცის პროდუქტების მოხმარებაში 26,7 პროცენტით, რძისა და რძის პროდუქტებისა — 10 პროცენტით, კვერცხისა 40,4 პროცენტით, თევზისა და თევზის პროდუქტებისა — 42,8 პროცენტით, მცენარეული ზეთისა — 43 პროცენტით, კარტოფილისა — 53,3 პროცენტით, ბოსტნეულისა და ბაღჩეულისა — 14 პროცენტით. ჩვენ უფრო მეტს მოვიხმართ მხოლოდ პურსა და პურეულს (42,2 პროცენტით) და ხილს (29 პროცენტით). ბუნებრივია, პროდუქციის ასეთი გაცვლა ჩვენთვის მეტად არახელსაყრელია. ამას უნდა დაემატოს კიდევ ერთი თავისებურება. პროდუქციის რომელსაც ჩვენ ვაწვდით კავშირს (ჩაი, ღვინო-კონიაკი, კონსერვები, ხილი და სხვ.) ვაწარმოებთ ამაზე მეტს, რაც ჩვენ გვესაჭიროება. ხოლო პროდუქციას, რომელსაც ვაწვდის პარტნიორი (მარცვლეული, მეცხოველეობის პროდუქტები) თვითონ განიცდის ამ პროდუქტების ნაკლებობას და მას საგარეო ბაზრებზე იძენს. გაცვლის თვალსაზრისით ასეთ პარტნიორთან ურთიერთობა სარისკოა. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ საკავშირო ბაზარმა, სადაც ათეული წლების მანძილზე არავითარი კონკურენცია არ არსებობდა დასცა ჩვენი პროდუქციის, განსაკუთრებით ჩაის, ღვინოსა და საკონსერვო მრეწველობის პროდუქციის ხარისხი და დღესდღეობით ამ მაპროფილებელი პროდუქტების სხვა ქვეყნებში გატანის შესაძლებლობა მოგვისპო.

ახალმა ეროვნულმა ხელისუფლებამ ეკონომიკის აგრარული სექტორის სახით მძიმე მემკვიდრეობა მიიღო და ალბათ ათეული წლები დასჭირდება იმას, რომ ეს სექტორი მყარ ნიადაგზე დადგეს, როცა მას შეეძლება არა მარ-

ტო დააკმაყოფილოს სურსათით რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილება, არამედ აგროკომპლექსის პროდუქციის სულ უფრო მზარდი ნაწილი საგარეო ბაზრებზე გაიტანოს.

კრიზისი აგარაულ სფეროში ეს არ არის მხოლოდ სასურსათო პრობლემა, მას უფრო ღრმა ფესვები აქვს. იგი განპირობებულია ტოტალიტარული წარმოების წესით, სახელმწიფო ოლიგარქიისა და მისი კონკრეტული სოციალურ-პოლიტიკური მმართველი სტრუქტურების მიერ აგარაულ ურთიერთობათა ობიექტური საფუძვლების უხეში იგნორირებით, რაც გამოიხატებოდა წარმოების საშუალებებისაგან და უპირველეს ყოვლისა მიწისაგან გლეხკაცის გაუცხოებით და შრომის შედეგებისაგან მწარმოებლის მოწყვეტით; ქალაქსა და სოფელს შორის არაექვივალენტური გაცვლით ამ უკანასკნელის საზიანოდ, სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების იგნორირებით და სხვა.

მაგრამ არ შეიძლება აგარაული კრიზისის მიზეზები მხოლოდ აგარაულ ურთიერთობებში, საკუთრების ფორმებში ვეძიოთ. ეს მიზეზები არანაკლებ კავშირშია საწარმოო ძალებთან, მისი განვითარების დონესთან, ტექნიკურ პროგრესთან, სტრუქტურულ პროცესებთან, აგროკომპლექსის სტრუქტურულ ჩამორჩენილობასთან.

ეკონომიკის საკომანდო რეჟიმმა, კონკურენციის უქონლობამ ვერავითარი იმპულსები ვერ შექმნეს ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა შრომის ენერგოშეიარაღება, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში 7 ცხენისძალას არ აღემატება, სსრ კავშირში იგი 34 ცხენის ძალას უდრის, აშშ-ში კი 68 ცხენის ძალას აღემატება; შრომის ელექტროშეიარაღება შესაბამისად უდრის: 1035, 3440, და 6787 კვს-ს; შრომის ფონდშეიარაღება კი — 6780, 14205 და 56980 მანეთს; დამუშავებაში მყოფი ფართობის ერთეულზე შეტანილი მინერალური სასუქების რაოდენობა შესაბამისად — 175, 268 და 415 კგ-ს (თანაც აშშ-ის სოფლის მეურნეობაში მიკრობიოლოგიური სასუქებია გამოყენებული ფართო მასშტაბით).

საწარმოო ძალების განუვითარებლობით აიხსნება შრომის ნაყოფიერების დაბალი დონე სოფლის მეურნეობაში. მაგალითად, აშშ-ში იგი სსრ კავშირთან შედარებით 6-ჯერ მაღალია, ხოლო საქართველოსთან შედარებით 11-ჯერ. საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ერთი მუშაკი საშუალოდ კვებავს 4-5 კაცს, სსრ კავშირში 10-ს, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში კი ბევრად მეტს: მაგალითად, ინგლისში 101 კაცს, ბელგიაში 100-ს აშშ-ში 74-ს, პოლანდიაში 62-ს, შვეციაში 59-ს, გერმანიაში 56-ს, ავსტრიაში — 40-ს, საფრანგეთში 41-ს, იაპონიაში — 30-ს, ავსტრიაში — 29 კაცს. ჩრდილოეთის პატარა ქვეყანა დანია (მოსახ. 5,5 მლნ.) უფრო მეტადი ბუნებრივი პირობებით, აწარმოებენ 25 მლნ მოსახლეობის გამოსაკვებად საკმარის პროდუქციას.

დამოუკიდებლობის პირობებში კიდევ უფრო მწვავედ დგება აგროსამრეწველო კომპლექსის და მისი მთავარი სფეროს — სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის პრობლემა, იგი უფრო დაბალია, ვიდრე მთლიანად მატერიალური წარმოების სფეროში. საქართველოს დარგთამშორის ბალანსის მონაცემებით აგროსამრეწველო კომპლექსის საბოლოო პროდუქცია ერთ და-

საქმებულ მუშაკზე 25 პროცენტით უფრო ნაკლები იწარმოება, ხოლო ძირითადი ფონდების ერთ მანეთზე 5 პროცენტით ნაკლები, ვიდრე საშუალოდ მატერიალური წარმოების სფეროში. კიდევ უფრო არადაამაკმაყოფილებელია რენტაბელობის მაჩვენებლები სოფლის მეურნეობაში. კოლმეურნეობებში (თუ ბოლო 3 წლის — 1987-1989 წლების მიხედვით ვიმსჯელებთ) იგი 20-22 პროცენტს არ აღემატებოდა სახელმწიფო მეურნეობაში — 8-10 პროცენტს. ეს მაჩვენებლები ოპტიმალურთან (35—40 პროცენტი) შედარებით ბევრად დაბალია.

1988 წლის მონაცემებით კოლმეურნეობათა მთელი რაოდენობის 28,2 პროცენტში რენტაბელობა 10 პროცენტზე ნაკლები იყო, ხოლო 11 მეურნეობა მთლიანად ზარალიანი. შესაბამისი ციფრები სახელმწიფო მეურნეობებში შეადგენენ 44,5 პროცენტს და 71 მეურნეობას; სამეურნეობათაშორისო საწარმოებში 72,9 პროცენტს და 3 მეურნეობას. ეს მაჩვენებლები 1989 და 1990 წლებში კიდევ უფრო ვაუარესდა.

სავანგაშო ისაა, რომ თვითღირებულება სოფლის მეურნეობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება და ეს ტენდენცია მყარ ხასიათს ღებულობს.

პროდუქციის თვითღირებულების გადიდების ბევრი მიზეზი საკუთრივ სოფლის მეურნეობის ფარგლებს სცილდება და დაკავშირებულია ინფლაციურ მოვლენებთან, რაც ერთის მხრივ გამოიხატება სოფლისათვის განკუთვნილი წარმოების საშუალებების სისტემატური გაძვირებით, ხოლო მეორეს მხრივ შრომის ანაზღაურების „დაუსაბუთებელი“ ზრდით. ინფლაციის გამო შრომის ანაზღაურების რეალური დონე ეცემა, რის გამოც აუცილებელი ხდება ნომინალური დონის ზრდით მოხდეს მისი კომპენსირება, რაც ხშირად შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებსაც აღემატება.

მდგომარეობა ვერც იჯარულმა ურთიერთობებმა შესცვალა. მხედველობაში გვაქვს შიგნამეურნეო სანარდო იჯარა. არის ცალკეული მოწინავე იჯარული ქვედანაყოფები თუ ინდივიდუალური მოიჯარეები, მაგრამ შიგნამეურნეო იჯარა ჯერჯერობით ფორმალურ ხასიათს ატარებს და ასეთად დარჩება მანამდე სანამ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები არ გათავისუფლდება ღირებუთული ეკონომიკის მარწმუნებისაგან, როცა წარმოების მოცულობა, სტრუქტურა, ფასები და სხვ. ზემოდანაა ნაკარნახევი. კიდევ მეტი, ასეთ პირობებში მოიჯარეები ორმაგად იჩაგრებიან. სახელმწიფო მეურნეობებს ახვევს თავს მისთვის სასურველ ფასებს, მეურნეობა კი თავის მხრივ მოიჯარეს კიდევ უფრო შემცირებულ ფასებს უწყისებს. ამიტომაც რომ შიგნამეურნეო იჯარის ეკონომიკური ეფექტი ძალზე უმნიშვნელია. ფაქტიურად რესპუბლიკაში იგი რამდენიმე წელია არსებობს, მაგრამ რაიმე ხელშესახები გავლენა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებზე ვერ მოახდინა. ალბათ სჯობდა დაგვეჩქარებინა თავისუფალ ე. წ. კლასიკურ იჯარაზე გადასვლით, როცა მოიჯარე მიწით სარგებლობისათვის გარკვეული ჭირის გადახდის შემდეგ სრული ბატონ-პატრონი იქნება მის მიერ წარმოებული პროდუქციისა და შეედლება მისი რეალიზება თავისუფალ საბაზრო ფასებში. თავისუფალი იჯარა ამასთან ნიადაგს მოამზადებდა იმისთვის, რომ გადაეცეთ მიწა გლეხობას მემკვიდრეობით მფლობელობაში ან კერძო საკუთრებაში.

რესპუბლიკის აგრაარული ეკონომიკა დღეს ურთულესი პრობლემების წინაშე დგას და მაინც ამ პრობლემათა შორის არ შეიძლება არ გამოიყოს საკითხების ორი ჯგუფი, რომელთა გადაჭრის გარეშე ვერ ავმაღლებით თანა-

მედროვე სასურსათო ცივილიზაციის დონემდე. საკითხების პირველი ჯგუფი დღეს ფრთო მსჯელობის საგანია და ინფორმაციას საშუალებების თუ საპარლამენტო კომისიების ყურადღების ცენტში დგას. ეს არის აგრარული ურთიერთობების, აგრარული სტრუქტურების გარდაქმნის და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნისადმი მისი დაქვემდებარების საკითხი. ყოველივე ეს თავის გამოხატულებას მიიღებს აგრარული რეფორმების განხორციელებაში, მაგრამ რაგინდ იდეალურადაც არ უნდა ჩავატაროთ ეს რეფორმა შედეგად ძირითადად მივიღებთ წვრილ საქონლურ თუ ნახევრად საქონლურ გლეხურ მეურნეობას დაფუძნებულს ხელით შრომაზე, პარალელურად გვექნება მსხვილი მეურნეობებიც, მაგრამ აქაც პრევალირებული იქნება ძირითადად ხელით შრომა. ამიტომ, აუცილებელია ამთავითვე ყურადღების გარეშე არ დაგვრჩეს საკითხების მეორე ჯგუფი, რაც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანასთან, სოფლის საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან. ამ საკითხების გადაწყვეტის გარეშე ჩვენ ვერ შევქმნით თანამედროვე მაღალგანვითარებულ აგრარულ სექტორს. დასავლეთში ეს პრობლემები მწვეველ დაისვა მიმდინარე საუკუნის შუახანებიდან მაღალხარისხოვან სურსათზე მოთხოვნის სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით და წარმატებით გადაწყდა კიდევ. ეკონომიკის ეს ისტორიულად ჩამორჩენილი დარგი მთლიანად მანქანურ წარმოებაზე გადაყვანეს და ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტეს სასურსათო პრობლემა არა მარტო თავიანთი ქვეყნებისათვის, არამედ შექმნეს მნიშვნელოვანი საექსპორტო ფონდებიც. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა თვით ამ ქვეყნის ინდუსტრიული და, მასთანადამე, ეკონომიკური განვითარების მაღალმა დონემ. საქმე ისაა, რომ მას შემდეგ, როცა იქ სოფლის მეურნეობა მომგებიანი სფერო გახდა იქითკენ დაიძრა ამ ქვეყნების მთელი ჭარბი კაპიტალი და განხორციელდა უზარმაზარი დაბანდებები, როგორც საკუთრივ სოფლის მეურნეობაში, ისე აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა რგოლში. უკვე 70-იანი წლების დასაწყისისათვის აშშ-ში საბოლოოდ იყო ფორმირებული აგროსამრეწველო კომპლექსი. მისი პროდუქციის სტრუქტურაში სოფლის მეურნეობის ხვედრიწილი 13 პროცენტამდე შემცირდა თუმცა წარმოება აბსოლუტურად იზრდებოდა. აგროკომპლექსში მეტად გაიზარდა ე. წ. III ბლოკის დარგების (მომსახურე დარგების) ხვედრიწილი. საქართველოს აგროკომპლექსი დღემდე ჩამორჩენილი სტრუქტურით ხასიათდება. იგი უდიდეს ნაწილში წარმოდგენილია სოფლის მეურნეობით (70 პროცენტი), რაც დანარჩენი ბლოკების განუვითარებლობაზე მიგვანიშნებს.

ჩვენთან ათეული წლების მანძილზე მიმდინარეობდა პროპაგანდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდუსტრიალიზაციაზე, აგროსამრეწველო კომპლექსის სტრუქტურულ სრულყოფაზე, მაგრამ არსებითად არაფერი გაკეთებულა და ვერც გაკეთდებოდა ვინაიდან სოფლის მეურნეობა იყო არა მარტო სურსათის წყარო, არამედ ღირებულების ამოქაჩვის წყაროც.

როგორც ჩანს მხოლოდ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ და საბაზრო მექანიზმმა შეიძლება მოიყვანონ მოძრაობაში ის ბერკეტები, რომლებმაც ეს პროცესები უნდა დაიქარონ. ბაზრის კანონები ალბათ უკეთესად გადაწყვეტენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის რომელ დარგებში დავაბანდოთ უფრო მეტი სახსრები, რომელ დარგებს აქვს რესპუბლიკისათვის უფ-

რო არსებითი მნიშვნელობა, რაზე ვიფიქროთ უფრო მეტად? სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებაზე, როცა შესაბამისად იზრდება დანაკარგების მასშტაბებიც თუ წარმოებული პროდუქციის შენარჩუნებაზე და ეფექტიან გამოყენებაზე. ყველა ამ საკითხს ბაზარი უფრო ობიექტურად და პიროვნულად გადაწყვეტს. საბაზრო ფასები და მისთვის დამახასიათებელი სტიმულები გადაწყვეტენ ალბათ სოფლის მეურნეობაში უფრო მასშტაბური კაპიტალდაბანდებების განხორციელების მიზანშეწონილობის საკითხსაც, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ტექნიკური პროგრესის განხორციელება სოფლად და განვითარებული აგრარული ეკონომიკის შექმნა.

ბაზრის ერთ-ერთი მთავარი საკითხი არის ფასების საკითხი. ახლა სადაო აღარ არის ის, რომ ნამდვილი ფასი არის ის ფასი, რომელიც თავისუფლად ყალიბდება ბაზარზე მიწოდება-მოთხოვნილების შესაბამისად და არა ის, რომელიც ზემოდანაა ძალად თავსმოხვეული, როგორ შეიძლება გადავიდეთ თავისუფალ ფასებზე?

დღევანდელი ვითარების შესაბამისად თავისუფალ ფასებზე გადასვლის ორი გზა გვესახება. პირველი დაკავშირებულია ისტორიულად არსებული თვისუფალი ბაზრის — საკოლმეურნეო ბაზრის მასშტაბების გაფართოებასთან, საბაზრო ეკონომიკის სუბიექტების მასში უფრო აქტიური ჩართვის გზით.

სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგისაგან განსხვავებით სოფლის მეურნეობაში იმთავითვე არსებობდა თავისუფალი ბაზარი და თავისუფალი ფასები, მაგრამ იგი გარკვეულ ჩარჩოებში იყო მოქცეული. საკოლმეურნეო ბაზარი იზღუდებოდა მხოლოდ პირად დამხმარე მეურნეობათა პროდუქციით. და აი ახლა დადგა დრო, რათა თანდათანობით გავაფართოოთ საკოლმეურნეო ბაზრის ფარგლები საზოგადოებრივ მეურნეობათა პროდუქციის ხარჯზე.

არსებობს თავისუფალ ფასებზე და შესაბამისად თავისუფალ ბაზარზე გადასვლის მეორე გზაც, რაც დაკავშირებულია რენტული ურთიერთობების განვითარებასთან. ცნობილია, რომ რენტა დღემდე სოფლის მეურნეობიდან ამოიღება არა პირდაპირი გზით — რენტული გადასახადის სახით, არამედ ფარული ფორმით — შესყიდვის ფასების მექანიზმის მეშვეობით. შესყიდვის ფასი, როგორც წესი, დგინდება პროდუქტის ღირებულებაზე დაბლა და ამ გზით ღირებულების ნაწილი გადადის სახელმწიფოს ხელში, რაც ფაქტიურად რენტაა. ღირებულების ეს სიდიდე რაოდენობრივად არ განისაზღვრებოდა და, მაშასადამე, არც რენტის სიდიდე იყო სათანადოდ დასაბუთებული. მაგალითად, სპეციალისტთა გაანგარიშებით რენტული გადასახადის მთლიანი ოდენობა სსრკ სოფლის მეურნეობაში უნდა შეადგენდეს 30-35 მლნ მანეთს (ეს ცნობა მოტანილია სსრკ ფინანსთა მინისტრის მოადგილის კ. სემიონოვას მიერ კურნალში: „АПК: экономика, управление“) სოფლის მეურნეობის პროდუქციის პროპორციულად საქართველოს წილად მოვა 483 მლნ. მანეთი. ჩვენი გაანგარიშებით კი დარგთაშორის ბალანსის მონაცემებზე დაყრდნობით, 1987 წელს ფასების მექანიზმით ამოღებული რენტა შეადგენდა 1123868 ათას მანეთს ანუ 2,3-ჯერ მეტს. რენტის ეს სიდიდე სოფლის მეურნეობიდან გადადის გადამამუშავებელ მრეწველობაში, ხოლო აქედან ბრუნვის გადასახადის სახით შედის სახელმწიფო ბიუჯეტში. აუცილებელია ეს მექანიზმი შეიცვალოს. რენტა უნდა ამოვი-

ლოთ პირდაპირი რენტული გადასახდელის დაწესების გზით. ამ პროცესს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მეურნეობრიობის ახალ ფორმებზე გადასვლა. გლეხურ თუ თავისუფალ იჯარულ მეურნეობებში ძირითადი განდება რენტული გადასახდელი ან საიჯარო ქირა, (საიჯარო ქირაში მთავარი კომპონენტი იქნება დიფერენციული რენტა), სახელმწიფო შესყიდვის ფასი კი თანდათანობით გათავისუფლდება რენტის ამოღების ფუნქციისაგან და შეიქმნება პირობები იმისათვის, რომ იგი ღირებულების დონეზე დაწესდეს, რაც თავის გამოხატულებას კპოვებს თავისუფალ ფასებში. ხშირად შეგვხვდებით აზრს იმის შესახებ, რომ გლეხურმა მეურნეობებმა პროდუქციის ნაწილი ჩააბარონ სახელმწიფოს შესყიდვის ფასებით. მაშინ გლეხური მეურნეობა განდება რენტის ორჯერადი ამოღების ობიექტი — ერთ შემთხვევაში იგი პირდაპირ გადაიხდის რენტას, ხოლო მეორე შემთხვევაში რენტის ამაღლება მოხდება შესყიდვის ფასების მექანიზმით. ეს დაუშვებელია.

მეურნეობრიობის ფორმების სიმრავლემ არ შეიძლება არ წარმოშვას სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის ფორმების სიმრავლე. სახელმწიფოს დიდი ხნის განმავლობაში მონოპოლიური მდგომარეობა ეკავა სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ იყო მზად არც მატერიალურად და არც ტექნიკურად, რომ უზრუნველყო მინიმალური დანაკარგებით სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქციის დაყვანა მომხმარებელამდე. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კვალობაზე მან ეს პოზიციები თანდათანობით უნდა დასთმოს. მაგრამ აქ დგება ერთი საკითხი. სახელმწიფოს გარკვეული სასურსათო რესურსები უნდა გააჩნდეს თავის ხელში უპირველეს ყოვლისა სპეცმომხმარებლებისათვის, ამიტომ ერთბაშად ხელის აღება მასზე არ იქნება გამართლებული. პარალელურად უნდა ვიფიქროთ სახელმწიფოს ხელში რესურსების თავმოყრის ალტერნატიულ გზებზე. ესაა ნატურალური გადასახადი. სასურსათო დეფიციტის პირობებში გამართლებულია კონდიციონალურმა თუ კოლექტიურმა მწარმოებლებმა, ვისაც ევალებათ რენტულ გადასახდელისა თუ საიჯარო ქირის გადახდა, პირველ წლებში იგი ნატურალური სახით გადაიხადონ. ეს ფორმა თანდათანობით უნდა განვითარდეს.

მეურნეობრიობის მრავალფეროვან ფორმებზე გადასვლისას ჩნდება ურთიერთ საპირისპირო მოსაზრებები. ბევრს გაუმართლებლად მიაჩნია მსხვილი მეურნეობებიდან წვრილზე გადასვლა მსხვილი მეურნეობების უპირატესობათა გამო წვრილი მეურნეობების მიმართ. ჯერ ერთი ეს დებულება ყოველთვის არ მართლდება. თანამედროვე მსოფლიოს გამოცდილება გვიჩვენებს არაერთ მაგალითს იმისა, როცა წვრილი მეურნეობა ხასიათდება უფრო მაღალი ეფექტიანობით. მაგალითად, ისეთი მცირე მიწიანი ქვეყნები, როგორცაა იაპონია, შვეიცარია და ჰოლანდია ხასიათდებიან პროდუქციის ყველაზე მაღალი გამოსავლიანობით სახნავის თითოეულ ჰექტარზე. აშშ-ში ფერმულ მეურნეობათა კონცენტრაციის დონე მაღალია, საშუალოდ ერთ ფერმერზე მოდის 184 ჰექტარი მიწა, იაპონიაში ფერმერული მეურნეობები ძალზე წვრილია, საშუალოდ აქ ერთ ფერმაზე მოდის 1,25 ჰექტარი. მაგრამ აშშ-ში ერთ ჰექტარ სახნავზე აწარმოებენ 580 დოლარის პროდუქციის, იაპონიაში კი 11250 დოლარისას ანუ თითქმის 20-ჯერ მეტს. ასე რომ მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესმა შეიძლება ბევრი კორექტივი შეიტანოს საკითხში იმის შესახებ, თუ რომელია ეკონომიკურად უფრო ეფექტიანი

მსხვილი თუ წვრილი მეურნეობა. მაგრამ ეს არის საკითხის ერთი მხარე. უფრო მნიშვნელოვანია მეორე. ცნობილია რომ დასავლეთში მიმდინარეობს ფერმერულ მეურნეობათა კონცენტრაციის პროცესი, შესაბამისად მცირდება ფერმერულ მეურნეობათა რიცხვი. მაგ., აშშ-ში 1940 წელს იყო 6,35 მლნ ფერმერული მეურნეობა, 1986 წელს მათი რიცხვი შემცირდა 2,16 მლნ-მდე ანუ 3-ჯერ. ამავე წლებში ერთი ფერმერული მეურნეობის საშუალო სიდიდე 68 ჰექტარიდან გაიზარდა 184 ჰექტარამდე. იგივე პროცესები მიმდინარეობს დასავლეთ ევროპაში, თუმცა ევროპაში ფერმების სიდიდე ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე აშშ-ში, მაგალითად, იტალიაში ერთი ფერმერული მეურნეობის სიდიდე დაახლოებით 8 ჰექტარს უდრის, გერმანიაში — 15-ს, საფრანგეთში — 30-ს და ინგლისში 60 ჰექტარს. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ფერმერული მეურნეობის კონცენტრაციის პროცესი უწყვეტად მიმდინარეობს. ერთი შეხედვით მართებულად გვეჩვენება ასეთ პირობებში მოსახრებები მიმართული მსხვილი მეურნეობების დასაცავად, როგორც უფრო პროგრესული ფორმებისა, მაგრამ აქ არის ერთი საგულისხმოდ მომენტი რომელიც არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ჩვენს პრაქტიკულ საქმიანობაში. საქმე ისაა, რომ დასავლეთში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების პროცესს, ფერმერულ მეურნეობათა გამსხვილების ტენდენციას საფუძვლად ედო ისეთი ობიექტური და რეალური მიზეზი, როგორიცაა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი. მეურნეობათა გამსხვილების პროცესი მაშინ დადგა იქ დღის წესრიგში, როცა აუცილებელი გახდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდუსტრიალიზაცია, როცა მომწიფდა და შეიქმნა რეალური პირობები ხელით შრომიდან მანქანურ წარმოებაზე გადასვლისათვის. ამასთან დაკავშირებით დასავლეთის ქვეყნების მთავრობები სპეციალურ ღონისძიებებს სახავდნენ აგრარული სტრუქტურების ამგვარი გარდაქმნებისათვის, რათა მათ არ დაემუხრებინათ ტექნიკური პროგრესი სოფლად. ცნობილია, მაგალითად, „ევროპის მწვანე გეგმა“ ან „მანსხოლტის გეგმა“ საერთო ბაზრის ქვეყნებისათვის. პოლანდიაში შეიქმნა სოფლის მეურნეობის გაჯანსაღების სპეციალური ფონდი. იგი, ერთის მხრივ, ითვალისწინებდა გასამრჯელოს წვრილი, არაფექტიანი ე. წ. მარჩინალური ფერმებისათვის, თუ კი ისინი დატოვებდნენ სოფელს. ხოლო მეორეს მხრივ — მსხვილი ფერმერული მეურნეობების სუბსიდირებას. ჩვენთან მსხვილი და უმსხვილესი მეურნეობების შექმნას არ მოჰყოლია სათანადო ღონეზე თანამედროვე მაღალგანვითარებული ტექნიკის დანერგვა. ასეთი მეურნეობების შექმნას კი უპირველეს ყოვლისა ტექნიკური პროგრესის ინტერესები მოითხოვდა. დასავლეთის გამოცდილება ამის ნათელი დედასტურებაა. წარმოიშვა თავისებური ანაქრონიზმი — გვაქვს მსხვილი მეურნეობები ადეკვატური ტექნიკური ბაზის გარეშე. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენთან ვერ გამოვლინდა მსხვილი მეურნეობების უპირატესობა, ვინაიდან ისინი ნაადრევად, ნაჩქარევად შეიქმნენ, შესაბამისი ინდუსტრიული ბაზის მომზადების გარეშე, ისეთისა რომელიც შესძლებდა მთელი სოფლის მეურნეობის გარდაქმნას ინდუსტრიულ საფუძველზე. ამიტომ ხელთ შრომას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დღემდე დიდი ხვედარიონა უკავია (70-80 პროცენტი), რის გამოც პროდუქციის წარმოება ძვირი ღირს. სახელმწიფო შესყიდვის ისედაც დაბალი ფასები ხშირ შემთხვევაში ვერ ფარავენ გაწეულ დანახარჯებს, ამიტომ მეურნეობათა მნიშვნელოვანი ნაწილი ზარალიანია ან დაბალრენტაბელური, და ისინი ფაქტიურად სახელმწიფო დო-

ტაციებით არსებობენ. ასეთ პირობებში, ამ ეტაპზე გლესურ მეურნეობებზე გადასვლა ლოგიკურად მიგვაჩნია, ხოლო შემდგომში, განვითარების გარკვეულ ეტაპზე გლესურ მეურნეობათა კონცენტრაციის, მეურნეობის გამსხვილების საკითხი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული სოფლის მეურნეობაში ტექნიკური პროგრესის განხორციელების შესაძლებლობებთან.

რა თქმა უნდა ეს იმას არ ნიშნავს რომ ავჩქარდეთ და ერთბაშად ვთქვათ, უარი მსხვილ მეურნეობებზე. აქ საჭიროა ძალიან ფრთხილი, ინდივიდუალური მიდგომა. იქ სადაც მსხვილი მეურნეობები ეფექტიანად უძღვებიან წარმოებას უნდა დავტოვოთ. საბაზრო მექანიზმის პირობებში, როცა მეურნეობრიობის ყველა ფორმა თანაბარი უფლებებით ისარგებლებს, რეალური კონკურენციის პროცესში გამოვლინდეს ძლიერი და დაამტკიცოს თავისი სამეურნეო უპირატესობები. აქ ერთი მომენტიც უნდა აღინიშნოს. ეკონომიკური დიქტატისაგან გათავისუფლებული და მთლიანად ბაზარზე ორიენტირებული კოლმეურნეობები აღიდგენენ რა თავიანთ კოოპერატიულ ბუნებას, ვფიქრობთ, ახლებურად გამოავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს. ამიტომ მწარმოებელთა სურვილის გათვალისწინებით ასეთი მეურნეობები ბევრგან შეიძლება დავტოვოთ. საწარმოო კოოპერატივების სახით. მაგრამ, ჩვენი აზრით, აუცილებელი იქნება მაინც დავადგინოთ მათი მიზანშეწონილი, ოპტიმალური სიდიდეები. ამჟამად არსებული მეურნეობები, ჩვენი აზრით, დიდებია (საშუალო რესპუბლიკაში 1800-2200 ჰექტრამდე თითოეული). ჩვენი პირობები — რელიეფი, ინტენსიური კულტურები და სხვა — გვიკარნახებენ მათი სიდიდეების შემცირებას 400-500 ჰექტრამდე. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება ზოგიერთი მსხვილი კოლმეურნეობის ბაზაზე შევქმნათ უფრო მცირე ზომის დამოუკიდებელი კოოპერატივები, რომელნიც სრული ნებაყოფლობის პრინციპზე იმოქმედებენ.

დ. დიასამიძე

КАК ИЗБЕЖАТЬ АГРАРНОГО КРИЗИСА

Резюме

В статье рассматриваются вопросы, связанные с кризисным состоянием в аграрном секторе экономики республики. Автором высказаны свои соображения о путях выхода от этого положения. В частности, он затрагивает такие вопросы, как новые формы хозяйствования, ценообразование, налогообложение в сельском хозяйстве. Определенное место уделено вопросам научно-технического прогресса и индустриализации сельского хозяйства, совершенствованию отраслевой-функциональной структуры АПК как важнейшим факторам для преодоления отставания сельского хозяйства и др.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის აგარარული ეკონომიკის განყოფილებამ

სამართალი

ლიანა აღიშვილი

ზნეობის და სამართლის ურთიერთობა ნ. ხიზანაშვილის (ურბნელის)
ნააზრების მიხედვით

ნ. ხიზანაშვილის (ურბნელის) მეცნიერულ მემკვიდრეობაში ყურადღებას იქცევს სამართლის ზნეობასთან ურთიერთმიმართების საკითხი. ეს უკანასკნელი ყოველთვის შეადგენდა სამართლის მეცნიერებას თუ ფილოსოფოსთა ინტერესის სფეროს და არაერთგვაროვნად იყო გადაწყვეტილი სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეცნიერებაში. სამართლისა და ზნეობის მჭიდრო კონტაქტზე მიუთითებს მრავალი მკვლევარი. სამართალს აღმოაჩნდა ეთიკური ნათესავეები და უახლოესი მათ შორის ზნეობა — წერს გ. გურვიჩი (Г. С. Гурвич, *Нравственность и право*, М., 1924, с. 6), ამასვე აღსატყუბებს კორკუხოვი, იგი აღნიშნავს, რომ სამართლის მეცნიერებაში მიღებულია თვალსაზრისი, რომელიც იურდიულ ნორმებს ეთიკურ ნორმებს შორის ათავსებს. ამასვე დროს ეთიკურ ნორმებს მიეკუთვნება ზნეობრივი ნორმები. (Н. М. Коркунов, *Общая теория права*, 1909, с. 35).

მართლაც, სამართალსა და ზნეობას შორის იმდენად ახლო ნათესაობა და კავშირია, რომ დიდი ხნის მანძილზე ისინი ერთმანეთში იყვნენ შერეულნი და მეცნიერება მათ შორის ზღვარს ვერ სდებდა. თუმცა ჯერ კიდევ რომელი იურისტები გამოთქვამდნენ მოსაზრებებს, რომ სამართალი და ზნეობა არ არიან იგივეობრივი, მაგრამ ამ თეორიამ მაშინ ვერ ჰპოვა სათანადო დამუშავება.

სამართლისა და ზნეობის გამიჯვნა პირველად მაღალ მეცნიერულ დონეზე შესძლო გერმანელმა ფილოსოფოსმა და იურისტმა ქრისტიან თომაზიუსმა (მე-17 ს. ბოლო და 18 ს. დასაწყისში). მის მიერ საკითხის ასეთ დაყენებას ჰქონდა აშკარად პოლიტიკური მიზანი — ინდივიდის დაცვა, როგორც საეკლესიო, ასევე აბსოლუტური სახელმწიფო ხელისუფლების თვითნებობისაგან. Н. Н. Деев, *Разграничение права и морали в естественно правовом учении Христиана Томазия*, с. 55. см. *Проблемы государства и права на современном этапе*, выпуск 8, М. 1974).

ეს უკანასკნელი აშკარად ეროდნენ ადამიანის პირად ცხოვრებაში, ზნეობრივი მოვალეობების სფეროში, ზღუდავდნენ პიროვნების თავისუფლებას. გაილაშქრა რა ამ უსამართლობის წინააღმდეგ თომაზიუსმა ერთმანეთს დაუპირისპირა ზნეობა და სამართალი, მეცნიერი იმედოვნებდა, რომ ამ გამიჯვნის შემდეგ სახელმწიფო აღარ ჩაეროდა ადამიანის სულიერ ცხოვრებაში და ამ სფეროში იხელმძღვანელებდა მხოლოდ რჩევით, ხოლო ადამიანთა ქცევის გარეგანი მხარის — რომელსაც სამართალი შეესაბამება — რეგულირებისას — ბრძანებით. ასეთ თვალსაზრისს შემდეგი თეორიული საფუძველი ჰქონდა: თომაზიუსთან სამართალი ზნეობისაგან განსხვავდება მხო-

ლოდ მოქმედების სფეროთი (ზნეობა მიეკუთვნება ადამიანის შინაგან, სულიერ სფეროს, სამართალი კი — გარეგან ქცევას) და სანქციის ფორმებით (ზნეობრივი ნორმები სრულდება შინაგანი დარწმუნებით, სამართლებრივი — გარეგანი იძულებით, ბრძანებით) და არა საერთო ეთიკური შინაარსით. ამიტომ თომასიუსმა ბოლომდე ვერ შესძლო ამ პრობლემის გადაჭრა. უფრო მეტიც ასეთი გამიჯვნა აშკარად უჩვენებდა მათ მჭიდრო კავშირს სოციალურ პრაქტიკაში (იქვე, გვ. 63).

ფაქტიურად მსგავსადვე სურის საკითხს ე. კანტიც, რომელიც სამართალს უპირისპირებდა ზნეობას. გამოჩენილი ფილოსოფოსი სამართლის სფეროს მიაკუთვნებდა ადამიანთა ისეთ მოქმედებას, რომელიც ზნეობრივ კანონს გარეგნულად ეთანხმება, ხოლო ზნეობრივ სფეროდ თვლიდა ადამიანთა ისეთ ქცევას, რომელიც წარმოადგენს შინაგან თანხმობას ზნეობრივ კანონთან.

მალე, როცა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში შეიცვალა სოციალურ-პოლიტიკური ვითარება (გაბატონებული მორალი შესაბამისობაში მოვიდა სამართლებრივ პრაქტიკასთან, აღარ იყო აქტუალური ინდივიდუალიზმი, „პიროვნების თავისუფლების“ ლოზუნგი) დაიწყო ზნეობისა და სამართლის დაახლოება.

სამართალსა და ზნეობას შორის არ შეიძლება იყოს შეუთრეგებელი წინააღმდეგობა, შეუძლებელია მათი სრული განცალკევება. ამაზე მიუთითებს მრავალი მეცნიერი.

ასეთი მიმართულების შეხედულებები ჰქონდა თავის დროზე ფილოსოფოს ფიხტეს, იგი მომხრე იყო სამართლის და ზნეობის დაახლოებისა. ცოტა მოგვიანებით შოპენჰაუერი სამართალს თვლიდა ზნეობის ნაწილად, კერძოდ მის უმდაბლეს სფეროდ. იურიდიულ მეცნიერებაშიც გაჩნდა მსგავსი თვალსაზრისი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ელინეკის (მე-19 ს. მეორე ნახ.) მოძღვრება, რომელიც სამართალს წარმოადგენს, როგორც „ეთიკის მინიმუმს“, მისი აზრით, სამართალი არის ზნეობის ის უმნიშვნელო ნაწილი, რომლის განხორციელება აუცილებელია საზოგადოებაში. (Г. Елинек, Общее учение о государстве, 1903, с. 218—220).

დაახლოებით ამავე თვალსაზრისზეა ვლ. სოლოვიოვიც. მისი შეხედულებით, სამართალი არის უმდაბლესი მიჯნა, ზნეობის რაღაც მინიმუმი, რომელიც ყველასათვის ერთნაირად სავალდებულოა. (В. Соловьев, право и нравственность С.П.Б. 1899, с. 26). აქაც სამართალი ზნეობის ნაწილია.

ორგანულმა სკოლამ უფრო დაახლოვა სამართალი და ზნეობა ერთმანეთთან. მაგ. არენსი თვლის, რომ ყველა მოქმედებას აქვს ორმაგი ხასიათი ზნეობრივი და იურიდიული.

ზნეობას და სამართალს ერთმანეთთან აკავშირებს კორკუნოვი, მათ განიხილავს ერთი სფეროს — ეთიკური ნორმების სხვადასხვა სახეობად. კერძოდ, ზნეობის შინაარსს იგი ხედავს ინტერესთა შეფასებაში, სამართლისას — ინტერესთა გამიჯვნაში. (დასახ. ნაშრომი, გვ. 39). მის მიერ საკითხის ამგვარი გადაწყვეტისას კავშირი სამართალსა და ზნეობას შორის ნათლად არ ჩანს. ე. ტრუბეცკოი თვლის, რომ სამართალი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ზნეობის მინიმუმი, არამედ სამართალი, როგორც მთელი უნდა

ემსახუროს ზნეობრივ მიზნებს (Е. Трубецкой, Лекции по энциклопедии права, 1908, с. 26).

საინტერესოა ალ. ვაჩიიშვილის მოსაზრება. იგი ეძებს საერთოს ზნეობასა და სამართალს შორის. მისი შეხედულებით ზნეობის და სამართლის განსხვავების გამოყვანა მათი შინაარსიდან არ მართლდება ისტორიული თვალსაზრისით, განსხვავების გამორკვევა შესაძლოა მხოლოდ ფორმალური მომენტის მიხედვით. „განსხვავება მათ შორის გამოიხატება იმაში, რომ კონვენციონალური ნორმები (ზნეობა — ლ. ა.) გულისხმობენ პიროვნების მხრივ თანხმობას, იურიდიული წესი კი დამოუკიდებელია ასეთი თანხმობისაგან, ე. ი. გარეგნულად სავალდებულოა“ (ალ. ვაჩიიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 28). მეცნიერი მათ საერთო საფუძვლად აცხადებს გარეგან ავტორიტეტს (ერთი მოქმედებს საზოგადოების მხრიდან, მეორე — სახელმწიფოს მხრიდან). იგი ცალმხრივად თვლის „ეთიკური მინიმუმის“ თეორიას, რომელიც სამართალს ზნეობის ნაწილად და მისდამი დაქვემდებარებულად განიხილავს და მიაჩნია, რომ სამართალს ამოძრავებს ზნეობის გარდა სხვა სტიმულები და ძალები. ე. ტრუბეცკოის აზრით, სამართალსა და ზნეობას აქვთ საერთო გადაკვეთის სფერო, სადაც მათი დანიშნულებები ერთმანეთს ემთხვევიან და ამავე დროს ორი განსხვავებული სფერო, სადაც მათი მოთხოვნები ერთმანეთს ხან ემთხვევიან, ხან კი პირდაპირ ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, (დასახ. ნაშრომი, გვ. 36).

მეცნიერთა ერთი ნაწილი სამართალს გამოყოფს ზნეობისგან იძულების ნიშნით, რომელიც თითქოსდა ახასიათებს მხოლოდ სამართალს (მაგალითად ასე თვლის შტამლერი). ამ თეორიით სამართალი არ არის რაიმე ნაწილი ზნეობისა, რადგან ჯერ ერთი მრავალი სამართლებრივი ნორმა უზნეოა, მეორეც ისინი იძულებით ხორციელდებიან, ხოლო ზნეობას არაფერი აქვს საერთო გარეგან იძულებასთან. „სამართლისათვის არ არის უტეხო ზნეობა, მაგრამ არ არის ვადამწყვეტი, სამართალი იმითაც კმაყოფილდება, რომ ადამიანის გარეგანი ქცევა მის მოთხოვნას შეესაბამებოდეს. ამიტომ სამართლის მოთხოვნებს შეესაბამება გარეგანი იძულება, რომელიც ზნეობის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება, ზნეობას ფასს უკარგავს იძულებით შესრულებული მოვალეობა“ — წერს რეგელსბერგერი. (Ф. Регельсбергер, Общее учение о праве, М. 1984, с. 79).

ეთიკური მინიმუმის თეორიის მომხრენი კი ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ თვლიან, რომ იძულების მომენტი ახლავს თან არა მარტო სამართალს, არამედ ზნეობასაც, რადგან ზნეობრივი მოთხოვნებიც, რომლებიც გარეგანი ძალის მიერ — საზოგადოების მხრიდან — დგინდება, აიძულებს ადამიანებს იმოქმედონ განსაზღვრული მიმართულებით.

გურჯიჩი საკითხს იხილავს კლასობრივი თეორიის თვალსაზრისით. მისი შეხედულებით სამართალი არის გაბატონებული კლასის ზნეობის ნაწილი, მკაცრად განსაზღვრული და ძალზედ არამყარი. გურჯიჩი ხაზს უსვამს იმას, რომ სამართალი შეერთებულია იძულებასთან, რადგან იგი, ისევე როგორც სახელმწიფო, კლასობრივი იძულების იარაღია. ამავე დროს თვლის, რომ ეს მომენტი სრულად არ უშლის ხელს სამართალს, რომ საბოლოო ჯამში იგი იყოს ზნეობის ნაწილი, ოღონდ გაბატონებული კლასის ზნეობისა (დასახ. ნაშრომი, გვ. 37-46).

5. „მაცნე“, ეკონომიკა და სამართალი, 1991, 4

როგორ მიმართებაშია ურბნელის შეხედულებით სამართალი ზნეობასთან?

წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ ზნეობისა და სამართლის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი ნ. ურბნელს არა აქვს მოცემული ერთ მთლიან სისტემაში მიზანდასახული თეორიული დებულებების სახით. თავის მოსაზრებებს აღნიშნულ პრობლემებზე ავტორი გადმოსცემს სხვადასხვა დროს განსხვავებული ხასიათის პუბლიცისტურ ნაწერებში.

თუმცა ყოველივე ეს ხელს არ გვიშლის გვაკეთოთ ქვემოთ მოტანილი დასკვნები.

ნ. ურბნელი სამართალს, როგორც სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესების — კანონების ერთობლიობას, რომლის შესრულება სახელმწიფო იძულებასთან არის დაკავშირებული დიდ ზნეობრივ ფუნქციას ანიჭებს. თვლის, რომ სამართლის მაღალი დანიშნულებაა, საზოგადოების ზნეობრივი სახის ამაღლებით საერთო კეთილდღეობის მიღწევა. „სამართალს, მართლმსაჯულებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრებაში. სამართალი დიდი ზნეობითი ძალაა და დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ძალას, ხალხის უბედურება და ბედნიერება, მისი აწმყო და მომავალი ამ ძალაზე არის დამკვიდრებული“ (ნ. ხიზანაშვილი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბ. 1982, გვ. 18). ამიტომაც ვასაგებია ხალხის დიდი ყურადღება სამართლისადმი, „რომელ ხალხშიც კი გონებითი მოძრაობა ყოფილა, იქ სამართლის შესწავლას, იმის გაუმჯობესებას ყურადღება არ მოჰკლებია“ (იქვე).

ნ. ურბნელი სამართლის წარმოშობას ხალხის ცხოვრების საჭიროებას უკავშირებს: „სამართალი ხალხის ცხოვრების საჭიროებიდან წარმოსდგა... უმანკო და გაურყენელი ხალხის გონებას და გულს ყოველთვის ყვარებია სამართალი. როდესაც ხალხს სურვებია თავის დაცვა, მაშინ დიდი ასოებით დაუწერია: „ჩემი ადამი და სამართალი“ (იქვე, გვ. 16).

ამდენად, სამართალი ყოველთვის ხალხის საჭიროებებს უნდა პასუხობდეს და მაშინ მიიღწევეს იგი თავის მიზანს. ასეთი „სამართალი ზნეობით აუმჯობესებს საზოგადოებას და ხალხს“ (რჩ. გვ. 18). ნ. ურბნელი უკმაყოფილო იყო რა რუსული მმართველობისა და კანონების ხელაღებით გადმონერგვით ქართულ სინამდვილეში, ადგილობრივ მკვიდრთა სურვილისა და მოთხოვნისებების გათვალისწინების გარეშე, ხმამაღლა მოუწოდებდა ხელისუფლების წარმომადგენლებს: „თუ გსურთ ხალხის ზნეობითი აღზრდა, თუ გნებავთ, რომ ხალხმა სისხლად და ზორცად გარდაიქციოს სიყვარული თანასწორობისა, მიეცით იმას ისეთი სამართალი, რომელიც ხალხის გემოვნებას ეთანხმება, იმის საჭიროებას აკმაყოფილებს, ისეთი სამართალი, რომელიც ნამდვილად ხალხს სურს და არა თქვენა“ (იქვე).

ნ. ურბნელი აკრიტიკებდა 60-იან წლების სასამართლო რეფორმის მიზნებს მხარეებს. მიუთითებდა, რომ ფორმალური ხასიათი ახალი რუსული სამართლისა უცხო იყო ქართველი გლეხისათვის, რომლის „სამართალი ჩვეულებაზედ, იმის სინდისზე იყო დამყარებული, სამართალს საღმრთო, წმინდა ხასიათი ჰქონდა... მოწმის ფიცი, სინდისი, პატიოსანი სიტყვა — აი, რა იყო მაშინ საჭირო და რით კმაყოფილდებოდა გლეხკაცი!“ (რჩ. გვ. 20).

„იგი თავის „ადათს“ და სინდისს მალლა აყენებს, თავის მამაბაპურ ჩვეულებას უფრო მისდევს“ (იქვე. 26). ამდენად, უსარგებლოა ისეთი კანონის შემოღება საქართველოში, რომელიც შეუსაბამოა ქართველი კაცის ხასიათისათვის, ეწინააღმდეგება მის ოღითგან არსებულ ჩვეულებას, ზნეს. „ასეთ კანონს აკლდება ზნეობრივი ძალა, აღმზრდელი გავლენა საზოგადოებაზე“. ეს კი ამცირებს „ხალხის თვალში კანონის ძალას, სახელს უტეხავს მას“. ასეთ დროს ვერც იძულება და სასჯელის სიმკაცრე უშველის საქმეს. ამიტომ მოითხოვს ნ. ურბნელი რომ ის, რაც სხვაგან დანაშაულად ითვლება, ჩვენთან არ უნდა იქნას ასეთად განხილული. კანონი დადგენილი უნდა იქნას ადგილობრივ ჩვეულებების მიხედვით აქ მცხოვრები ხალხის მოთხოვნების გათვალისწინებით, რადგან სამართალი რომელიც ვერ ასრულებს თავის მიზანს უვარგისია, მეტიც, მავნეა საზოგადოებისათვის, ცუდ გავლენას ახდენს ხალხის ზნეობაზე. „უსამართლო კანონების და ცუდი დაწესებულებების გამხრწნელი გავლენა მოქმედებს ხალხის ზნეობრივ ძალაზე მიწის ქვეშ იმ სამფლობელოში, რომელსაც ზოგიერთი დილეტანტი პოლიტიკოსი თავისი ყურადღების ღირსად არ თვლის“ — წერდა რ. იერიנגი (ბრძოლა უფლებისათვის, ქუთაისი, 1908. გვ. 91).

ნ. ურბნელს ღრმად სწამს, რომ კანონი, რომელიც პასუხობს ცხოვრებისა და დროის მოთხოვნებს, ხალხის ზნეობაზე კეთილმოყოფელ გავლენას ახდენს და ამით ცხოვრების წარმატებას უწყობს ხელს. ერთ ასეთ მაგალითად ნ. ურბნელს მოჰყავს საეკლესიო კანონმდებლობის თვალსაჩინო ნიმუში „ძეგლისწერა“. იმ დროს, როდესაც დავით აღმაშენებელმა მოიწვია „წმინდა და ღვთივ შერებელი კრება“, რომელმაც დაადგინა „ძეგლისწერა“, საქართველოში გავრცელებული იყო „მრავალგვარი ავაზაკობა, ბოროტება, საკვირველი უფრო ისაა, რომ უმალღესნი სასულიერო კაცნი და წარჩინებულნი მთავარნიც კი ღრმად იყვნენ ჩაფლულნი ზნეობრივ გახრწნულობაში“. (რჩ. გვ. 27). ასეთი ვითარება და ცხოვრების საჭიროება მოითხოვდა სახელმწიფოს მეთაურსა და უმალღეს ხელისუფლებას „ყურადღებამიღებურით ხალხის დაცემული ზნე-ჩვეულებისათვის, საშუალებად და ღონისძიება მოეპოვათ სხვადასხვა ბოროტმოქმედების აღმოსაფხვრელად“ (იქვე).

ძეგლისწერამ შესანიშნავად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა, „ძეგლისწერამ დროებით მაინც აღადგინა დაცემული ზნეობა ერისა, შინაგანი ცხოვრება განაახლა, წარმატების გზაზე დააყენა. უმოთარეს საგნად „ძეგლისწერას“ ხალხის დაცემული ზნეობის აღდგენა ჰქონდა, — ამაშია იმისი დიდი მნიშვნელობა და ცხოველი ძალა“ (იქვე).

ნ. ურბნელის ნაზრების მიხედვით სამართალი და ზნეობა ერთმანეთს კი არ უპირისპირდებიან, არამედ სოციალურ ცხოვრებაში ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ, თუმცა თანამედროვე ეტაპზე ისინი იდენტურნი არ არიან (რით განსხვავდებიან ისინი ნ. ურბნელთან არ ჩანს). სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ სამართალი გამოეყო ზნეობას და განაგრძო დამოუკიდებლად არსებობა დაწერილი კანონის სახით, მაგრამ კავშირი არ გაუწყვეტია ზნეობასთან, მან შეინარჩუნა ზნეობის ძირითადი ელემენტები, ზნე-

ობრივი მოთხოვნები მის შინაარსს განაპირობებენ, ზნეობრივი კატეგორიების გარეშე სამართალი კარგავს თავის შინაარსს და საზიანო ხდება საზოგადოებისათვის. სამართალი იძულების მეშვეობით ზნეობრივ ფუნქციას ასრულებს (ებრძვის ბოროტმოქმედებას, ხალხში არსებულ მავნე ჩვეულებებს). მაშასადამე სამართალი ერთგვარად ემსახურება ზნეობას, ემორჩილება მის მოთხოვნებს და ასრულებს მათ. ამდენად იძულების მომენტი არის არა ზნეობაში, არამედ სამართალში.

ზნეობისა და სამართლის დამოკიდებულება განსაზღვრავს ნ. ურბნელთან ზნეობის, სამართლისა და იურიდიული ჩვეულებების ურთიერთმიმართების საკითხს.

ნ. ურბნელი, რომელიც ძალზედ კარგად იცნობდა მთელთა ჩვეულებებს, ანუ ადათობრივ სამართალს (რჯულს), თვლის, რომ საზოგადოების განვითარების ადრეულ ისტორიულ ეტაპზე სამართალი (არა დღევანდელი გაგებით) და ზნეობა იგივეობრივი ცნებები იყვნენ. ძველი ხალხის ზნეობა გამოხატულებას პოულობს მათ ჩვეულებებში¹ — ადათში, რომელიც იგივე კანონი იყო და მათ რელიგიური ხასიათი ჰქონდათ. „საზოგადოებრივი სინდისი, ზნეობა განმარტებული და გამოსახულია ადათში“ — წერს იგი (რჩ. გვ. 104). მაშასადამე, როგორცაა ადათი, ისეთივეა ზნეობა და პირიქით, აქედან იგი ლოგიკურად დაასკვნის: „იქ სადაც ხალხის გონება და ზნეობა დაბალ წერტილზე დგას, იქ ბევრია მავნე ჩვეულება, რომელთაც ესარჩლება ხალხის აზრი, მისი ზნეობითი სისუსტე“ (რჩ. გვ. 204).

ნ. ურბნელის აღნიშნული მოსაზრება არ არის ორიგინალური. მრავალი მეცნიერი აიგივებს სამართალსა და ზნეობას მათი არსებობის უძველეს სტადიაზე.

სამართლის, ჩვეულებების, ზნეობის, რელიგიის ერთიანი საფუძვლიდან წარმოშობას, ე. ი. მათი ყოფიერების უადრეს სტადიაზე იგივეობრიობას ამტკიცებს ისტორიის მეცნიერული კვლევა. სხვადასხვა დარგის მეცნიერები, ფილოსოფოსები, ღურისტები, მორალისტები. ამასვე ადასტურებენ². აქედან გამომდინარე, იქ სადაც საზოგადოება იურიდიულად დაბალ დონეზეა და ძირითადად ჩვეულებებით აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ზნეობრივად მიიჩნევენ იმას, რაც ადათით აქვთ შეთვისებული, მაშა-პაპის ჩვეულება მათ ზნეობრივად, კანონიერად მიაჩნიათ; მაგალითად მთიულეთში „ჩვეულება წმინდა კანონია“, თვით კანონიც, აქ ჩვეულებაა და სხვა არაფერი... ე. წ. სჯული, აქაურის მთიელის აზრით, ამიტომ არის სჯული, რომ ჩვეულებას წარმოადგენს, ცხოვრებას ეთანხმება. საქმის გათავება სჯულისამებრ — აი, დასაწყისი და დასასრული ყოველგვარის ურთიერთობისა ფშავ-ხევსურეთში“ (ნ. ხიზანიშვილი, ფშავ-ხევსურეთი, ეთნოგრაფიული ნაწერები, გ. ჩიტაიას რედაქციით. 1940 წ. გვ. 3):

¹ აქ ივლისხმება იურიდიული ხასიათის ჩვეულება.

² Ковалевский М., Социология, 1910, т. I, с. 63; Гурвич Г. Нравственность и право, М., 1924, с. 29; Гумплович Л. Основы социологии, 1899, с. 308; Коркунов. Лекции по общей теории права, 1909, с. 47; Регельсбергер Ф. Ук. соч., с. 355; Шершеневич Г. Ф. Общая теория права, 1909/10, с. 154.
 აღ. ვ ა ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 27.

სამართლისა და ზნეობის ურთიერთობის საკითხს მიუძღვნა ნ. ურბნელმა საგაზეთო სტატია „ქმრის მოკვლა“, ავტორი განიხილავს კონკრეტულ შემთხვევას ცოლის მიერ ქმრის მკვლელობისა, რომელიც გურიის ერთ-ერთ სოფელში მოხდა. სოფლის მცხოვრებლებმა დანაშაულის სიკვდილით დასჯა მოითხოვეს სახრჩობელით. ასეთ მოთხოვნას ნ. ურბნელი იმით ხსნის, რომ ძველი ადათის მიხედვით ქმრის მკვლელობა ითვლებოდა მძიმე სახის დანაშაულად. ამიტომ ხალხის მოთმინება აივსო, მოითხოვა მკაცრი სასჯელი ძველ-მოითხოვეს სახრჩობელით. ასეთ მოთხოვნას ნ. ურბნელი იმით ხსნის, რომ ნ. ურბნელი წინააღმდეგია ასეთი სისასტიკისა და საერთოდ სიკვდილით დასჯისა (სისხლის სამართლის მატეანიდან. ქმრის მოკვლა. რჩ. გვ. 527).

ნ. ურბნელმა იცის, რომ „ჩვეულებასაც თავისი საბუთი აქვს, თავისი ავი და კარგი და როდია სანატრელი და სასარგებლო ხალხის ყველა ჩვეულება, მთელი მისი იურიდიული შეხედულება ხელუხლებელი დარჩეს. ხშირად თვით ჩვეულებაში, ხალხის იურიდიულ შეხედულებაში იბრუნება ზნეობის დამამცირებელი მოვლენა“ (რჩ. გვ. 203).

ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ოსი მოწმე შურისძიების გამო მკვლელობის დროს, მართალ ჩვენებას არ აძლევს, რადგან „შურისძიება, ხალხის შეხედულებით, წმინდად აღიარებული ჩვეულებაა და ამ ჩვეულების გამო დანაშაულის ჩადენა შესაწყნარებელია“ (რჩ. გვ. 204). სწორედ ამავე მიზეზით, — ძველი ადათის მაგნე ხასიათის და შინაარსის გამო (ადათი იწყნარებდა ძრავალ დანაშაულს), კავკასიულ მაჰმადიანებაში ტყუილი ფიცის და მოწმობა ამ დანაშაულზე — ხელობად იქცა და ეს უზნეო საქციელი მათ სრულებით არ მიაჩნდათ დასაგმობად.

ნ. ურბნელს მოჰყავს სხვა მაგალითებიც: ყაბარდოში ავაზაკობა, ქურდობა, ძარცვა ჩვეულების მიხედვით სასახლო საქმედ ითვლებოდა, ამიტომ აქ დანაშაული არ განიხილებოდა დიდ უბედურებად, რაც ხალხის გონების გაუხსნელობასა და მის იურიდიულ ჩამორჩენილობაზე მეტყველებს. დანაშაული მათი აზრით, არის კერძო სახის ბოროტმოქმედება და არა საზოგადო ვნება, ზარალი, ეს იმიტომ, რომ ჩვეულებით დანაშაული ვაჟკაცური, საქებარი საქმე იყო. ჩვეულება კი ხალხის გონებაშია გამჯდარი და ზნეობრივად მისაღებია. აქედან ნ. ურბნელი იმ დასკვნამდე მიდის, რომ სადაც ხალხი მაგნე ჩვეულებით სარგებლობს და მას მხარს უჭერს — იქ ხალხის ზნეობაც შესაბამისად დაბალია. ამიტომ ჯვლის მეცნიერი, რომ ყველა ჩვეულების არსებობა არ არის გამართლებული: „იქნება გგონიათ, რომ ჩვენ გესურს ყველა ჩვეულების დაცვა, არა, ჩვეულებასაც თავისი აზრი და მნიშვნელობა აქვს. და თუ იგი ხალხის ვინაობის გამოხატველია და ამასთანავე ზნეობის კანონს არ ეწინააღმდეგება, მისი დაცვა ყოველად საჭიროა. სხვათა შორის სწორედ ასეთი ჩვეულება აძლევს ხალხს განსაკუთრებით ფერს, პიროვნულ ხასიათს. როგორც ცალკე პირისათვის საჭიროა, მისი პიროვნული თავისებურება, ვინაობა, ისე ხალხისათვის საჭიროა გონივრული ხალხოსნური ჩვეულება, სადაც ასე არ არის, იქ არც ცხოვრებაა, იქ არც პროგრესია შესაძლო“ (ფშავ-ზევისურეთი. გვ. 3).

როგორც ვხედავთ ნ. ურბნელი ლაპარაკობს ზნეობრივ და უზნეო, ანუ მაგნე ჩვეულებებზე. მკვეთრად გამიჯნავს მათ ერთმანეთისგან, და მიიჩნევს, რომ ხალხისათვის სასარგებლოა ისეთი ჩვეულება, რომელიც ზნეობრივ კანონს არ ეწინააღმდეგება, მეცნიერი ამ უკანასკნელს საზოგადოებისათვის

პროგრესულ ძალასაც კი ანიჭებს, ხოლო მავნე ჩვეულებას არ მიიჩნევს არსებობის ღირსად. ნ. ურბნელის შეხედულებით საერთოდ კანონმა ხალხის იურიდიულ შეხედულებებს ანგარიში უნდა გაუწიოს, თუ ჩვეულება სწორად გამოხატავს ხალხის სულს და ზნეობრივია; სამართალი „ნება-უნებურად მფარველობას“ უნდა უწევდეს ძველ რჯულს — ადათს, რადგან სამართალი ადათიდან არის წარმომდგარი, მას „მისდევს და პატივს სდებს“, (რჩ. გვ. 408). ნ. ურბნელის დაკვირვებით სწორედ ამ მიზეზით ბექა-აღბუღას სამართალმა ანგარიში გაუწია ადათს, რომლის მიხედვითაც გასათხოვარი ქალის მოტაცება არ ითვლებოდა დანაშაულად, ხოლო გათხოვილი ქალისა — დასჯადად ცხადდებოდა. სჯულმდებელმა ისარგებლა რა ამ ადათით, ჯვარგაცვლილი ქალის (რომელიც ახლოს დგას გასათხოვარ ქალთან) მოტაცება მსუბუქ დანაშაულად ჩათვალა, ხოლო გათხოვილი ქალის მოტაცება მძიმე დანაშაულად აღიარა და მისთვის მკაცრი სასჯელი დააწესა. ამგვარად სამართალმა ანგარიში გაუწია ძველ რჯულს, მამაპაპისეულ ადათს (რჩ. გვ. 109).

მაგრამ არა ყოველგვარ ადათს უნდა იცავდეს კანონი. როცა იურიდიული ჩვეულება აღარ პასუხობს ცხოვრების საჭიროებებს, იგი მავნე ხდება.

როგორ უნდა მოხდეს სამართლებრივი წესრიგის დამყარება, როცა ხალხი მავნე ჩვეულებით სარგებლობს? ნ. ურბნელი ამ საკითხს შემდეგნაირად ჭრის: „თვით კანონმა უნდა იტვირთოს ხალხის იურიდიული წარმატება. ეს შესაძლებელი იქნება მაშინ, როცა კანონი მედგრად ებრძვის ხალხის საზარო და მავნებელ ჩვეულებას“ (რჩ. გვ. 204). საზოგადოების გამაკეთილშობილებელ ფუნქციას ნ. ურბნელი ანიჭებს კანონს. „ამ შემთხვევაში ჩვეულება უნდა დაემორჩილოს კანონსა და არა კანონი ჩვეულებას და ეს მატარე მაშინ, როცა ხალხის გონება და ზნეობა დაბალ წერტილზე დგას“ (რჩ. გვ. 204).

დაახლოებით მსგავსი შეხედულებისაა შერშენევიჩი, რომელიც სამართალს საზოგადოების გზისმკვლევის როლს ანიჭებს, აღნიშნავს, რომ მხოლოდ კანონს აქვს შესაძლებლობა უხელმძღვანელოს საზოგადოებრივ ცხოვრებას, მოახდინოს ძლიერი ზნეობრივი გავლენა საზოგადოებაზე, მოაწესრიგოს ადამიანთა ურთიერთობები. აქვე მიუთითებს, რომ ხანდახან იგი საწინააღმდეგო ზემოქმედებასაც კი ახდენს, ყოველთვის ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, მაგრამ მთავარია რომ მას შეუძლია ცხოვრება წარმართის უმრავლესობისათვის უფრო მეტად სასარგებლო გზით, მაშინ როცა ჩვეულებით ნორმებს ეს არ შეუძლიათ. იქ სადაც ჩვეულება მოქმედებს ბრმად კანონი შეგნებულად ერევა საქმეში. მეცნიერი კანონმდებლის საქმიანობას უფრო მაღალ საფეხურზე აყენებს, ვიდრე ხალხის ემპირიულ გამოცდილებას, ჩვეულებას და კანონი მიაჩნია მასთან შედარებით უფრო მაღალ საფეხურად. (დასახ. ნაშრ. გვ. 164).

ნ. კორკუჩოვის შეხედულებით, პირველყოფილ საზოგადოებაში ზნეობრივი ნორმები იგივე სამართალი იყო, ხოლო საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად ძველი ზნეობრივი ნორმები კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას და მოქნილობას, ადამიანთა კონტაქტებში იჭრება ზნეობრივი ცნებები. სამართალი კი ყველაზე დიდხანს ინარჩუნებს ძველ ზნეობრივ საწყისებს. ზნეობრივი ცნებები ხდებიან უფრო მეტად პროგრესული და განვითარებული ვიდრე სამართალი. სამართალი ამ შემთხვევაში წარმოადგენს უკვე განვლილი ზნეობის რალაც დაბალ ხარისხს. მაგრამ ზნე-

ობისა და სამართლის ასეთი ურთიერთდამოკიდებულება არ არის აუცილებელი ყოველთვის, სადაც სამართალი იქმნება არა ძველი ჩვეულებების, არამედ ძლიერი მთავრობის ძალაუფლების მიერ, რომელიც არ არის დაკავშირებული ხალხის შეხედულებებისადმი აუცილებელ დაქვემდებარებასთან, კანონმდებლობა პირიქით გამოდის ზნეობრივი ცნებებიდან, რომელიც წინ უსწრებს მოცემული საზოგადოების საერთო ზნეობრივი განვითარების დონეს. (Коркунов, Общая теория права, с. 47).

საბოლოოდ სამართლის, ზნეობის და ადამ-ჩვეულებების ურთიერთმიმართების შესახებ ნ. ურბნელის ნააზრვეის მიხედვით, შემდეგი დასკვნა შეიძლება იქნას გამოტანილი. სამართლის დანიშნულება — ხალხის ზნეობრივი სახის სრულყოფაა. ამდენად ზნეობა არის ის ამოსავალი წერტილი, რომელიც განსაზღვრავს სამართლისა და ადამ-ჩვეულების ურთიერთდამოკიდებულებას. კონკრეტულად ეს დამოკიდებულება შემდეგნაირად წყდება ნ. ურბნელთან:

მეცნიერის აზრით, ადამში გამოხატულებას პოულობს მისი ზნეობა. ამიტომ იქ, სადაც ხალხი სარგებლობს მავნე ჩვეულებებით, დაბალია ზნეობა. ასეა ძირითადად კულტურულად, იურიდიულად ჩამორჩენილ საზოგადოებაში. ამ შემთხვევაში კანონმა, სახელმწიფოს მიერ დადგენილმა ნორმამ, რომელიც უფრო მაღალი დონეა სამართლებრივი აზროვნებისა, უნდა იკისროს ხალხის იურიდიული და ზნეობრივი წარმატება — ებრძოდეს მავნე ჩვეულებებს, აღმოფხვრას, გააუქმოს ისინი. (ამ შემთხვევაში კანონს ნ. ურბნელი ანიჭებს დეროგატიულ — ჩვეულების გამაუქმებელ ძალას). მაგრამ თუ ხალხი სარგებლობს ისეთი ჩვეულებებით, რომელიც მისი ცხოვრების საჭიროებებს პასუხობს და ზნეობრივ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, სამართალმა პატივი უნდა სცეს მას, კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს ასეთი იურიდიული ჩვეულება და კანონი მას შეუსაბამოს.

Л. Л. АДЕИШВИЛИ

ВЗАИМООТНОШЕНИЯ ПРАВА И ПРАВСТВЕННОСТИ

Резюме

В статье изложен вопрос о соотношении права с нравственностью и обычаем.

Исторически вопрос о соотношении между правом и нравственностью решался по-разному. Вначале наука не сумела точно разграничить право от нравственности. Позже (17—18 вв.) философы и правоведы попытались разграничить эти две сферы друг от друга. Они противопоставляли их друг другу. В дальнейшем наблюдаются попытки их сближения. Некоторые исследователи рассматривали право как составную часть нравственности.

Н. Урбнели возлагает на право высокий долг — нравственного воспитания и совершенствования общества. Такой долг закон сможет выполнить только тогда, когда он отвечает требованиям и нуждам народа. Общество, где народ находится на отсталом юридическом уров-

не и применяет вредные юридические обычаи или адаты, нравственность тоже находится на низжайшем уровне, потому что нравственность, по мнению Урбнели, отражается в обычае. В таком случае Н. Урбнели придает праву силу отмены обычая, чтобы он смог выполнить свою цель — нравственного воспитания народа. Когда общество пользуется обычаями, происходящими из нужд народа и не противоречащими нравственности, право должно считаться с юридическими обычаями и находиться в соответствии с ними.

Следовательно, по мнению Урбнели, право не является частью нравственности и не противоречит ему, а в социальной практике они отдельно не существуют. Право как-то служит нравственности, у него функция нравственного совершенствования общества.

წარმოადგინა საქართველოს სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებამ

პირველი მხარე

კომუნისტური პარტიის მანიფესტი, მითი და სინამდვილე

სენსაციურ აღმოჩენებს და მითუმეტეს ვინმეს განჭიქებას ამ წერილში ადგილი არ ექნება. ჩვენი განზრახვაა ერთი, ლამის დავიწყებული მოღვაწის, მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკური მოაზროვნის ვარლამ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილის ნაღვაწის, მისი პოლემიკური ნიჭის ერთი ასპექტის ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანა.

ბედის უკუღმართობის გამო ბევრისთვის ეს უთუოდ პირველი შეხვედრა იქნება მრავალი წლის მანძილზედ ემიგრაციაში ნაცხოვრები ჩვენი თანამემამულის შემოქმედებასთან. ხოლო ვინც უკვე იცნობს მის ნაშრომებს, მათთვის არც ჩვენი წერილის სათაური იქნება მოულოდნელი, ვინაიდან გაიკვლინათ უფრო „გამომწვევი“ სათაურით „კომუნისტური პარტიის მანიფესტი როგორც პლაგიატი“ ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნდა წერილები როგორც ქართულ, ისე უცხოურ პრესაში, აღნიშნულ წერილებს უშუალო კავშირა აქვთ ვარლამ ჩერქეზიშვილთან და ჩვენი დღევანდელი საუბრის თემასთან თანმიმდევრულად გავიხსენოთ მოვლენები.

პირველ რიგში მოკლედ XIX-XX საუკუნეების რომანზე პოლიტიკური აზროვნების სფეროში შექმნილ ვითარებაზე აი როგორ აღწერს მას ვ. ჩერქეზიშვილი: „ამ პერიოდის მეცნიერებმა, ანუ გერმანულმა, სოციალიზმმა არა მხოლოდ უარყო XIX საუკუნის პირველი ნახევრის სოციალიზმი, არამედ დაიწყო მასთან აშკარა ბრძოლა. „უტოპიზმის“ მეტსახელით 80-იანი წლების გერმანულმა, ხოლო შემდეგ კი ჩვენმა (იგულისხმება რუსეთის) მარქსიზმის მამებმა დაიწყეს საყოველთაოდ მასხარად აგდება ოუენისტების, სენსიონისტების, ფურიერისტების, ხალხოსნების მოძღვრებებისა და შეხედულებების. ქედმაღლურად ითვისებდნენ რა გასული საუკუნის საზოგადოებრივი აზრის უდიდეს აღმოჩენებს, მათზე დაყრდნობით აგებდნენ საკუთარ, ვარლამ ჩერქეზიშვილის აზრით, „საყოველთაო ვალდებულების“ მოძღვრებებს“¹.

სრულიად საწინააღმდეგო შეხედულება აქვს აღნიშნულ მოვლენებზე ავგუსტ ბებელს. იგი წერდა, რომ: „გერმანია ვახდა კაცობრიობის ხელმძღვანელი მომავლისათვის ბუმბერაზულ ბრძოლაში და აქედან გამომდინარე არ არის უბრალო შემთხვევითობა, რომ საზოგადოების განვითარების დინამიკური კანონები და სოციალიზმის მეცნიერული ბაზისი აღმოჩენილი და ჩადებული იქნა გერმანელების მიერ. პირველი ადგილი ამ გერმანელებს შორის, ეკუთვნით მარქსს და ენგელსს“².

თავის მხრივ ფრიდრიხ ენგელსი 1884 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომებში

¹ Черкезовъ В. «Наканесть-то сознались! Тифлис, 1907 г., с. 3.

² Черкезовъ В. Доктрины Марксизма, выпускъ второй «Наука-ли это?», Москва, 1905 г., с. 20.

„მეცნიერული სოციალიზმის განვითარება“ აღიარებდა რა კ. მარქსის დამსახურებას კაცობრიობის წინაშე, წერდა რომ — „ორი უდიდესი აღმოჩენისათვის — ისტორიის მატერიალური გაგებისა და კაპიტალისტური წარმოების საიდუმლოს: ზედმეტი ღირებულების ცნების გამოაშკარავებისათვის ჩვენ უნდა ვუმაღლოდეთ მარქსს“³.

სწორედ მარქსისტების ასეთმა დაუსაბუთებელმა განცხადებებმა გაანაწყენეს „მრავლისმხილველი რევოლუციონერი“ (ვ. ჩერქეზიშვილმა რევოლუციური მოღვაწეობა გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო). და აფაქრებინეს მას მარქსისა და ენგელსის ნაშრომების კრიტიკულად გადაფასება. სწორედ კრიტიკულად და არა მიკერძოებით, ცალსახად. აღსანიშნავია, რომ ვ. ჩერქეზიშვილისათვის უცხო იყო პიროვნების დაუმსახურებლად გაკილვა და ფაქტების დამახინჯებულად წარმოჩენა. პირიქით, შეფასებისას იგი ყოველთვის ცდილობდა ყოფილიყო ობიექტური და ყოველი გამოთქმული აზრისათვის მოექებნა შესაბამისი დასაბუთება. აღნიშნულის შესაძლებლობას კი, მას აძლევდა უცხო ენების ჩინებულად ცოდნა (იგი თავისუფლად ფლობდა რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, რუმინულ, სომხურ და ჩერქეზულ ენებს) და ზრწყინვალე საკადემიური განათლება, რომელიც ჯერ რუსეთში, შემდეგ კი ევროპაში მიიღო.

იდეური მოწინააღმდეგისადმი ჭაინდული დამოკიდებულების მაგალითია ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ კარლ მარქსის დახასიათება, რომელიც გაზეთ „ნობათი“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა. წერძნულში ვკითხულობთ „უწინარეს ყოვლისა განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ იმას, რომ მარქსი, რევოლუციონერი და დამცველი პროლეტარიატისა, მარქსი შეუდარებელი პოლემისტი, რომელმაც, მთელი თავისი ცოდნა ხალხის სამსახურს მიაწოდო, დიდი ვინმეა თანამედროვე სოციალიზმის განვითარების ისტორიაში“.

1843-1848 წწ. მისი აზრების მოკლე მიმოხილვას იმიტომ კი არ ვკისრულობ, რომ მინდოდეს დავამცირო იმისი ღვაწლი მუშათა კლასის ემანსიპაციაში, არა, მე მინდა მხოლოდ განვიხილო, ენგელსის დიდს პრეტენზიებს თუ აქვთ რამე სიმტკიცე წარსულში ან რაგვარი იყო ერთთავად მათი დოქტრინა აღნიშნულ ეპოქაში“⁴.

მიგვაჩნია, რომ მოყვანილ დახასიათებაში ნათლად იკვეთება ავტორის მამოძრავებელი მოტივიცა და მიზანიც.

ყველაფერი კი შემდეგნაირად დაიწყო. გასული საუკუნის მიწურულს „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ქებითა და დიდებით „თავმოებრებულ“ ვარლამ ჩერქეზიშვილს ყურადღებით წაუკითხავს ეს ნაწარმოები და მეტად გაოცებულა, როდესაც თვითონ კომუნისტებზე მანიფესტში სიტყვაც კი ვერსად უპოვნია.

„სხვას რომ თავი დავანებოთ, თვით კომუნისტთა დევიზებიც „ხალხთა შორის თანასწორობა“, „ყველას მოთხოვნების მიხედვით, ყველასაგან უნარის მიხედვით“ ვერსად ვერ ვნახე. პირიქით მასში საუბარია სახელმწიფოს მონოპოლიაზე. შრომით არმიაზე, საერთო გეგმის მიხედვით მინდვრე-

³ Черкезовъ В. «Наука ли-это?» გვ. 12 ციტატა მოყვანილია ფრიდრიხ ენგელსის წიგნიდან. («Развитие Научного Социализма», с. 25, Женева, 1884 г.).

⁴ გაზეთი „ნობათი“, 1906 წ. № 2, გვ. 24.

ბის დამუშავებაზე უფროსების ბრძანებით, რომელთაც ენგელსის სიტყვებით „გონებაჩლუნგი“ და „გალატაკებული გლეხობა ეძლეოდა სრულ განკარგულებაში“⁵.

აღნიშნულის და კიდევ სხვა მიზეზების გამო ვ. ჩერქეზიშვილზე მანიფესტმა უარყოფითი შთაბეჭდილება დატოვა. „ეს არ არის კომუნიზმი, არამედ „სალდატიზმი“, დისციპლინის და მონობის მოძღვრებაა. კომუნისტები 1848 წელს ამ ენაზე არ ლაპარაკობდნენ“-ო დასკვნის ავტორი⁶.

იმის გასარკვევად თუ რა იყო ეს ვ. ჩერქეზიშვილმა დაიწყო 30-40-იანი წლების პოლიტიკური და საზოგადოებრივი შეხედულებების საფუძვლიანი შესწავლა. გაწეულმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. დაკვირვებისა და შედარებების შედეგად იგი მივიდა დასკვნამდე, რომ „მანიფესტი“ გადაწერილია ვიქტორ კონსიდერანისაგან... და რომ არავითარი კანონები მარქსს და ენგელსს არ აღმოუჩენიათ, ხოლო მოძღვრება გლეხთა მიწის გარეშე დატოვებისა და გალატაკების თაობაზე იყო ნაყოფი „ადამიანის მოძულე ველური გონებისა. არსად არც ბუნებაში, არც ეკონომიკურში, არც სოციალიზმში ამდაგვარი საზოგადოება, სისაძაგლე არ ყოფილა, მეცნიერების სახელით გლეხობის გაღარიბების სიკეთეზე, კეთილშობილებაზე ლაპარაკი არის მეცნიერების, სოციალიზმის და კაცობრიობის წინაშე არაკვალიფიციური დატყვევება“⁷.

მაგრამ, ყველა როდი ფიქრობდა ასე, თვით ენგელსი და მასთან ერთად მარქსისტული შეხედულებების მიმდევართა უმრავლესობა, მათ შორის ისეთებიც, როგორც იყვნენ: პლუხანოვი, ბებელი, ლასალი, კაუცკი, სტრუვე და სხვანი სოციალიზმის განვითარების ყველა კანონზომიერებების აღმოჩენასა და ჩამოყალიბებას ვ. მარქსისა და ე. ენგელსის სახელს უკავშირებდნენ.

გასაგები მიზეზის გამო ახლანდელ წერილში ყველა აღმოჩენის ისტორიასა და ბედს ჩვენ ვერ შევხვებით. ამიტომ ვინაიდან ჩვენი წერილის ძირითადი საკითხი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ მოძღვრებაზე კლასობრივი ბრძოლის შესახებ, რომელიც მთელი მანიფესტის ერთ-ერთ მთავარ გამჭოლ იდეას წარმოადგენს და რომლის აღმოჩენასაც, როგორც ალბათ უკვე მიგვიხვდით, მარქსისტები, ასევე მარქსისა და ენგელსის სახელს უკავშირებენ.

აი რას წერდა აღნიშნულის შესახებ „ორთოდოქსალური მარქსიზმის“ მამად წოდებული კარლ კაუცკი: „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ აღიარებს კლასობრივ ბრძოლას, როგორც საზოგადოებრივი განვითარების მამოძრავებელ ძალას და ამ შემეცნებას შეუფარდებს იგი პროლეტარიატის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

ამაზე სოციალისტთა უმრავლესობას მაშინ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა და საერთოდ ის მიმდინარეობა, რომელსაც კონსიდერანი ეკუთვნოდა, კლასობრივ ბრძოლას, მეტად არასასიამოვნო უგზ-უკვლობად თვლიდაო“⁸.

⁵ Черкезовъ В. «Наука ли-это?», с. 9.

⁶ იქვე გვ. 9.

⁷ იქვე, გვ. 10.

⁸ გაზეთი „გრიგალი“, 1906 წ., № 9, გვ. 2.

ეს სიტყვები მოტანილია წერილიდან რომლითაც ცნობილი მეცნიერი გამოეხმაურა ვ. ჩერქეზიშვილის წიგნის „არის კი ეს მეცნიერება“-ს გამოსვლას. წერილში სავტორი ცდილობს ვიქტორ კონსიდერანსის და მასთან ერთად მთელი ე. წ. უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენელთა შეხედულებების ნაკლოვანებათა მხილებას. „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ თვითყოფადობის დამტკიცებას. შევნიშნავთ, რომ, ჩვენი აზრით, ვარლამ ჩერქეზიშვილთან კამათი მისთვის საკმაოდ უხერხული აღმოჩნდა.

თვითონ ვ. ჩარქეზიშვილი შესანიშნავად იცნობდა გასული საუკუნის ევროპული საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრის ისტორიას, მასში კლასობრივი დაპირისპირებულობის იდეის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპებს. ამდენად გასაკვირი არაა, რომ იგი არ დაეთანხმა კ. კაუცკის განცხადებას თითქოს ვ. კონსიდერანს და მის თანამედროვე სოციალისტებს კლასობრივ ბრძოლაზე წარმოდგენა არ ჰქონდათ და მას „მეტად არასასიამოვნო უგზოუკვლობად თვლიდნენ“.

ქართველი ანარქისტის აზრი აღნიშნულ საკითხზე რადიკალურად განსხვავებულია. წიგნში „არის კი ეს მეცნიერება?“ ვ. ჩერქეზიშვილი წერს: „კლასთა შორის ბრძოლა, მისი წარმოშობა და ზრდა, ისტორიული როლი პოლიტიკური და მუნიციპალური დაწესებულებების განვითარებაში ბრწყინვალედ იყვენენ გაშუქებულნი ჯერ კიდევ ფრანგი ისტორიკოს-ევოლუციონისტების მიერ XIX საუკუნის დასაწყისში“⁹, მისი აზრით, ამ შინაარსის საკითხებმა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მეორე ნახევარამდე გაბატონებულ თეოლოგიურ შეხედულებებში „პოვეს ქსახვა, მათ მიხედვით ადამიანთა კლასებად დაყოფა მიეწერებოდა ღმერთს. სწორედ ღვთის ნებით აიხსნებოდა მმართველი უმცირესობისათვის მინიჭებული სხვა და სხვა სოციალური ეკონომიკური და პოლიტიკური პრივილეგიები...“

საკითხის ასეთი სახსნა, რასაკვირველია, ვეღარ აკმაყოფილებს ახალი დროის მოთხოვნებს და მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო. ენციკლოპედისტების უდიდესი გონებრივი მოძრაობისა და ბრწყინვალედ დამთავრებული რევოლუციის შედეგად აღნიშნული თეოლოგიური საბურველი მნიშვნელოვნად გაიკრიცა, ხილული გახდა საქმის ჭეშმარიტი არსი.

სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდა ვ. ჩერქეზიშვილის აზრით, ახალგაზრდა ნიჭიერ ისტორიკოსთა მთელი პლეადა: იგიუსტენ ტიერი, ჟან-შარლ-ლეონარ სისმონდი, ფრანსუა პიერ გიომი, კარელდი, მინიე და სხვები. რომელთაც განიხილეს რა კლასთა ბრძოლის ისტორიული განვითარება, როგორც კულტურისა და საზოგადოების ევოლუციის ერთ-ერთი ფაქტორი, დაუსაბუთებელი ამაგი დასდეს პოლიტიკურ ლიბერალიზმს და დემოკრატის.

იმავედროულად დიდი რევოლუციის გავლენის შედეგად ყალიბდებოდა სხვა მოძღვრებაც, რომელიც უფრო ღრმად სწავლობდა ისტორიული წარსულის არსს და თანამედროვე ცხოვრების სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებს.

ვ. ჩერქეზიშვილის აზრით, ეს მოძღვრება იყო სოციალიზმი, რომლის ჭირველი, ქალზედ ხრასრულყოფილი, წარმომადგენლებიც იყვნენ ბაბუფი

⁹ Черкезовъ В. «Наука ли-это?», с. 21.

(ნამდვილი სახელი ფრანსუა ნოელი 1760-1797 წწ.) და მისი თანამოაზრენი „თანასწორობა“ უტოპისტურ-კომუნისტური წოდებობიდან.

იდეის ისტორიული ჩამოყალიბების შემდგომი თანმიმდევრობის დაწვრილებით განხილვით, რაც უდაოდ დიდ დროსა და ადგილს მოითხოვს, თავს არ შეგაწყენო. დევასახელებთ მხოლოდ იმ მეცნიერებს, რომელთა ნაშრომებშიც, ვ. ჩერქეზიშვილის აზრით, გაცილებით ადრე ვიდრე კ. მარქს-თან და ფ. ენგელსთან, აისახა კლასობრივი ბრძოლის იდეა, როგორც საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი იმპულსი. ეს მეცნიერებია დავიდ იუმი, ადამ სმიტი, ფრანსუა ბიერ გიომი (გიზო), შარლ დიუნუაი, ლუი ოგიუსტ ბლანკი და სხვები.

აი რას წერდა მაგალითად გიზო თავის სქელტანიან წიგნში „ცივილიზაციის ისტორია ევროპაში“: „კლასთა შორის ურთიერთობა, მათ შორის ბრძოლის აუცილებლობა და დათმობები. მათი ინტერესების და სურვილების რეალობა, მათი მიუღწეველი მისწრაფება საბოლოო გამარჯვებისაკენ. აი რამ წარმოშვა ალბად ყველაზე ენერგიული და ყველაზე ნაყოფიერი საწყისი ევროპული ცივილიზაციის განვითარებისა“-ო¹⁰. მიგვაჩნია, რომ სიმცირის მიუხედავად კლასობრივი ბრძოლის წარმომშობი მიზეზებისა და მნიშვნელობის ხედვის შესანიშნავი ნიმუშია. ჩვენს მიერ დასახელებული მეცნიერების ნაშრომებიდან კიდევ ბევრი კარგი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ რაც ყველაზე მეტად საყურადღებოა ვ. ჩერქეზიშვილის აზრით, გასული საუკუნის 30-იან წლებში მეცნიერებმა კი არ იყვნენ ერთადერთი „მესაკუთრნი“ კლასობრივი დაპირისპირებულობის იდეის: „გაბატონებული საყოველთაო ბრძოლისას არ შეიძლება არ ვაღიაროთ... რომ იგი წარმოებს სხვა და სხვა საზოგადოებრივ კლასებს შორის, მათში მიმდინარეობს ურთიერთსაკონკურენტო ბრძოლა, ბრძოლა ღარიბებისა მდიდრების წინააღმდეგ, მუშებისა მესაკუთრეების წინააღმდეგ“-ო¹¹, ეს სიტყვები ლიონის ცნობილი აჯანყების ერთ-ერთ მონაწილეს უბრალო ფრანგ მუშას რივიერ უმცროსს ეკუთვნის და მათ ვ. ჩერქეზიშვილი იმ მიზნით ასახელებს, რომ დაგვარწმუნოს: „კლასობრივი ბრძოლის იდეა არამც თუ მეცნიერებს შორის, არამედ უბრალო მშრომელი მასების მიერაც საკმაოდ იყო შესწავლილი და გათვითცნობიერებული“.

ამდენად ყოველივე ნაბიჯამის შემდეგ ჩვენთვისაც, ისევე როგორც ვარლამ ჩერქეზიშვილისათვის, ძნელია დავეთანხმოთ კარლ კაუცკის განცხადებას, თითქოს 30-იანი წლების სოციალისტებს კლასობრივ ბრძოლაზე წარმოდგენა არ ჰქონდათ და მას „მეტად არასასიამოვნო უგზო-უკვლობად თვლიდნენ“.

კ. კაუცკის აზრით, კლასობრივი ბრძოლის იდეის შეუფასებლობა არ იყო მარქსამდელი სოციალისტების „ერთადერთი ცოდვა“. მათ ასევე არ სტოღნიათ, რომ:

1. კლასობრივი ბრძოლა გამომდინარეობდა რა ეკონომიკური განვითარებიდან, თავის მხრივ ნიადაგს უმზადებდა ახალ საზოგადოებას;

2. არ ჰქონდათ ნდობა პროლეტარიატისადმი და შეუძლებლად მიაჩნდათ მის მიერ ოდესმე საკუთარი თავის განათავისუფლება;

¹⁰ Черкезов В. «Наука ли-это?», с. 27.

¹¹ Там же, с. 29.

3. კ. კაუცკის აზრით, ფრანგი სოციალისტების დიდ ტაქტიკურ შეცდომად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ პროლეტარიატის უკიდურესი სიღარიბის მითითებით, ისინი იმედს ამყარებდნენ ბურჟუაზიული წრეებში თანაგრძნობის გაღვივებაზე და მათი მხრიდან პროლეტარიატისათვის დახმარების აღმოჩენაზე¹².

ცნობილი მარქსისტი შესანიშნავად ხედავდა რა ფრანგი სოციალისტების ნაკლოვანებებს, ჩვენის აზრით, ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენდა საკუთარი დასკვნების მიმართ. სხვაგვარად რით შეიძლება აეხსნათ მისი განცხადება, რომ „მარქსმა და ენგელსმა პირველებმა ყველა სხვა მოაზროვნეთაგან მშრომელთა გადატაკების ზრდაში დაინახეს ბრძოლის ზრდა ამ გადატაკების წინააღმდეგ. და რომ მუშათა კლასის აღშფოთების ზრდაში ისინი ხედავდნენ იმ საშუალებას, რომელმაც მუშათა კლასს უნდა უშველოს თავისი თავის განთავისუფლებაში“¹³.

კ. კაუცკის ეს დასკვნა ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას ნამდვილად ვერ დაიმსახურებდა, რომ არა ერთი გარემოება, ჩვენის აზრით, მისი გამომრიცხველი მოსაზრებები თვით ვ. კონსიდერანის მანიფესტშია მოცემული და კაუცკის ისინი უნდა გაეთვალისწინებინა.

„თავს ნუ ვიტყუებთ — წერს ვ. კონსიდერანი — „ამგვარი მდგომარეობა საფრთხითაა სავსე, თუ იგი გაგრძელდა და განვითარდა, ფრანგი ერი ვერ მოითმენს ისეთ შევიწროებას, რომელსაც იტანდნენ ირლანდიისა და ინგლისის სოფელ-ქალაქების მცხოვრებნი... სანამ მუშათა კლასი ინგლისსა და ირლანდიაში წინააღმდეგობისა და სიძულვილს ამ წერტილამდე მიაღწევდეს (როგორც ჩარტისტები) ჩვენში ათი რევოლუცია მოხდებოდა“¹⁴.

განა არ ჩანს ამ სტრიქონებში კლასობრივი წინააღმდეგობის ზრდა ან მისი გამომწვევი მიზეზი. მეტიც, აზრი ამით არ მთავრდება: „რალა დარჩება ცივილიზაციისაგან — გვიტხოვლობთ იქვე — მთავრობებისაგან, მაღალი კლასებისაგან, თუ „ინდუსტრიული ფეოდალობა“ მთელს ევროპაზე გაგრძელდა და თუ სოციალური ბრძოლის დიადმა ლოზუნგმა: „შრომით სიცოცხლე ან ბრძოლით სიკვდილი“ ერთ დღეს თანამედროვე მონების უთვალავი ლეგიონები მღელვარებაში მოიყვანა“¹⁵.

ეს ხომ უკვე არა მარტო ხედვაა, არამედ შემფოთებაცაა, მოვლენათა ასეთი განვითარების გამო, რაც რეალური საფრთხის წინაშე აყენებს მთელი ქვეყნის ბედს: „ღიახ, თუ მთავრობათა სიბრძნე, ინტელიგენტური და ლიბერალური ბურჟუაზია და მეცნიერება ბოლოს მაინც გონზე არ მოვლენ, მაშინ უეჭველია, მოძრაობა რომელიც ევროპის საზოგადოებათ შერაყევს პირდაპირ სოციალური რევოლუციით გათავდება და ჩვენ მივექანებით ევროპული სამოქალაქო ომისაკენ (ყაკერიისაკენ) ველური ამბოხებისაკენ“¹⁶.

12 გაზეთი „გრიგალი“ № 9 1906 წ. გვ. 2 კ. კაუცკის წერილის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი როგორც პლაკატი“, ა. ჩხენკელისეული თარგმანი გაზეთ „ნოიე ცაიტუნგ“ 1906 წ., № 47.

13 იქვე გვ. 2.

14 გაზეთი „გრიგალი“, № 9, გვ. 3.

15 იქვე, გვ. 3.

16 იქვე, გვ. 3.

ამრიგად, ჩვენის აზრით, ნათელია, რომ ამ ციტატების ავტორი ნათლად ხედავდა საზოგადოებაში არსებული მძაფრი კლასობრივი ბრძოლის ნიშნებს, ამ ბრძოლის გამომწვევ მიზეზებს და მოსალოდნელ შედეგებს. რაც, ვგონებთ სავსებით საკმარისია კარლ კაუცკის მოსაზრების უარსაყოფად, თითქოს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა პირველებმა დაინახეს სილატაკის მატებაში კლასობრივი წინააღმდეგობის ზრდა.

ახლა რაც შეეხება კარლ კაუცკის თეზისის მეორე ნაწილს, რომ მარქსი და ენგელსი მუშათა კლასის აღმფიქვანების ზრდაში ხედავდნენ იმ საშუალებას, „რომელმაც მუშათა კლასს უნდა უშველოს თავისი თავის განთავისუფლებაში“.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში, როგორც თვით წინადადებაშია აღნიშნული, ლაპარაკია მიზნის მიღწევის საშუალებაზე და არა ამა თუ იმ მოვლენის შეფასებაზე ან ხედვა არ ხედვაზე. საშუალება კი ერთისა და იმავე მიზნის მიღწევისა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, ხოლო რომელია მათ შორის სწორი და მისაღები, ამის წინასწარ განსაზღვრა ძალზედ ძნელია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ისეთ რთულ სოციალურ მოვლენას, როგორცაა კლასობრივი ბრძოლა. ამიტომ არასწორად მიგვაჩნია, რომელიმე მხარის მიერ წინასწარ იმის გადაჭრით მტკიცება, ვითომ სწორედ მათი არჩეული გზა იყოს სწორი. ამ არჩევანს, როგორც ისტორიამაც ცხადყო, ცხოვრება თვითონ აკეთებს ჩვენგან დამოუკიდებლად. ჩვენ კი ისღა დავგრჩენია სრულად და მიუყვარძებლად წარმოვაჩინოთ ორივე მხარის მიერ შემუშავებული პოზიცია, როგორც მარქსისტების ისე ვიქტორ კონსიდერანისა. საბოლოო სიტყვა, როგორც ყოველთვის ამჯერადაც დრომ თქვას.

„მარქსიზმის ტაქტიკურ საფუძველს, — ვკითხულობთ გაზეთ „ჩვენი ცხოვრების“ დროთაგან გაყვითლებულ ფურცლებზე — წარმოადგენს მოძღვრება კლასთა შეუირიგებელი ბრძოლისა. რადგან ეს ის იარაღია, რომლის შემწეობითაც პროლეტარიატმა ხელში უნდა აიღოს პოლიტიკური ძალაუფლება და შემდეგ კი უნდა მოახდინოს ბურჟუაზიის ექსპროპრაციის სოციალიზმის დასამყარებლად“¹⁷.

ეს სიტყვები „მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთ „ყოფილ“ კლასიკოსს იოსებ სტალინს ეკუთვნის და ვფიქრობთ, ძალზედ კარგად აყალიბებენ მარქსისტების მიერ არჩეულ გზასაც და საშუალებასაც, რომლის მეშვეობითაც უნდა გადაწყვიტოს მუშათა კლასმა მის წინაშე მდგარი პრობლემები.

აღნიშნულ მოძღვრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბრძოლას და არა განსჯას, მასში განმსაზღვრელია ძალის ფაქტორი. სწორედ მასზეა აგებული მთელი ეს მიმდინარეობა. ამისდაკვალად ალბათ არ შეეცდებით თუ ვიტყვი, რომ: მოძღვრება, რომელიც მიზნის მისაღწევად გადაჭრულ საშუალებად შეირალებულ ბრძოლას აღიარებს, რაც უეჭველია უხეში ძალის გამოყენებასაც გულისხმობს, შეგნებულად ურიგდება მასობრივ ტერორს თანამემამულეთა სისხლის ღვრას, ქალაქების ნგრევას და არა მარტო ქალაქების, რაც უმეტესად საშინელია მილიონობით ადამიანისა და ოჯახის ბედისასაც, თვით სამშობლოს — მამულის დაღატაკაც კი, თუ ამას „კლას-

ების სხვა და სხვა სოციალურ ფენებს შორის არსებული უთანხმოებანი ისევე როგორც, ვ. კონსიდერანის აზრით, ეს შეუძლებელია მოხდეს კომუნისტების „ამ წმინდა უარყოფითი, რევოლუციონური, ანტისოციალური და ილუზიით განმსჭვალული საშუალების მეშვეობით“²⁰.

ჩვენი აზრით, მარქსის იდეა პროლეტარიატის რაღაც ისტორიული მისიის შესახებ, აკვიატებული დოგმატურ-რელიგიური ცნობიერების ნაყოფია და არა მეცნიერული აღმოჩენა. მეცნიერებისათვის არ არსებობს ამა თუ იმ კლასის რაღაც „მისია“. კლასებსა და სოციალურ ჯგუფებს, როგორც ისტორიის სუბიექტებს, ძალუბთ ურთიერთკომპრომისისა და შეთანხმების გზით სოციალური პროგრესის გზების მონახვა.

ამდენად ჩვენ ვეთანხმებით ვიქტორ კონსიდერანს, რომ კაცობრიობის ხსნა საერთო საკაცობრიო საქმეა და მასში ყველა სოციალურმა ჯგუფმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, ხოლო გზის მანათობლად კი უნდა იყოს გონიერება და ადამიანობა ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით: „მამ ჩვენსკენ ინტელიგენტებო და შორსმჭვრეტელებო, მაღალი და საშუალო კლასებისაგ, სულგრძელნო ყველა კლასებისაგ! ჩვენი საზოგადოება რომელიც წამებულია... რევოლუციებით და რომელიც მიეჭანება ფეოდალიზმისაკენ (იგულისხმება ინდუსტრიული ფეოდალიზმი — გ. ფ.). იმყოფება კრიზისის ხანაში, რომელიც სერიოზულ შესწავლას და მსწრაფ განმკურნებელ საშუალებას მოითხოვს, თუ გვინდა ახალი რევოლუცია თავიდან ავიცილოთ!“²¹.

ვიქტორ კონსიდერანი გამოსავლის საკუთარ, ფურიერისტულ შეხედულებებზე აგებულ კონცეფციასაც გვათავაზობს. მისი აზრით, ასეთი გამოსავალია ფალანგების დაარსება, რომელთა საქმიანობაშიც პარამონიულად იქნებოდნენ შერწყმული კაპიტალი, შრომა და ტალანტი. წარმოების ეს სამი უდიდესი „ვეშაპი“. აი როგორ არის ეს აზრი გატარებული მანიფესტში: „კაპიტალი, შრომა და ტალანტი არის სამი ელემენტი, სამი წყარო სიმდიდრისა, სამი ბორბალი ინდუსტრიული მექანიზმისა, სამი თავდაპირველი საშუალებანი საზოგადოებრივი განვითარებისა... დღევანდელი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მანქანები ვამუშაოთ კაპიტალისტებისა და ხალხის სასარგებლოდ და არა კაპიტალისტების სასარგებლოდ და ხალხის წინააღმდეგ. დროა აღიარებულ იქნას დასასრულ ორგანიზაცია კლასების გაერთიანებისა ერში როგორც ერთეულში, ისევე როგორც მომავალში ერების გაერთიანება კაცობრიობაში. აგრეთვე როგორც ერთეულში“²².

ამ მშვენიერად დალაგებულ და გამართულ მსჯელობას ჩვენ ახალს ნამდვილად ვერაფერს ვერ შევმატებთ, მითუმეტეს, რომ ვფიქრობთ კლასებზე საუბარი ძალზედ გაგვიგრძელდა, მაშინ როდესაც სრულებითაც არ იყო ერთადერთი საფუძველი ვ. ჩერქეზიშვილისათვის, რათა მას „მოსწავლური კომპილაცია“ ეწოდებინა „კომუნისტური პარტიის მანიფესტისათვის“. და აი რატომ. მისი აზრით, პლაგიატის ნიშნები ადვილად მყლავნდება ამ ორი მანიფესტის არა მარტო იდეური, არამედ ტექსტობრივი და კონსტრუქციული შედარებისასაც.

²⁰ გაზეთი „გრივალი“, გვ. 3.

²¹ იქვე. გვ. 3.

²² გაზეთი „გრივალი“, № 9, გვ. 3.

ასე მაგალითად, 14 გვერდზე, რომელიც სულ 350 სტრიქონს შეიცავს, ოცდათექვსმეტზე მეტი დამთხვევაა, ე. ი. საშუალოდ ყოველ 12 სტრიქონზედ ერთი ნასესხები მოდის და თვით დასათურებანიც კი ქვეთავებისა ძალზედ მსგავსია. მაგალითად, კომუნისტური მანიფესტის პირველი თავის სათაურია „ბურჟუა და პროლეტარები“, კონსიდერანთან კი „თანამედროვე მდგომარეობა და 1789 წელი, ბურჟუა და პროლეტარები“²³.

ან კიდევ — კონსიდერანთან „დემოკრატია რეტროგრადული“, მარქსთან და ენგელსთან — „რეაქციული სოციალიზმი“. შემდგომ იქ „უძრავობის დემოკრატია“, აქ, კომუნისტურ მანიფესტში კი — „კონსერვატიული ანუ ბურჟუაზიული სოციალიზმი“. და ა. შ.

ვარლამ ჩერქეზიშვილის აზრით, ტექსტობრივი შედარებაც იმასვე ამტკიცებს. თავის წიგნში „არის კი ეს მეცნიერება“ ავტორი ტექსტობრივი დამთხვევის რამოდენიმე მაგალითს განიხილავს. მოვიტანთ აქ რამოდენიმეს, ჩვენის აზრით, ყველაზე საინტერესოს:

1. „კომუნისტური მანიფესტის“ მეორე გვერდზე, ვკითხულობთ, რომ აღმოცენდა რა ფეოდალიზმის ნანგრევებზე, თანამედროვე საზოგადოებას არ მოუსპია კლასობრივი განსხვავება“-ო.

ვნახოთ ახლა რა სწერია ვ. კონსიდერანის მანიფესტის ასევე მეორე გვერდზე: „ახალი საზოგადოებრივი წყობა აღმოცენდა ფეოდალიზმიდან შრომის, მეცნიერებისა და მრეწველობის განვითარების მეშვეობით... მეტაფიზიკური ლიტერალიზმის საპირისპიროდ... მოქალაქეთა კანონის წინაშე, კონსტიტუციური თანასწორობის მიუხედავად... თანამედროვე წყობა კვლავ რჩება არისტოკრატიულად, რასაკვირველია არაფაქტიურად კლასები ნარჩუნდება თვით ადამიანთა დაბადებით დაბალ ან მაღალ გარემოში. მხოლოდ ახლა უკვე არა კანონი, არა უფლებები და არა პოლიტიკური პრინციპები აღმართავენ ზღვარს ფრანგი ხალხის უზარმაზარ ფენებს შორის, არამედ თვით ეკონომიკური წყობა, საზოგადოებრივი ორგანიზაცია“-ო²⁴.

შემდეგი მაგალითი საზოგადოების კლასებად დაყოფას ეხება. „საზოგადოება სულ უფრო და უფრო მეტად იყოფა ორ მტრულ ბანაკად, ორ დიდ ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ კლასებად: ბურჟუაზიად და პროლეტარიატად“. წერდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი „კომუნისტურ მანიფესტში“.

ვიქტორ კონსიდერანის „დემოკრატიის მანიფესტში“ კი მთელი მეთათე პარაგრაფია ამ სათაურით: „საზოგადოების დაყოფა ორ კლასად, ყველაფრის მქონე უმცირესობად და უზარმაზარ, ყველაფერს მოკლებულ უმრავლესობად. სათაურით ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა საკითხებზეა მსჯელობა ამ პარაგრაფში.

კერძოდ, აქ აღნიშნულია, რომ მიმდინარე სოციალურ ბრძოლაში სახელმწიფო წარმოადგენს საბრძოლო ასპარეზს, რომლის ერთი მხარე უკავია „შეირალებულ, განათლებულ და ბრძოლისათვის მომზადებულ ბურჟუაზიას, ხოლო მეორე კი გაღატაკებულ, მშიერ და ნახევრადშიშველ პროლეტარიატს, რომელიც უბადრუკი ანაზღაურებისათვის იძულებულია სამუშაოს გამოსთხოვდეს მოწინააღმდეგეს“-ო²⁵.

²³ Черкезов В. «Наука ли-это?», с. 43.

²⁴ იქვე, გვ. 44.

²⁵ «Наука ли-это?», с. 45.

ანალოგიური ხასიათის, ტექსტობრივი დამთხვევის სულ 9 შემთხვევაა განხილული წიგნში, მაგრამ ავტორი მიუთითებს, რომ უადგილობის გამო იძულებული იყო გამოეტოვებინა ოცზე მეტი ძალზედ მნიშვნელოვანი დამთხვევა, კერძოდ ჭდეგლები გამომუშავებულ ხელფასზე, კონკურენციასზე წარმოებისა და გასაღების ბაზრებისათვის, მოსალოდნელ ეკონომიკურ კრიზისებზე და ა. შ.²⁶

აღნიშნული დამთხვევებისათვის პასუხისმგებლობა ავტორს მთლიანად მარქსისტების მეცნიერული სინდისისათვის მიუძღვია.

ზაკი მეცნიერული სინდისი ვახსენეთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვ. ჩერქეზიშვილის მიერ მითითებული უცხოური ლიტერატურის დიდი ნაწილის შემოწმება, ჩვენ ვერ შევძელით, ვინაიდან საამისოდ ხელი არ მიგვწვდებოდა. ამდენად იძულებული ვიყავით თვით ოპონენტის მითითებებს დავყრდნობოდით. თავს იმითლა ვიმშვიდებთ, რომ ხელთ გვაქვს იმ პერიოდის ზოგიერთი მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის მოსაზრებები სადაო საკითხებზე და ვფიქრობთ, ეს გარემოება ასე თუ ისე ამსუბუქებს ჩვენს მდგომარეობას.

აი რას წერდა მაგალითად „კომუნისტური პარტიის მანიფესტზე“ როგორც ნასესხობაზე, იტალიის სოციალ-დემოკრატთა მემარცხენე და ურადიკალესი ბირთვის წინამძღოლი არტურ ლაბრიოლა — „კომუნისტური მანიფესტის ყველა პრინციპებს და ძირითად თეორიულ აზრებს, ასევე ზოგიერთ სხვა ნაკლებმნიშვნელოვან იდეებსაც — შეიცავს დემოკრატიული მანიფესტი... ამაზე მეტი მარქსსაც არ უთქვამს რა, არც ერთი სიტყვა მეტი“—²⁷.

იგივე აზრია ა. ლაბრიოლას შემდეგ გამონათქვამში — „დემოკრატიის მანიფესტი შეიცავს თითქმის ყველა აზრს მარქსისა და ენგელსის მანიფესტისას. მთავრობა მასში განსაზღვრულია როგორც კაპიტალისტური ფეოდალიზმის იარაღი (§ IX) კოლონიური საკითხები ამჟამად იმპერიალიზმად წოდებული, კონსიდერანის მიერ განმარტებულია ზუსტად ისე, როგორც მარქსთან და ენგელსთან, ანუ ვაჭრობისა და საქონლის გასაღების ახალი ბაზრების მოთხოვნილებით. თვით მაგალითიც კი მარქსს და ენგელსს კონსიდერანთან აქვს ნასესხებიო — ინგლისის ომი ჩინეთთან ოპიუმისათვის“²⁸.

ყოველივე ამის კვალობაზე ა. ლაბრიოლა ასკვნის: „შეუძლებელია იმ ფაქტის უარყოფა, რომ ვიქტორ კონსიდერანის „დემოკრატიის მანიფესტი“ ნამდვილი მამაა „კომუნისტური პარტიის მანიფესტისა“—²⁹.

მოვუსმინოთ ერთ მეცნიერსაც პროფესორ პიერ რამუსს, რომელიც თავის წიგნში „კომუნისტური მანიფესტის წარმოშობა“ იზიარებს რა ვარლამ ჩერქეზიშვილის შეხედულებებს, წერს: „გადაჭრით შეიძლება ვთქვათ, რომ მათი (იგულისხმება მარქსი და ენგელსი) უმთავრესი ნაწარმოები „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ პირდაპირ ნაქურდალია. უნამუსო ნაქურდალი, რომელიც მათ სიტყვა-სიტყვით კი არ გადმოუწერიათ, როგორც ამას

²⁶ «Наука лж-этой», с. 49.

²⁷ გაზეთი „გრივალი“, № 7, გვ. 3, 1906 წ.

²⁸ არტურ ლაბრიოლას წერილი გამოქვეყნებული 1902 წლის 24 მარტს გაზეთ „avanti“-ში თარგმნა ვ. ჩერქეზიშვილმა.

²⁹ იქვე.

აკეთებენ ჩვეულებრივ ქურდები, არა მათ მხოლოდ აზრები და თეორიები მოიპარეს“-ო³⁰.

მოტანილ მაგალითებში, ავტორთა პოზიცია იმდენად აშკარა და ერთპირია, რომ ჩვენგან ახსნა-განმარტებას აღარც საჭიროებს, მაგრამ კარლ კაუტცის ნათქვამს კი დავიმოწმებთ. იგი მართალია იცავს „მარქსისა და ენგელსის მეცნიერულ სოციალიზმს“, მაგრამ იმასაც ამბობს: „ეს პლაგიატი იქნებოდა, მარქსს და ენგელსს, რომ ემტკიცებინათ, თითქოს XIX საუკუნის სოციალიზმი „კომუნისტური პარტიის მანიფესტიდან იწყებაო“³¹.

ვ. ჩერქეზიშვილი აღნიშნულზე უბასუხებს — „ეს რომ ემტკიცებინათ, მაშინ ისინი პლაგიატორები კი არა ბრძიყვები იქნებოდნენ, ხოლო ბრძიყობა მარქსისა და ენგელსისათვის ჯერ არავის დაუწამებია“-ო³². ისინი ასეთი ვულგარულობისათვის მეტად ჭკვიანები იყვნენ. მათ სხვა გზა აირჩიეს. კერძოდ დაარწმუნეს 80-იანი წლების გერმანელი მუშები, რომ სოციალიზმს 1848 წლამდე არავითარი მეცნიერული საფუძველი არ ჰქონდა და იყო მხოლოდ ლტოლვა, ოცნება და კეთილი სურვილები, რომელიც მათ „უტოპიური სოციალიზმის“ ზედმეტი სახელით მონათლეს, ხოლო ყველა მეცნიერული ჭეშმარიტება და სოციალიზმის საფუძვლები აღმოჩენილია და შემუშავებული იქნა გაცილებით უფრო გვიან ყოველ შემთხვევაში 1848 წლის შემდეგ და უკავშირდება უბირველეს ევროპის მარქსისა და ენგელსის სახელს. არა XIX საუკუნის დასავლეთ ევროპის უდიდეს გონებრივ და პოლიტიკურ მოძრაობას, არამედ მარქსსა და ენგელსს.

სწორედ ეს აღაშფოთებს ვარლამ ჩერქეზიშვილს ყველაზე მეტად და სწორედ ამ აზრს იცავს თავგამოდებით კარლ კაუტცი (აღნიშნული თავდადება კაუტცის ნამდვილად არ დაუფასდა. ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა მეცნიერების მიერ, იგი „მარქსიზმის დამმანინჯებლად“ იყო მონათლული და მას ე. წ. „ორთოდოქსალური მარქსიზმის მამას“ ბერნშტეინების, პილფრ დინგების, რენერების და ძმათა მათთა გვერდით მოიხსენიებდნენ³³. კ. კაუტცი ვერც ვარლამ ჩერქეზიშვილთან კამათისას ინარჩუნებს ბოლომდე სიმტკიცეს და ნებსით თუ უნებლიეთ მაინც აღიარებს: „ეჭვს გარეშე ყველა ეს იდეები მოიპოვებთან ვ. კონსიდერანის მანიფესტში“-ო³⁴.

სწორედ, რომ ამაზე უთქვამს ქართველ კაცს „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“.

კამათი „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ თავისთავადობის საკითხის გარშემო ამით არ დამთავრებულა. ვარლამ ჩერქეზიშვილს კარლ კაუტცისთან შედარებით გაცილებით უფრო მრისხანე და შემტევი მოწინააღმდეგეც გამოუჩნდა იოსებ სტალინის სახით, რომელიც იმ ხანად „კობას“ ფსევდონიმით წერდა. სწორედ ამ სახელით გამოქვეყნდა 1906 წ. მისი ნაშრომი „ანარქიზმი თუ სოციალიზმი“ რომელშიც ავტორი უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო საკითხებსაც ეხება. მათი დაწვრილებით აღწერით თავს არ შე-

³⁰ სტალინი თხზ., ტ. 1, გვ. 330.

³¹ გაზეთი „გრიგალი“, № 9.

³² „Накопец-то сознались“, с. 15

³³ ბ. შარია — კომუნისმის უდიდესი საპროგრამო დოკუმენტი, სახელგამი, 1948 წ., გვ. 21.

³⁴ გაზეთი „გრიგალი“, № 7, გვ. 3, 1906 წ.

გაწყენთ, დაინტერესებული მკითხველი მათ ადვილად გაეცნობა ი. სტალინის თხზულებათა პირველ ტომში.

ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ავტორი სასტიკად აკრიტიკებს ვ. ჩერქეზიშვილს და მისი შეხედულების მომხრე მეცნიერებს უწოდებს მათ „ინდუქტიურ მეტიჩრებს“³⁵. და ბრალად სდებს, რომ ამ „ახირებულ კრიტიკოსებს“ იდეალიზმი და მატერიალიზმი ვერ გაურჩევიათ ერთმანეთისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში რა უნდა ჰქონდეთ, საერთო ამ ორი სრულიად განსხვავებული მიმდინარეობის წარმომადგენლებს — უტოპისტ სოციალისტს — ვიქტორ კონსიდერანს და მტკიცედ მატერიალისტურ პოზიციებზე მდგომ კარლ მარქსს და მის მანიფესტსო.

თავსებ სტალინის აზრით, არის კიდევ მეორე არანაკლებ საყურადღებო გარემოებაც, რომელიც ასევე მარქსისტების სასარგებლოდ მეტყველებს, კერძოდ ის ფაქტი, რომ მიუხედავად დღევანდელი სიცოცხლისა არც თვით კონსიდერანს და არც მის მოწაფეებს: „არსად, არც ერთხელ არ განუცხადებიათ მარქსისა და ენგელსის სიცოცხლეში, რომ მარქსმა და ენგელსმა კონსიდერანს მანიფესტიდან მოიპარეს „სოციალიზმი“-ო³⁶.

ვის მაგივრად ლაპარაკობენო მაშინ ეს ჩვენი მეტიჩარა მეცნიერები, — კითხულობს ავტორი ნათუ კონსიდერანზე უკეთ იცნობენ მის მანიფესტს? ან იქნებ ჰგონიათ, რომ ვ. კონსიდერანს და მის მიმდევრებს წაითხული არ ექნებათ კომუნისტური მანიფესტი?³⁷

აი ასეთი კატეგორიული და პასუხის მომთხოვნი კილოთი ამთავრებს თავის მსჯელობას სტალინი და არ დავმაღავთ მისმა საბუთებმა და მსჯელობის კატეგორიულობამ შეიძლება ზოგიერთი მკითხველი დააეჭვოს კიდევ ვ. ჩერქეზიშვილის ბრალდების საფუძვლიანობაში. ამ ექვსის ბურჟუს ჩვენის აზრით, ყველაზე უკეთ ისევ თვითონ ვ. ჩერქეზიშვილი თუ გაფანტავს. ამ მიზნით მოვიტანთ რამდენიმე ადგილს მისი წიგნიდან „როგორც იქნა აღიარეს“, რომელიც კარლ კაუცკის საპასუხოდაა დაწერილი, მაგრამ მისი გამოყენება სტალინის მისამართითაც შეიძლება.

აი რას წერს ვ. ჩერქეზიშვილი თავის ნაშრომში: „კომუნისტურ მანიფესტში არ არის არც ერთი ორიგინალური აზრი და ყველა მისი განზოგადოება აღიარებული ჰუმბოლტემა იყო 30-იან და 40-იანი წლების ფრანგი სოციალისტებისათვის. და ამდენად გერმანელი ემიგრანტებისთვისაც რომლებიც მათთან პარდაპირ შემხებლობაში იყვნენ. ვიდალის, პრუდონის, ბურიეს, ბლანკის, ვილზე გარდელის, რივიურის და მათ შემდეგ გერმანელების გრიუნის, ვეიტლინგის, შუსტერის და სხვათა მიერ გამოთქმული იყო არა მხოლოდ ცალკეული აზრები კლასთა ბრძოლაზე და ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ინტერესების ოპოზიციურობაზე, არამედ „მარქსსა და ენგელსს ხელთ ჰქონდათ ყველა ამ საყოველთაოდ გავრცელებულ აზრთა ბრწყინვალე კრებული, ფურიერისტი ვიქტორ კონსიდერანის შესანიშნავი ნაწარმოების — „სოციალიზმის პრინციპები. XIX საუკუნის დემოკრატიის მანიფესტის“ სახითო.

ახლა რაც შეეხება კაუცკისა და სტალინის გაკვირვებას, რომ კონსიდერანი დაივიწყეს და საკუთარი მოწაფე, ინტერნაციონალის წევრი ბიორკლიც კი აღარ იხსენიებო, მაგრამ ვარლამ ჩერქეზიშვილი უპასუხებს — 50-60-იან

35 სტალინი, თხზ., ტომი 1, გვ. 333.

36 სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 333.

37 იქვე.

წლებში განა მართო კონსიდერანი დაივიწყეს, განა ინტერნაციონალის სექციებში 1862-1870 წლის ჩათვლით სიტყვა მაინც იყო ნათქვამი მარქსის ან ენგელსის მანიფესტზე?

არა მართო კონსიდერანი, არამედ მთელი სოციალისტური ლიტერატურა 40-იანი წლებისა, თვით მარქსის და ენგელსის მანიფესტის ჩათვლით, უცნობი იყო 60-იანი წლების მუშებისათვის. რეაქტია, რომელიც 1848 წლის რევოლუციას მოჰყვა, დაუნდობლად დევნიდა სოციალისტებს, სპობდა მათ ლიტერატურას, ანუ როგორც რეიზო წერდა: „სოციალიზმი მოკვდა, მასზედ ლაპარაკი ნიშნავს გამოსათხოვარი სიტყვა თქვა მიცვალებულის თავთან დიკობალვის წინ“³⁸.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვ. ჩერქეზიშვილი ვერაფერს საკვირველს ვერ ხედავს იმაში, თუკი კონსიდერანის მოწაფეები კარლ ბიორკლი, დიიჩე ან ინტერნაციონალის სხვა წევრები სიტყვას არ ამბობდნენ მანიფესტზე ამ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ წიგნზე.

ეს მხოლოდ გვიან 80-იან წლებში ალაპარაკდნენ მანიფესტზე, როდესაც უფიქროსმა მკვლევრებმა მასში ახალი აღთქმა დაინახეს, ხოლო მარქსი და ენგელსი ნიუტონს და კემპლერსაც კი შეადარეს. განათლებულ ხალხს კი, როგორც ყოველთვის, მოუწიათ შეეხსენებინათ ამ ბაქიათათვის, რომ ეს მხოლოდ უფიცობის გამო მიიღეს მათ ახალ აღმოჩენად ჯერ კიდევ 40-იან წლებში საყოველთაოდ აღიარებული ქეშმარიტებანი და იმის დასამოწმებლად, რომ ეს ნამდვილად ასეა ვ. ჩერქეზიშვილს მოაქვს ადგილი სენიობოსის სქელტანიანი წიგნიდან „ვერობის ზოგადი ისტორია“, რომლის მე-600 გვერდზეც ვკითხულობთ: „ჯერ კიდევ 1848 წლამდე ლაპარაკობდნენ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციაზე, ადამიანის უფლებაზე, შრომაზე, ზედმეტ ღირებულებაზე, ანარქიაზე, სოციალურ დემოკრატიაზე, კლასთა ბრძოლაზე, მუშათა პარტიაზე, მშრომელთა საერთაშორისო გაერთიანებაზე, პროლეტარიატის განთავისუფლებაზე, შრომის ორგანიზაციაზე... თავაზობდნენ კანონებს მუშების დასაცავად, საკუთრების განსაზოგადებაზე, პროგრესულ გადასახადზე, საყოველთაო გაფიცვაზე, მუშათა კონგრესებზე და სხვ“³⁹.

ვ. ჩერქეზიშვილის აზრით, სწორედ ამ იდეებმა ჰპოვეს ასახვა ვ. კონსიდერანის 1843 წლის მანიფესტში, რომლიდანაც შემდეგ ისინი თითქმის სიტყვასიტყვით გადაიღეს მარქსმა და ენგელსმა თავის გახმაურებულ მანიფესტში.

რასაკვირველია უარსაყოფი არ არის, რომ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ კონსიდერანის მანიფესტისაგან განმასხვავებელი ნიშნებიც აშკარად შეიმჩნევა. ამის უარყოფა მეორე უკიდურესობა იქნებოდა. ავიღოთ თუნდაც მიზნის მიღწევის საშუალება. იგი ხომ სრულიად განსხვავებულია და არ შეიძლება, რომ კონსიდერანისაგან იყოს ნასესხები. ისევე როგორც იდეა მომავალ რევოლუციაში პროლეტარიატის წარმმართველი როლის შესახებ, მაგრამ ეს მაგალითები არა და არ იძლევიან იმის მტკიცების უფლ-

³⁸ Шарль Сеньобосъ, «Политическая история совр. Европы», СПб, 1903 г., с. 604.

³⁹ Черкезовъ В. «Наконецъ-то сознались», с. 14.

ბას, რომ ზემორე ნახსენები იდეები მარქსმა და ენგელსმა გამოამზეურეს და მანამდე მათ შესახებ არაფერი ცნობილი არ იყო.

საკითხის ასე დაყენება ყოველად უმართებულო იქნებოდა თუნდაც იმ უბრალო ჭეშმარიტების გამო, რომ მეცნიერებაში საერთოდ და მითუმეტეს საზოგადოებრივი მეცნიერების სფეროში ასეთი ნახტომისებური აღმოჩენები ყოველად შეუძლებელია.

თვით მარქსი ჯერ კიდევ 1852 წლის 5 მარტს ვაიდემაიერისადმი გაგზავნილ წერილში აღიარებდა, რომ „ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა დიდი ხნით ჩემზე ადრე, გადმოსცეს კლასთა ბრძოლის ისტორიული განვითარება, ხოლო ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა — კლასების ეკონომიკური ანატომია, ის ახალი, რაც მე გვაკეთე, იმის დამტკიცება იყო, რომ:

1. კლასთა არსებობა დაკავშირებულია წარმოების განვითარების მხოლოდ ისტორიულ ფაზებთან;

2. რომ კლასთა ბრძოლას აუცილებლად მიყვებართ პროლეტარიატის დიქტატურამდე;

3. რომ თვით ეს დიქტატურა წარმოდგენს მხოლოდ გადასვლას ყოველგვარი კლასების მოსპობაზე და უკლასო საზოგადოებაზე“-⁴⁰.

ამდენად ვგონებთ იმის მტკიცებაში ვითომ კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა რაიმე არსებითად ახალი, ისტორიული მნიშვნელობის სოციალური და ეკონომიკური კანონები აღმოაჩინეს, მარქსისტები ნამდვილად სცოდავენ, ზომიერებისა და მეცნიერული მოკრძალების ზღვარს სცილდებიან, რასაც არ შეიძლება არ მოჰყოლოდა უკურეაქცია მათი იდეოლოგიური მოწინააღმდეგეებისა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების მხრიდან. რაც ჩვენს შემთხვევაში იმავე ვარლამ ჩერქეზიშვილის წერილის სახით გამოქვეყნდა.

დასასრულ, რასაკვირველია, ეს ჩვენი დღევანდელი წერილი საკითხის ამომწურავ გაშუქებად არ გვეგულება, მაგრამ დღეისათვის შესწავლილი მასალების საფუძველზე გვგონია, რომ ყველა ის ისტორიული თუ ეკონომიკური კანონები, რომლებიც მოცემულია ჯერ ვიქტორ კონსიდერანის „დემოკრატიის“, ხოლო შემდეგ კი მარქსისა და ენგელსის ერთობლივ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“, ეკუთვნის ანა კონკრეტულად ვიქტორ კონსიდერანს, ან ერთობლივად კარლ მარქსსა და ფრიდრიხ ენგელსს, არამედ XIX საუკუნის დასავლეთ ევროპის უდიდეს გონებრივ და პოლიტიკურ მოძრაობას.

40 კ. მარქსი, ფ. ენგელსი — რჩეული ნაწერები, ორ ტომად, ტ. II, გვ. 547, თბილისი, 1950 წ.

Г. Ю. ПЕРАДЗЕ

МАНИФЕСТ КОММУНИСТИЧЕСКОЙ ПАРТИИ
МИФ И РЕАЛЬНОСТЬ

Резюме

В статье изложен вопрос о соотношении двух различных произведений — манифеста Виктора Консидерана и всем нам хорошо известного «Манифеста коммунистической партии» К. Маркса и Ф. Энгельса.

В начале века грузинским политическим мыслителем Варламом Николозовичем Черкезишвили было высказано мнение, что «Манифест коммунистической партии» является плагиатом и все основные идеи, изложенные в нем Марксом и Энгельсом, были списаны из произведений французских социалистов начала XIX столетия. В частности, у Огюста Тьерра, Жан Шарля Леонара Сисмонди, Виктора Консидерана, Франсуа Пьер Гийома, Карелди, Миние и других.

В своей книге «Наука ли это? В. Черкезишвили конкретно указывает и объект плагиата. Это: «Принципы социализма. Демократический манифест XIX столетия» французского утописта, социалиста Виктора Консидерана. Автор приводит множество примеров как текстового, так и идейного сходства между этими двумя произведениями, которые, по его мнению, свидетельствуют, что «манифест демократии», написанный на пять лет раньше появления манифеста К. Маркса и Ф. Энгельса, является, как позже писал Артур Лабриола, «действительным отцом» манифеста коммунистической партии.

Вокруг рассматриваемого вопроса высказано множество мнений других политических мыслителей. В частности, в статье использованы совершенно противоположные и, можно сказать, даже исключаящие друг друга взгляды Карла Кауцкого и Пьера Расмуса, Иосифа Сталина и Артура Лабриола.

Следовательно, в результате рассмотренных материалов, учитывая аргументы как одной, так и другой стороны дискуссии, в настоящей статье высказано мнение, что все те исторические и экономические заключения, которые были даны сначала в «Принципах социализма» В. Консидерана, а потом в «Манифесте коммунистической партии» К. Маркса и Ф. Энгельса не принадлежат конкретно ни Консидерану, ни Марксу и Энгельсу совместно, а являются достижением величайшего умственного и политического движения Западной Европы XIX столетия.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებამ.

Ле Ван Кам

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ПРИМЕНЕНИЯ НАКАЗАНИЯ ПО ВЬЕТНАМСКОМУ ПОСЛЕРЕВОЛЮЦИОННОМУ УГОЛОВНОМУ ПРАВУ В ПЕРИОД ДО ПРИНЯТИЯ ПЕРВОГО УК СТРАНЫ (1945—1985 гг.)

1. Общие начала назначения наказания по вьетнамскому уголовному праву данного периода были законодательно закреплены в Декрете № 03 от 15 марта 1976 г. «О преступлениях и наказаниях»¹, ст. 10 которого устанавливала: «При рассмотрении уголовных дел суд, руководствуясь революционной совестью и положениями настоящего Декрета, учитывает характер и степень общественной опасности совершенного преступления, личность виновного, отягчающие и смягчающие уголовную ответственность обстоятельства для того, чтобы справедливо назначать наказание». Таким образом, эта норма явно выражала такие принципы назначения наказания, как законность, гуманизм, равенство перед уголовным законом и индивидуализацию наказания. Именно единообразное и точное понимание юридической природы этих принципов, а также неуклонное соблюдение их требований в судебной практике, имели и имеют большое социально-политическое и правовое значение для назначения виновному справедливого, обоснованного и законного наказания².

2. Отягчающие и смягчающие обстоятельства хотя бы еще не прямо регламентировались никакими нормами Общей части вьетнамского уголовного права до кодификации 1985 г., но упоминались специальными положениями некоторых актов, посвященных борьбе с отдельными видами преступлений, а также решались в судебной практике страны этого периода.

Согласно ст. 9 Указа от 30 октября 1967 г. «Об уголовной ответственности за контрреволюционные преступления»³, ст. 32 Указа от 21 октября 1970 г. «Об уголовной ответственности за преступления против социалистической собственности»⁴, ст. 18 Указа от 21 октября 1970 г. «Об уголовной ответственности за преступления против личной собственности граждан»⁵, ст. 5—6 Указа от 20 мая 1981 г. «Об уголовной ответственности за взяточничество»⁶, ст. 9 Указ от 30 июня 1982 г.

1 Сборник систематизированных норм уголовного права, т. 2 (1975—1978). Ханой, 1979, с. 76 (на вьет. яз.).

2 См.: Ле Ван Кам. Юридическая природа нормы ст. 37 «Принцип назначения наказания» Уголовного кодекса Вьетнама 1985 г. некоторые проблемы теории, практики и совершенствования действующего законодательства. В журн. «Народный суд», 1989, № 1—2, с. 31 (на вьет. яз.).

3 Ведомости Демократической Республики Вьетнам, 1967, № особый, с. 217.

4 Там же, 1970, № 17, с. 268.

5 Там же, с. 276.

6 Ведомости Социалистической Республики Вьетнам, 1981, № 9 с. 166 (на вьет. яз.).

«Об уголовной ответственности за спекуляцию, контрабанду, изготовление поддельных товаров и незаконную предпринимательскую деятельность»⁷, а также руководящим единым разъяснениям Постановления Верховного Суда от 16 января 1976 г. «О практике применения судами отягчающих и смягчающих обстоятельств при рассмотрении уголовных дел»⁸, **отягчающими обстоятельствами** часто признавались: а) соучастие в преступлении; б) подстрекательство или привлечение несовершеннолетних к совершению преступления; в) совершение преступления с использованием условий общественного бедствия; г) совершение преступления с злоупотреблением властью или служебным положением; д) совершение преступления коварным, жестоким, извращенным или общеопасным способом; е) совершение преступления в отношении малолетнего, престарелого или лица, находящегося в беспомощном состоянии; ж) сопротивление представителю власти, выполняющему служебный долг; з) причинение преступлением тяжких последствий; и) совершение преступления из корыстных или иных низменных побуждений; к) тяжкая степень вины; л) многократное совершение преступления или рецидив; м) совершение преступления лицом, которое ранее было осужденным; н) отрицательное поведение виновного после совершения им преступления.

В соответствии со ст. 20 упомянутого Указа от 30 октября 1967 г.⁹, ст. 23 упомянутого Указа от 21 октября 1970 г.¹⁰, ст. 19 упомянутого Указа от 21 октября 1970 г.¹¹, ст. 8 упомянутого Указа от 20 мая 1981 г.¹², ст. 10 упомянутого Указа от 30 июня 1982 г.¹³, а также руководящими едиными разъяснениями упомянутого Постановления Верховного Суда от 16 января 1976 г.¹⁴, **смягчающими обстоятельствами** часто признавались: а) предотвращение виновным вредных последствий совершенного преступления; б) добровольное возмещение или устранение причиненного ущерба; в) совершение преступления с превышением пределов необходимой обороны; г) совершение преступления под влиянием сильного душевного волнения, вызванного неправомерными действиями потерпевшего; д) совершение преступления под влиянием угрозы, принуждения или в силу материальной, служебной или иной зависимости; е) совершение преступления вследствие стечения личных или семейных обстоятельств; ж) совершение преступления несовершеннолетним или женщиной в состоянии беременности; з) отсталая степень сознания или низкоквалификационные знания виновного; и) совершение нетяжкого преступления впервые; к) явка с повинной или чистосердечное раскаяние; л) совершение подвига или активное исправление виновным; м) положительная личность виновного.

Вышеизложенное убедительно показывает, что «отягчающими и смягчающими обстоятельствами являются различные факторы объективного и субъективного характера, влияющие на степень общественной опасности и лица, его совершившего»¹⁵. Следовательно, **важное**

⁷ Там же, 1982, № 14, с. 258.

⁸ Сборник систематизированных норм уголовного права, т. 2, с. 103—110.

⁹ Ведомости Демократической Республики Вьетнам, 1967, № особый, с. 217.

¹⁰ Там же, 1970, с. 268.

¹¹ Там же, с. 276.

¹² Ведомости Социалистической Республики Вьетнам, 1981, № 9, с. 116.

¹³ Там же, 1982, № 14, с. 258.

¹⁴ Сборник систематизированных норм уголовного права, т. 2, с. 110—118.

¹⁵ Соловьев А. А. Вопросы применения наказания по советскому уголовному праву, М., 1958, с. 105.

и **необходимое требование**, гарантирующее справедливость и обоснованность назначаемого судом виновному наказания — **объективная, всесторонняя и полная оценка**отягчающих и смягчающих уголовную ответственность обстоятельств, а также их целесообразности и соотношения в каждом конкретном случае¹⁶.

3. **Назначение наказания при совершении нескольких преступлений или по нескольким приговорам** как основные правовые институты хотя еще не предусматривалось какими-либо специальными положениями Общей части вьетнамского уголовного права до кодификации 1985 г., но решалось судебной практикой страны в Циркулярном письме Верховного Суда № 612 от 14 сентября 1973 г. «О судебном приговоре по уголовным делам в первой и кассационной инстанциях»¹⁷. Именно этим руководящим актом давались разъяснения о правилах сложения только наказаний в виде **лишения свободы**, которые в основном были аналогичны упомянутым институтам советского уголовного законодательства (ст. ст. 35—36 Основ). Но недостаток, на наш взгляд, упомянутых институтов вьетнамского уголовного права данного периода, — отсутствие правил сложения наказаний, не связанных с лишением свободы. Этот пробел был восполнен лишь позднее действующим первым УК страны (ст. 43).

4. **Назначение более мягкого наказания, чем предусмотрено законом**, как гуманный институт еще не специально закреплялось в Общей части вьетнамского уголовного права до принятия первого УК. Однако **норма о назначении наказания ниже низшего предела**, предусмотренного законом, была известна судебной практике страны с 1955 г.¹⁸ Так, согласно Цирюляру Министерства юстиции № 2140 от 6 декабря 1955 г. «О применении законоположений»¹⁹ **наказание ниже низшего предела**, предусмотренного законом, могло быть назначено судом за **некоторые виды преступлений** против личности или взяточничество. И лишь затем, в руководящих актах Верховного Суда, посвященных половым преступлениям и преступлениям против собственности²⁰, указывалось **основание** упомянутого назначения наказания — наличие совокупности многих или исключительных смягчающих обстоятельств.

Таким образом, из двух норм института назначения более мягкого наказания, чем предусмотрено законом, вьетнамское уголовное право рассматриваемого периода **еще не знало нормы о переходе к другому**, более мягкому виду наказания как в законодательстве, так и в судебной практике²¹.

5. **Условное осуждение** было известно вьетнамскому уголовному праву до кодификации 1985 г. как один из его основных и важных институтов.

Согласно ст. 10 Декрета № 21 от 14 февраля 1946 г. «О революционных трибуналах»²²: а) при назначении наказания в виде лишения свободы суд может применить условное осуждение к виновному при

¹⁶ См.: Ле Ван Кам. Указ. раб., с. 30.

¹⁷ См.: Сборник систематизированных норм уголовного права, т. I, с. 145—148.

¹⁸ См.: Ле Ван Кам, Во Хань Винь. Назначение более мягкого наказания, чем предусмотрено законом: некоторые теоретические и практические проблемы — В жур. «Государство и право», 1988, № 1—2, с. 53 (на вьет. яз.).

¹⁹ Сборник систематизированных норм уголовного права, с. 1, с. 117.

²⁰ Там же, с. 118.

²¹ См.: Ле Ван Кам, Во Хань Винь. Указ. раб., с. 54.

²² Ведомости Демократической Республики Вьетнам, -946, № 9, с. 115.

наличии мотивов, заслуживающих снисхождения; б) в этом случае исполнение приговора временно приостановится ;в) если в течение 5 лет со дня условного осуждения виновный опять не осудится судом за новое преступление, то прежний приговор отменится; г) а если в течение тех 5 лет виновный опять осудится судом, то прежний приговор исполнится.

Характеризуя институт условного осуждения в период до принятия первого УК, следует отметить, что по вопросу о его **юридической природе были различные точки зрения** как в теории вьетнамского уголовного права, так и в **судебной практике**. Например: а) вьетнамский юрист Ву Тхьен Ким писал, что «условным осуждением является условная отсрочка применения наказания»²³; б) в Циркуляре Верховного Суда № 2308 от 1 декабря 1961 г. «О применении условного осуждения»²⁴ этот институт определен мерой условной отсрочки наказания; в) но через 13 лет упомянутая позиция судебной практики изменилась — в Циркуляре Верховного Суда № 19 от 2 октября 1974 г. «Об уголовном судопроизводстве в кассационной инстанции»²⁵ условное осуждение рассматривалось как вид наказания более мягкий, чем лишение свободы. Это явно показывает, что юридическая природа условного осуждения непоследовательно понималась в руководящих единичных разъяснениях высшего судебного органа Вьетнама на разных этапах до кодификации уголовного законодательства 1985 г.

Изучая положения закона (ст. 10 упомянутого Декрета № 21 от 14 февраля 1946 г.) и судебную практику страны, мы считаем **все три вышеуказанные точки зрения неточными и несубдительными**, т. к.: а) при условии осуждения виновный всегда считался приговоренным к одному из видов наказания — лишению свободы; б) т. е. здесь наказание фактически применялось судом и, следовательно, не может быть никакая «условная отсрочка его применения» (как писал Ву Тхьен Ким) или «мера его условной отсрочки» (как отмечал упомянутый Циркуляр Верховного Суда № 2308 от 1 декабря 1961 г.); в) в системе наказания действовавшего уголовного законодательства страны условное осуждение никогда не предусматривалось законодателем в качестве самостоятельного «вида наказания» (как указывал упомянутый Циркуляр Верховного Суда № 19 от 2 октября 1974 г.).

В связи с вышеизложенным, на наш взгляд, уголовное осуждение по вьетнамскому уголовному праву исследуемого периода — **условное освобождение от отбывания наказания в виде лишения свободы**. Ведь при этом полное освобождение от фактического отбывания назначаемого судом лишения свободы требовало от преступника только единственного условия — снова не подвергнуться осуждению за новое преступление на 5-летний срок со дня оглашения приговора. Поэтому надо согласиться с мнением вьетнамского автора Нгуен Хак Конга, полагающей: «Хотя в тексте Декрета № 21 говорится «временное приостановление исполнения приговора», но в действительности это применялось как условное освобождение от отбывания лишения свободы»²⁶.

²³ Ву Тхьен Ким. Институт условного осуждения в уголовном законодательстве — В журн. «Юстиция», 1962, № 1, с. 27 (на вьет. яз.).

²⁴ Сборник систематизированных норм уголовного права, т. I, с. 119.

²⁵ Там же.

²⁶ Нгуен Хак Конг. Некоторые соображения об институте условного осуждения — В журн. «Народный суд», 1991, № 1, с. 8 (на вьет. яз.).

6. **Сокращение срока отбывания лишения свободы** хотя еще не регламентировалось никакими специальными нормами Общей части вьетнамского уголовного права исследуемого периода, но было известно судебной практике страны до принятия первого УК как важный правовой институт. В совместном Циркуляре Верховного Суда, Верховной Прокуратуры Министерства юстиции и МВД № 73 от 11 августа 1959 г. «Об условиях и порядке сокращения срока отбывания лишения свободы»²⁷. Но с нашей точки зрения, пробелом этого института вьетнамского уголовного права до кодификации явилось отсутствие сокращения срока отбывания **дополнительных показаний**, которое только затем восполняется законодателем в действующем УК 1985 г. (ст. 50).

7. **Судебная политика** как составная часть уголовной политики складывалась и развивалась в качестве одного из основных положений Общей части вьетнамского послереволюционного уголовного права. Согласно ст. 1 Декрета № 133 от 20 января 1953 г. «Об уголовной ответственности за преступления против внутренней и внешней безопасности государства»²⁸ и затем, ст. 2 Декрета № 03 от 16 января 1976 г. «О преступлениях и наказаниях»²⁹, принципами судебной политики являлись: а) суровая кара главарей, организаторов, рецидивистов, злостных преступников и лиц, совершивших преступление организованной группой или жестоким способом, а также лиц, умышленно причинивших преступлением тяжкие последствия; б) проявление снисхождения к лицам, частно покаявшимся, добровольно явившимся с повинной или честно сообщившим о соучастниках, а также совершившим побег.

Именно вышеприведенные принципы судебной политики по вьетнамскому уголовному праву исследуемого периода имело важное практическое значение для назначения виновным справедливого наказания, т. к. «назначение справедливого наказания — основополагающий принцип деятельности суда по уголовным делам»³⁰. Вот почему придерживаясь этого, вьетнамский законодатель закрепляет принципы судебной политики в Общей части действующего УК 1985 г. (ст. 3)³¹.

* *
 *

Таким образом, анализ вышеупомянутых некоторых основных вопросов применения наказания по вьетнамскому послереволюционному уголовному праву в период до его кодификации (1945—1985 гг.) позволяет сделать следующие общие выводы:

1. Общие начала назначения наказания получили законодательное закрепление во вьетнамском уголовном праве данного периода.

2. Примерный перечень отягчающих и смягчающих обстоятельств хотя еще не законодательно регламентировался специальными нормами Общей части вьетнамского уголовного права данного периода, но давался в судебной практике страны.

²⁷ Сборник систематизированных норм уголовного права, т. I, с. 151.

²⁸ Ведомости Демократической Республики Вьетнам, 1953, № 3, с. 16.

²⁹ Сборник систематизированных норм уголовного права, т. 2, с. 234.

³⁰ Ткешелиадзе Г. Т. Судебная практика и уголовный закон. Тбилиси, 1975, с. 10.

³¹ Ле Ван Кам. Основные черты Общей части уголовного права Социалистической Республики Вьетнама: Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук. Тбилиси, 1987, с. 184.

3. Такие основные институты Общей части вьетнамского уголовного права данного периода, как назначение наказания при совершении нескольких преступлений или по нескольким приговорам, сокращение срока отбывания лишения свободы решались только в судебной практике страны.

4. В институте назначения более мягкого наказания, чем предусмотренного законом, еще отсутствовала норма о переходе к другому, более мягкому виду наказания.

5. Уголовное осуждение по вьетнамскому уголовному праву данного периода — уголовное освобождение от отбывания наказания в виде лишения свободы.

6. Судебная политика — основное и важное положение Общей части вьетнамского уголовного права данного периода.

რეცენზია, ინფორმაცია, ქრონიკა

ბ. ხასია, ვლ. პაპავა

დიდი ქართველი მეცნიერი და სასიკაღლო გამაზლიწვილი

(აკად. პაატა გუგუშვილის დაბადების 85 წლისთავი)

ქართველოლოგია, თავისი მრავალფეროვანი დარგებით წარმოგვიდგება, როგორც თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე და პროგრესული მეცნიერების დიდი ნაკადი, ქართველოლოგიურ მეცნიერებათა ჩაუქრობელი მნათობის აკად. ივანე ჯავახიშვილის ნათელი აზრი და მაღლიანი კალამი მიწვდა ქართველოლოგიის თითქმის ყველა სფეროს. მან შეძლო თავისი მრავალტომიანი გამოკვლევებით მტკიცე ნიადაგზე დაეყენებინა ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თითქმის ყველა დარგი. მისივე ხელმძღვანელობით აღიზარდა ქართველ მეცნიერთა მთელი პლეადა, რომლებიც ამჟვენებენ ქართულ მეცნიერებასა და კულტურას და რომელთა სახელები ამჟამად ფართოდაა ცნობილი არა მარტო სსრ კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამ მეცნიერთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს პაატა გუგუშვილს.

დიდ საბჭოთა ეკონომისტს, სახელმწიფო სოციოლოგს, ისტორიკოსს, დემოგრაფს, ბიბლიოლოგს, ლეწლოსილ პედაგოგსა და აღმზრდელს, გამოჩენილ საზოგადოებრივ მოღვაწეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ამავე აკადემიის სისტემაში ეკონომიკის ინსტიტუტის ჩამოყალიბების ინიციატორს პაატა გუგუშვილს დაბადების 85 წლისთავი შეუსრულდა.

პ. გუგუშვილი დაიბადა 1905 წ. 15 (ახ. სტ. 28) სექტემბერს სოფ. კოდორში (აბაშის რ.) საშუალო განათლება მიიღო ქ. ფოთისა და ქ. ქუთაისის გიმნაზიებში. 1927 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი ეკონომისტ-ფინანსისტის სპეციალობით. სტუდენტობის დროიდან ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა ნარკვევებს, სტატიებს, რეცენზიებს. ცალკე წიგნად მისი ნაშრომი პირველად გამოიცა 1929 წ. „ქართული წიგნი 1629-1929 წწ“ — ქართული სტამბის წიგნის 300 წლისთავისადმი მიძღვნილი სტატისტიკურ-ეკონომიკური მონოგრაფია.

1930 წლიდან პ. გუგუშვილი თბილისის უნივერსიტეტში სხვადასხვა დროს კითხულობდა სახალხო მეურნეობის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიკის და სოციოლოგიის (1968 წლიდან) ლექციათა კურსებს. 1940-1945 წწ. განაგებდა პოლიტიკური ეკონომიკის კათედრას.

1938 წ. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ პროფესორების ფ. გოგიჩაიშვილის, გ. ნათაძისა და პ. პოლიექტოვის წარდგენით, გამოქვეყნებული ნაშრომების საფუძველზე, დისერტაციის დაცვის გარეშე — *Honoris Causa*-მას მიანიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1940 წ. პ. გუგუშვილმა დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ოფიციალურმა რეცენზენტ-ოპონენტებმა აკადემიკოსმა ივ. ჭავჭავიძემ, პროფ. ნ. ბერძენიშვილმა, პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა მისი დისერტაცია დაახასიათეს, როგორც ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების დიდი მიღწევა. ამით საფუძველი ჩაეყარა მე-19-20 სს. საქართველოსა და ამიერკავკასიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემათა შესწავლას... რაც, საბოლოოდ, შეიქმნა მისი კვლევა-ძიების ძირითად მიმართულებად, რომელსაც მან უძღვნა ფუნდამენტური შვიდტომეული (1949-1984).

1961 წ. პ. გუგუშვილი არჩეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წ. — აკადემიკოსად.

ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის, ჟურნალისტიკის, პუბლიცისტიკის განვითარების საკითხებზე პ. გუგუშვილის ნაშრომთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წიგნები: „ქართული ჟურნალისტიკა“, ტ. 1 (1941) და „ქარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში“ (გამოცემული ქართულად — ოთხჯერ და რუსულად ორჯერ — 1943—1971 წწ.) და რიგი ნარკვევები, დაბეჭდილი კრებულებსა და ჟურნალებში.

1950-იანი წლებიდან სრუკ დაიწყო სოციოლოგიური კვლევა-ძიების სწრაფი გაქტიურება. შეიქმნა საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაცია, რომლის პრეზიდიუმის წევრად ირჩევენ პ. გუგუშვილს. 1959 წ. სოციოლოგთა IV მსოფლიო კონგრესზე (იტალია-მილანი, სტრეზა) პირველად დებულობს მონაწილეობას საბჭოთა დელეგაცია, რომელშიც შედიოდა ხუთი კაცი, მ. შ. პაატა გუგუშვილი. იგი კონგრესზე გამოდის მოხსენებით „მრეწველობის ფორმათა სოციოლოგიური კლასიფიკაცია“, სადაც მან ახლებურად გააშუქა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციებისა და მრეწველობის ფორმების ურთიერთკავშირისა და თანამიმდევრობის სპეციფიკურობანი. პ. გუგუშვილს აქ ირჩევენ მსოფლიო სოციოლოგიური ასოციაციის საბჭოსა და აღმასკომის წევრად. ამ დროიდან იგი აქტიურად მონაწილეობს სოციოლოგთა და ეკონომისტთა მრავალი მსოფლიო კონგრესის მუშაობაში.

პ. გუგუშვილის ცალკე წიგნად გამოცემული მთავარი სოციოლოგიური ნაშრომებია: „თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის შესახებ“ (1960, 1966), „სოციოლოგიური ეტიუდები“ ორი ტომი (1970, 1971); „Теоретические аспекты планирования и прогнозирования“ (1972), „ახალგაზრდობის სოციოლოგიის საკითხები“ (1981). მან წამოიწყო აგრეთვე პერიოდული გამოცემა კრებულებისა „სოციოლოგიისა და დემოგრაფიის პრობლემები“, ტ. I. (1980), ტ. II (1984), ტ. III (1987).

პ. გუგუშვილმა პირველმა მოაწყო საქართველოში ანკეტური გამოკითხვის მონაცემთა ფართო მობილიზაცია სოფლის ახალგაზრდობის სოციოლოგიური შესწავლისათვის (1965) — შრომითი რესურსების და პროფესიული ორიენტაციის ასპექტში.

დიდ ყურადღებას იმსახურებს პ. გუგუშვილის გამოკვლევები დემოგრაფიის (ხალხთმოსახლეობის) სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა შესახებ: „საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაცია მე-19 ს.“. (1949), „საქართველოს მოსახლეობა 160 (1800-1960) წლის მანძილზე“ (1963); „საქართველოს

მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“ (1973), „Вопросы формирования семьи в аспекте воспроизводства население“ (1978 II изд.), „მოსახლეობა, ოჯახი, შეილიანობა“ (1985) და სხვ.

აკადემიკოსი პ. გუგუშვილი ავტორია ხუთსამდე ნაშრომისა, რომელთაგან 50-ზე მეტი ცალკე წიგნადაა გამოცემული. ისინი ეძღვნება უმთავრესად პოლიტიკური ეკონომიკის, ეკონომიკური აზრისა და სახალხო მეურნეობის ისტორიის, სტატისტიკის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ბიბლიოლოგიის, საბჭოთა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა პრობლემებს. მისი შრომები და მათზე დაწერილი ასზე მეტი რეცენზია-ბიბლიოგრაფია დაბეჭდილია ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვა უცხოურ ენებზე.

საჭიროა აღინიშნოს, რომ პ. გუგუშვილმა, როგორც მეცნიერმა ადრე მიიღწია საერთაშორისო აღიარებას. მაგალითად, 1964 წელს, ისტორიკოსთა მსოფლიო კონგრესის მზადების წინა ხანებში განთქმული იტალიელი მეცნიერის ფრანჩესკო ვენტურისადმი — საბჭოთა ჰუმანიტარული მეცნიერების დიდმნიშვნელოვანი მიღწევების შესახებ, — ღია წერილში, რომელიც ერთდროულად გამოაქვეყნა რუსულ და იტალიურ ენებზე, აკად. ნ. მ. ღრუჭინინი კრძოდ ეკონომიკურ ურთიერთობათა პრობლემებზე საბჭოთა მეცნიერების ფუძემდებლური ნაშრომების ავტორებად ასახელებს აკადემიკოსებს ს. სტრუმილინს, პ. ლიაშჩენკოს და პროფ. პაატა გუგუშვილს.

აღსანიშნავია შეფასება, რაც აკადემიკოსმა კ. ოსტროვიტიანოვმა ჯერ კიდევ 1963 წ. მისცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მუშაობას: „იგი დაწვრილებით გაეცნო ინსტიტუტის საქმიანობას, რომელსაც საბჭოთა ეკონომიკის ტიპის ქართული სკოლის ორგანიზატორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. პ. გუგუშვილი ხელმძღვანელობდა და მაღალი შეფასება მისცა მეცნიერულ მუშაობას, გამოცემულ ნაშრომებს, მეცნიერული კადრების მომზადებას“ (გაზ. „თბილისი“, 1963, 17.12).

აკად. გ. ლენინის საერთო დასკვნით „თავის დიდ ერუდიციასთან ერთად პაატა გუგუშვილი უნდა უმაღლოდეს ქართული კულტურისა და მეცნიერების ჭეშმარიტი კორიფების, მისი ხსენებული სამივე მასწავლებლის (ივ. ჯავახიშვილი, ფ. გოგიანიშვილი, ნ. ნიკოლაძე) ამაგსა და მზურნელობას, რომ მისთვის სიჭაბუკეშივე ფართოდ გაიღო მეცნიერების მაღალი კარები, რომ მან სტუდენტობის წლებშივე შესძლო დაეწერა და დაებეჭდა 380 გვერდიანი ნაშრომი, რომელშიც ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი დარგის, ქართული ბეჭდვითი სიტყვის, სტამბური წიგნის მრავალჭირნახული ისტორიისა გაშუქებული და რომ საქართველოს სსრ განათლების კომისარიატმა ქართული სტამბური წიგნის სამასი წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად ეს წიგნი გამოსცა“ (კომუნისტი“, 1965, № 300).

კ. გამსახურდია სხვათაშორის წერდა: „აკად. პ. გუგუშვილმა... თავისი წაგრძლივი ფრიად ნაყოფიერი მოღვაწეობით მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებას... სადაც ნამდვილად სისტემატური კვლევა-ძიების ტრადიცია დააფუძნა თავისი მრავალი სქელტანიანი მუშაობით, 7. „მაცნე“, ეკონომიკა და სამართალი, 1991, 4

დიდმნიშვნელოვანი საკითხების წამოყენებით და გაშუქებით, ახალი კადრების აღზრდით, ეკონომიკის ინსტიტუტის ორგანიზაციით, თვით მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავებითა და სხვ. შექმნა საბჭოური ეკონომისტების ქართული სკოლა, რომელიც საერთოდ დიდი საბჭოური მეცნიერების მოწინავე რიგებში დგას“ („ლიტერატურული საქართველო“, 1963, № 23, რჩ. თხზულებანი, ტ. VII, 1965, თბ., გვ. 192-304).

აკად. პაატა გუგუშვილი ავტორია 500-მდე ნაშრომისა, მათ შორის 120-ზე მეტი მონოგრაფიისა. მისი ხელმძღვანელობით დაიწერა 90-მდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. ის იყო 100-ზე მეტი დისერტანტის ოფიციალური რეცენზენტი თუ ოპონენტი. მისი ნაშრომები და მათ შესახებ დაწერილი 150-ზე მეტი რეცენზია, ბიბლიოგრაფია და შენიშვნები დაბეჭდილია ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, უკრაინულ, ჩეხურ, პოლონურ, უნგრულ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და სხვ. ენებზე.

აკად. პაატა გუგუშვილმა საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების, გეგმიანობის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ბიბლიოლოგიის, ეკონომიკური და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის და სხვ. პრობლემებზე გამოქვეყნებული ფუძემდებლური ნაშრომებით, სწავლული ეკონომისტების კვალიფიციური კადრების მომზადებით, აკადემიის სისტემაში ეკონომიკის ინსტიტუტის ორგანიზაციით, მეცნიერული კვლევის მდიდარი ტრადიციების დამკვიდრებით, მისივე თაოსნობით ეურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ აღდგენით, ახალი ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებით საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ეკონომისტების ქართულ სკოლას, რომელიც როგორც ზემოთ აღინიშნა, აღიარებულია სსრ კავშირში და საზღვარგარეთაც, რაც დასტურდება იმითაც, რომ „ამიერკავკასიაში უძველესი ეკონომიკური მეცნიერული კვლევის ცენტრია — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სა-მართლის ინსტიტუტი. საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოს სსრ-დან შეიტანა პ. გუგუშვილმა“

1973 წლიდან აკად. პ. გუგუშვილი ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზალხომოსახეობის სოც-ეკონომიკურ პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს, რომელიც სწავლობს მოსახლეობის აღწარმოების პროცესს, რათა შემუშავებულ იქნას დემოგრაფიული სიტუაციის შესაბამისი პრაქტიკული რეკომენდაციები.

პ. გუგუშვილი აქტიური მონაწილეა 1951 წ. ნოემბერს სკკპ ცკ მიერ პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს შექმნისათვის მოსკოვს მოწყობილი დიდი ეკონომიკური დისკუსიისა. ეს იყო პოლიტიკური ეკონომიის პირველი სრული და მსოფლიოში აღიარებული მარქსისტულ-ლენინური სახელმძღვანელო.

პ. გუგუშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავების სფეროში. 1947 წელს პირველად გამოქვეყნდა „ეკონომიკის ტერმინოლოგია“; შემდეგ კიდევ გამოიცა აკად. პ. გუგუშვილის „ეკონომიკური ტერმინოლოგიისა და მეცნიერული თარგმანისათვის“ (1952), „დემოგრაფიული ტერმინოლოგიის საკითხები“ (1975, 1984) და სხვ.

1940 წლიდან პ. გუგუშვილი არის მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა თხზულების ქართული გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრი. ის არის მთარგმნელი და რედაქტორი სახალხო მეურნეობის ისტორიისა და პოლი-

ტიკური ეკონომიის სასწავლო დისციპლინათა სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების. 1930-იანი წლებიდან ქართული ეკონომიკური ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, ხოლო 1958 წლიდან 10 წლის განმავლობაში იყო მისი ინიციატივით აღდგენილი ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“ მთავარი რედაქტორი.

აკად. პ. გუგუშვილი იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და მისი ეკონომიკური სექციის თავმჯდომარე; ივ. ჯავახიშვილის თხულებათა თორმეტტომეულისა და მისივე „საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის“ ხუთტომეულის სარედაქციო კოლეგიის წევრი; ფ. გოგიჩაიშვილის „რჩეული ნაწერების“ ორტომეულის რედაქტორი.

პ. გუგუშვილი იყო ქართული სასტამბო შრიფტის გაუმჯობესების კომიტეტის, რესპუბლიკის საგეგმო კომისიის, საზღვარგარეთთან მეგობრობისა და კულტურული კავშირების საზოგადოების გამგეობის, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების გამგეობის, თბილისისა და მოსკოვში რიგი სამეცნიერო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებელთა სამეცნიერო საბჭოების წევრი და სახალხო უნივერსიტეტის რექტორი.

დიდი ღვაწლი მიუძღვის პ. გუგუშვილს სამეცნიერო კადრების მომზადებაში, მისი ხელმძღვანელობით დაიწერა და დაცულია დაახლოებით 100 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. მის მოწაფეთაგან ბევრია მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი.

აკადემიკოს პ. გუგუშვილის თაოსნობით და ზემდგომი ორგანოების აქტიური მხარდაჭერით შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი (1944 წ.), რომელიც დიდ როლს ასრულებს ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში.

პროფ. პაატა გუგუშვილის მეცნიერულ მოღვაწეობაში როგორც მოცულობრივი დიაპაზონის, ისე შემოქმედებითი ჩანაფიქრის სირთულის და გადაწყვეტის მნიშვნელობის მხრივ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სწორედ ამ მრავალტომიან გამოკვლევას — „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX საუკუნეებში“.

ერთი ადამიანის მიერ მრავალეროვანი მსხვილი ეკონომიკური რეგიონის მწარმოებლური ძალებისა და წარმოებრივ ურთიერთობათა ესოდენ ფართო გეგმით და დეტალური შესწავლის ცდა, შეიძლება ითქვას რომ, იშვიათი მოვლენაა მეცნიერებაში.

სწორედ ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია ამ მონოგრაფიების მიზნებისა და ამოცანების შესახებ მოვიტანოთ ამონაწერები პ. გუგუშვილის მონოგრაფიების მეოთხე ტომის პირველი წიგნის (1965) ავტორისეული წინასიტყვაობიდან.

„... მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი პროგრესის ახლანდელ ვითარებაში საზოგადოებრივი მატერიალური წარმოების განვითარების კანონზომიერებათა და თუნდაც მხოლოდ უახლოესი პერსპექტივების შესწავლა ისევე აუცილებელია, როგორც ყოველდღიური მოხმარების საგანთა წარმოება, გაცულა, განაწილება.

რაც დრო გადის საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგადი და კონკრეტული მოვლენების შემსწავლელ საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის ეკონომიკური მეცნიერება სულ უფრო წინა პლანზე გამოდის და თანაც მიმ-

დინარეობს მისი შემდგომი დიფერენციაცია და ამ ახალ გამოწყობაში, მეტ-ნაკლები ზომით, ბუნებათმეცნიერების, ტექნიკის, მათემატიკისა და სოციოლოგიის სხვადასხვა დარგებთან დაახლოება, კოორდინაცია“.

მისივე დახასიათებით, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის, შრომის საერთაშორისო დანაწილების, კერძოდ, ფართოდ განშტოებული სახალხო მეურნეობის ვითარებაში — განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეურნეობრივი თაოსნობისა და მთელი ეკონომიკური ცხოვრების ყოველმხრივი შესწავლა. „ირკვევა, რომ წარმოების, განაწილების, მოხმარებისა და მომსახურების ინტერესები მოითხოვენ არათუ ზოგად, არამედ დეტალურ ცოდნას არა მხოლოდ საყოველთაო ყურადღების საგნად ქცეული მოვლენებისა, არამედ წარმოების ცალკე სპეციალური დარგებისაც, რომელთაგან ბევრი მარტოდენ რეგიონალური ხასიათისა და მამასადამე, ნაკლებ მნიშვნელოვან მოვლენებად იყვენენ მიჩნეული. თურმე მატერიალური წარმოების ასეთი პატარა სფეროები, განსაკუთრებით მას მერე რაც ისინი მსოფლიო ვაჭრობის ორბიტაში მოექცევიან, ზოგჯერ ისეთ თვისებას იძენს, რომ სულ მთლიანად არღვევენ ზოგადი ხასიათის მოვლენათა შესწავლის საფუძველზე შემუშავებულ წარმოდგენებს, კანონზომიერებას, და, რაც მთავარია, მიმართულებას უცვლიან და ხშირად ძირფესვიანად არღვევენ ათეულ და ასეულობით ჩამოყალიბებული ეკონომიკური ყოფიერების არსებულ ნორმებსა და ფორმებს, რის შედეგადაც მეტნაკლებად ხანგრძლივი დროის განმავლობაში, საფუძველი ეცვლება მთელი ამ რაიონების მოსახლეობის ფართო მასების კეთილდღეობას. ჩვენ უკვე არ ვლაპარაკობთ იმ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაზე, რაც შედეგად მოჰყვება ხოლმე ასეთ მოვლენებს და რაც უფრო მეტი გეოგრაფიული განვრცობილობის ხასიათს ატარებს“.

ავტორი იქვე დასძენს, რომ „აღნიშნული ვითარების გამო, კვლევის საგნად აღებული სახალხო მეურნეობის დარგთა სტრუქტურული განვითარება, ცხადია, არა მხოლოდ ამიერკავკასიის ეკონომიკური რაიონისა და საერთოდ რუსეთის, არამედ მსოფლიო მეურნეობის ასპექტშიც უნდა ყოფილიყო გაშუქებული. პრობლემის სწორედ ასეთმა შესწავლამ შესაძლებელი გახდა რიგი ისეთი სიღრმისეული საზოგადოებრივი პროცესის გამოვლინება და მათი სოციალურ-ეკონომიკური ბუნების გახსნა, რომლებიც აქამდე არამც თუ რამდენადმე მაინც გაშუქებული, არამედ საერთოდაც შემჩნეული არ იყო მეცნიერების მიერ.

თავის კვლევა-ძიებაში ავტორი განუხრელად ხელმძღვანელობდა იმ იდეით, რომ მხოლოდ წარსულის საფუძველიანი ცოდნა იძლევა შესაძლებლობას, რათა თანამედროვეობაში გარკვევით განვასხვაოთ გარდამავალი და გადმონაშთი სრულქმნადისა და მომავლის ჩანასახებისაგან, ჩვეულებით თვით თანამედროვე საზოგადოებრივ მოვლენათა არსობას, შევძლოთ მისი მასშტაბების, ტემპებისა და მიმართულებების ახსნა, მივალწიოთ მომავლის თვალსაზრისით თანამედროვეობის პროცესთა წარმართვას, მამასადამე, თანამედროვეობის შუქზე მომავლის განვჭვრეტას.

დასახელებული თხზულების წინასიტყვაობაში ამასთან ნათქვამია, რომ „წინამდებარე მონოგრაფიების მიზანს მკითხველთა მარტოდენ გათვითცნობიერება როდი შეადგენს. მისი დანიშნულება სცილდება ისტორიული და თეორიული ცოდნის სფეროს, ახლოა თუ შორეული წარსულის მეურნე-

ობრივი გამოცდილებისა და ყოფიერების, თაოსნობისა და ჩვევების, ღონისძიებათა და ხერხების და ყველა ამით საფუძველზე ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მორალის შესწავლისა და ახსნა-განზოგადების გზით მიღებული დასკვნების მეოხებით ის, გარკვეული ვაგებით, შეიძლება ითქვას, თავისებურ პრაქტიკულ დამხმარე სახელმძღვანელოსაც წარმოადგენს, შესაბამისი სფეროში წარმოების კულტურის ჯეროვან საფეხურზე მდგარი სპეციალისტებისათვის სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მიწათმოქმედების განსაკუთრებით იმ დარგებში, რომელთაც დიდი წარსული და, მაშასადამე, ტრადიცია აქვთ და რომლებიც, ბუნებრივია, არ შეიძლება არ შეიცავდეს საზოგადოებრივი მატერიალური წარმოების თანამედროვე ვითარებაშიც, რამდენადმე მაინც, გამოსაყენებელ ჩვევებსა და გამოცდილებას“.

3. გუგუშვილის მონოგრაფიათა პირველ ტომში (765 გვ.) წარმოდგინილი ნაშრომები შეეხება საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური ისტორის ისეთ კარდინალურ პრობლემებს, რომლებიც არა მხოლოდ სახალხო მეურნეობაში, არამედ მთელს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი ეპოქის ამოსავალ საწყისებს მიეკუთვნებიან და, მაშასადამე, აშუქებენ ძველთან გამოთხოვებისა და ახალზე გადასვლის წინააღმდეგობითა და სისხლიანი ბრძოლებით აღსავსე მომენტებს.

ეს ტომი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში (გვ. 1-354) განხილულია ვაჭრობის განვითარების, შეღავათიანი ტრანზიტისა და ტყვეებით ვაჭრობის საკითხები. აქ შესწავლილია საქართველოსა და ამიერკავკასიაში შინაგანი და საგარეო ვაჭრობის განვითარების საკითხები. პირველადი წყაროების საფუძველზე გაშუქებულია ცარიზმის საბაჟო პოლიტიკის არსი, დადგენილია ვაჭრობის განვითარების ხელშეშლელი მიზეზები, ნაჩვენებია საგარეო ვაჭრობის მნიშვნელობა კაპიტალიზმის განვითარებისათვის.

დიდ ინტერეს იწვევს ნაშრომი „ტყვეებით ვაჭრობა საქართველოსა და კავკასიაში XIX საუკუნეში“ (მონოგრაფიები ტ. 1, გვ. 258-354).

ცნობილია, რომ ტყვეების ყიდვა-გაყიდვა ან სხვა საქონელზე გაცვლა საქართველოში XIX საუკუნემდეც მძინვარებდა. მდგომარეობას მრავალმხრივ ართულებდა ისიც, რომ ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფეებს, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრებს დამპყრობელი ქვეყნებისათვის, ძლიერი მეზობლებისათვის, პერიოდულად და ერთდროულად გადასახდელი ხარკი ხშირად აღამიანთა (უფრო მეტად ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა) გაცემის სახით უნდა გადაეხდათ და თავიანთი მოთხოვნილებების უცხოური საქონელიც ტყვეებზე (ყმებზე) გაცვლით უნდა შეეძინათ.

3. გუგუშვილის მეცნიერულ მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური ცხოვრების განვითარების შესწავლას, რაც ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევისა და კაპიტალისტური წარმოების წესის არსებობის მთელი პერიოდით შემოიფარგლება.

იგი აღრევე ჩაება ამ მიმართულებით მუშაობაში; თავისი წიგნის წინასიტყვაობაში წერს: „ჩემი მასწავლებლების ნ. ნიკოლაძის, ივ. ჯავახიშვილისა და ფ. გოგიჩაიშვილის შთამაგონებელ გარემოცვაში, უკვე 1926-1928 წლებში; თანდათანობით მომწიფდა იდეა წამომეწყო 1801-1921 წწ., ე. ი.

რუსეთთან შეერთებიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ასოც-
წლიან პერიოდში საქართველოსა და ამიერკავკასიის მეურნეობრივი და სა-
ზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შესწავლა“ (იხ. პ. გუგუშვილი,
მონოგრაფიები, ტ. III, გვ. XII).

დასახელებულ პრობლემებს მიეძღვნა პაატა გუგუშვილის ნაშრომების
ერთ-ერთი სერია — „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური გან-
ვითარება XIX-XX სს“. (1949-1984 წწ.), დაბეჭდილია შვიდი ტომი, სა-
დაც შევიდა 70-ზე მეტი მონოგრაფია. ამ ნაშრომებით ჩვენს სინამდვილეში
ჩამოყალიბდა ახალი მიმართულება ეკონომიკურ მეცნიერებაში.

ამიერკავკასიის ეკონომიკური ყოფის ისტორიის შესწავლა მან იმათ-
ვითვე წარმართა, როგორც საზოგადოებრივი მატერიალური წარმოების ფორ-
მებისა და დარგების, ასევე მთლიანად ქვეყნის სახალხო მეურნეობრივი გან-
ვითარების კანონზომიერებათა და ტენდენციების ახსნისაკენ მიმართული
ცდებით; — ხოლო საზოგადოებრივი ცნობიერების ევოლუციის გაშუქები-
სათვის ხელი მოჰკიდა ქართული ბეჭდვითი სიტყვის, განსაკუთრებით ყურ-
ნალისტიკის შესწავლას, რამდენადაც ეპოქის საზოგადოებრივ-ეკონომიკუ-
რი აზრი უმთავრესად პუბლიცისტიკაში, კერძოდ, პერიოდულ გამოცემებში
ვლინდებოდა.

ერთი ადამიანის მიერ მრავალეროვანი მსხვილი ეკონომიკური რაიონის
მწარმოებლური ძალებისა და წარმოებრივ ურთიერთობათა ესოდენ ფართო
გეგმით და დეტალური შესწავლის ცდა, შეიძლება ითქვას, რომ, იშვიათი
მოვლენაა მეცნიერებაში.

დიდი ინტერესით იკითხება მონოგრაფია მევენახეობის შესახებ. საქარ-
თველოსა და ამიერკავკასიაში XIX-XX სს. არსებული მევენახეობის (კრედი-
ტის) რიგ ფორმათა თავდაპირველ ჩანასახებს მკვლევარმა შუასაუკუნეებრივ
ურთიერთობათა წიაღში მიაკვლია. ამ მხრივ მიღებული საინტერესო დას-
კვნებს შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ორტალის, როგორც
საკრედიტო ასოციაციის როლისა და მნიშვნელობის გაშუქება. აქ ავტორმა
ვენეციის, ფლორენციის და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების შესაბამის
მოვლენათა შედარებით ანალიზის გზით XII-XIII სს. საქართველოსა და
ამიერკავკასიაში დას. ევროპული რენესანსის დამახასიათებელი ეკონომიკუ-
რი მოვლენების ანალოგიური პროცესები აღმოაჩინა. ამით საქართველოს
მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მლაღადებელი მოვლენები სავსებით ახლე-
ბურად ალაპარაკა და, ცხადია სავსებით ახალი სიტყვა თქვა ქართული რე-
ნესანსის ეპოქის ეკონომიკური წინამძღვრების შესახებ.

აკად. შ. ნუცუბიძე შოთა რუსთაველის შემოქმედებისადმი მიძღვნილ
თხზულებაში, იმოწმებს რა პ. გუგუშვილის ნაშრომს „ნარკვევები შუასა-
უკუნეებრივი საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური ისტორიიდან
(საკრედიტო ასოციაციების ისტორიისათვის)“ — სავსებით იზიარებს იმ აზრს,
რომ შუასაუკუნეების საქართველოში წარმოქმნილი საკრედიტო ასოცი-
ცია — ორტალი — რენესანსის ეპოქის ერთ-ერთ ეკონომიკურ წინამძღვარს
წარმოადგენდა (См. Шалва Нуцубидзе, Творчество Руставели, 1957, с. 30-31).

აკად. ნ. დრუჟინინის საერთო დასკვნით „პაატა გუგუშვილი კარგად
არის ცნობილი საბჭოთა და საზღვარგარეთის ეკონომისტებისა და ისტო-
რიკოსებისათვის, როგორც საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის ეკო-
ნომიკური განვითარების მკვლევარი, მისი ნაშრომებისათვის დამახასიათე-

ბელია ... პრობლემათა მარქსისტულ-ლენინური დასმა, გამოყენებული წყაროების სიფართოვე, კონკრეტული მასალის სიუხვე, ნათელი და ცოცხალი გადმოცემა...“.

3. გუგუშვილი რუსულ ენაზე გამოქვეყნებულმა ნაშრომმა „მრეწველობის განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში“, ტ. 1 (1987) განსაკუთრებით ფართო გამოხმარება გამოიწვია, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთშიც, რეცენზიები დაიბეჭდა ქართულ, სომხურ, რუსულ, ჩეხურ, უნგრულ, გერმანულ, ინგლისურ, ამერიკულ პრესაში.

1. „Politicle Economie“ (პარაღ, 1958, № 9, გვ. 801—805). ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოს რეცენზენტი პროფ. ზ. ურბანოვა წერს: „საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში გამოდის ისეთი ორიგინალური, დიდი იმპულსის მომცემი ეკონომიკური შრომები, რომელთა შესწავლა შეიძლება ჩვენთვის ცოდნის მნიშვნელოვან საგანძურად იქცესო“.

2. „Korgardacage Szemel“ (ბუღაბეშტი, 1959, № 11, გვ. 1263—1269) უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოს რეცენზენტი პროფ. ტ. ფიოლდი ასკენის: „პროფ. პ. გუგუშვილის გამოკვლევა კვლევა-ძიების მეთოდის თვალსაზრისით ეკონომიკის ისტორიისა და პოლიტიკური ეკონომიის უნგრული სპეციალისტებისათვის შეიცავს გაკვეთილს (ნიმუშს), რითაც მათ შეუძლიათ უშუალოდ ისარგებლონ“.

3. Leischrift fur Ceschiet (ბერლინი, 1960, № 5, გვ. 1138—1204); რეცენზენტ პროფ. გ. ჰაინინგერის დასკვნით, ეს ნაშრომი „წარმოადგენს უაღრესად ძვირფას თეორიულ განმს მეცნიერებისათვის“.

3. გუგუშვილის მონოგრაფიების მეოთხე და მეხუთე ტომების ბიბლიოგრაფია გამოქვეყნდა აგრეთვე ჟურნალ „Revrie ale Kertventvelogie“, 1966, volume XXI—XXII, Paris), სადაც ორივე ტომის შინაარსის გადმოცემის შემდეგ ნათქვამია: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი პ. გუგუშვილი სსრ კავშირის დიდი ეკონომისტია“ (გვ. 219).

უცხოეთში პ. გუგუშვილის ნაშრომების შესახებ ერთ-ერთ უნგრულ გაზეთში ვკითხულობთ: „აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი სსრ კავშირში და უცხოეთში აღიარებულია, როგორც დიდი მეცნიერი...“

შემოქმედებითი საზოგადოებრივი მოღვაწეობის მაგალითთა პაატა გუგუშვილი, მისი მთელი შემოქმედება და ცხოვრება. ის ზშირად ყველაზე უფრო ცნობილია საბჭოთა ეკონომისტებს შორის თავისი ქვეყნის ღირსეული წარმომადგენელია სხვადასხვა საერთაშორისო კონგრესებზე „(Венгр. газ. „Медгпрнетза“, 20.IV, 1974).

ამასთანავე ამერიკულ ჟურნალში დაბეჭდილ პროფ. დ. კოლაჯას რეცენზიითაც ნათელია, რომ „პროფესორი გუგუშვილი ღრმა მცოდნე საბჭოთა ეკონომისტია“, ამას აცხადებს სულ სხვა მსოფლმხედველობის, საწინააღმდეგო მრწამსის მეცნიერი, რაც ძალიან ბევრის მთქმელია.

* * *

საჭიროა აღინიშნოს, რომ პ. გუგუშვილმა, როგორც მეცნიერმა ადრე მიადწია საერთაშორისო აღიარებას. მაგალითად, 1964 წელს, ისტორიკოსთა

მსოფლიო კონგრესის მზადების წინა ხანებში განთქმული იტალიელი მეცნიერის ფრანჩესკო ვენტურისადმი — საბჭოთა ჰუმანიტარული მეცნიერების დიდმნიშვნელოვანი მიღწევების შესახებ, — ღია წერილში, რომელიც ერთდროულად გამოქვეყნდა რუსულ და იტალიურ ენებზე, აკად. ნ. მ. დრუჟინინი კერძოდ ეკონომიკურ ურთიერთობათა პრობლემებზე საბჭოთა მეცნიერების ფუძემდებლური ნაშრომების ავტორებად ასახელებს აკადემიკოსებს ს. სტრუმლინს, პ. ლიაშჩენკოს და პროფ. პაატა გუგუშვილს.

რეცენზენტები აკად. კ. გამსახურდია, პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი, აკად. კ. ოსტროვიტიანოვი, პროფ. ა. პოდკოლზინი, პროფ. ი. ჰაინინგერი, პროფ. ჯ. კოლაჯა და სხვ. საგანგებოდ აღნიშნავენ პაატა გუგუშვილის უაღრესად დიდ ნაკითხობასა და ფართო ერუდიციას.

აღსანიშნავია შეფასება, რაც აკადემიკოსმა კ. ოსტროვიტიანოვმა ჯერ კიდევ 1963 წ. მისცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მუშაობას.

„კ. ოსტროვიტიანოვმა კმაყოფილებით აღნიშნა ქართველ მეცნიერ ეკონომისტთა დიდი დამსახურება საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების საკითხთა გაშუქებაში, იგი დაწვრილებით გაეცნო ინსტიტუტის საქმიანობას, რომელსაც საბჭოთა ეკონომისტების ქართული სკოლის ორგანიზატორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი პროფ. პ. გუგუშვილი ხელმძღვანელობს და მაღალი შეფასება მისცა მეცნიერულ მუშაობას, გამოცემულ ნაშრომებს, მეცნიერული კადრების მომზადებას“ (გაზ. „თბილისი“, 1963, 17, 12).

დასასრულ, აქ საჭიროა მოვიყვანოთ ახალი ქართული კულტურის გამოჩენილი მშენებლების აკადემიკოსების: საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის და კონსტანტინე გამსახურდიას მიერ პაატა გუგუშვილის შესახებ თავის დროზე გამოქვეყნებული სტატიებიდან ორიოდე ამონაწერი.

აკად. გ. ლეონიძის საერთო დასკვნით: „თავის დიდ ერუდიციასთან ერთად პაატა გუგუშვილი უნდა უმაღლოდეს ქართული კულტურისა და მეცნიერების ჭეშმარიტი კორიფეების, მისი ხსენებული სამივე მასწავლებლების (ივ. ჯავახიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, ნ. ნიკოლაძე) ამავსა და მზრუნველობას, რომ მისთვის სიჭაბუკეშივე ფართოდ გაიღო მეცნიერების მაღალი კარები, რომ მან სტუდენტობის წლებშივე შესძლო დაეწერა და დაბეჭდა 380 გვერდიანი ნაშრომი, რომელშიც ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი დარგის, ქართული ბეჭდვითი სიტყვის, სტამბური წიგნის მრავალჭირანხული ისტორიაა გაშუქებული და რომ საქართველოს სსრ განათლების კომისარიატმა ქართული სტამბური წიგნის სამასი წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად ეს წიგნი გამოსცა“ (გ. ლეონიძე, „კომუნისტი“, 1965, № 300).

მონოგრაფიების მეხუთე ტომისადმი მიძღვნილ ვრცელ სტატიამ კ. გამსახურდია სხვათაშორის წერდა: „აკად. პ. გუგუშვილმა“ ...თავისი ხანგრძლივი ფრიად ნაყოფიერი მოღვაწეობით მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებას...“ — სადაც ნამდვილად სისტემატური კვლევა-ძიების ტრადიცია დააფუძნა თავისი მრავალი სქელტანიანი ტომით, დიდმნიშვნელოვანი საკითხების წამოყენებით და გაშუქებით, ახალი კადრების აღზრდით, ეკონომიკის ინსტიტუტის ორგანიზაციით, თვით მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავებითა და სხვ. შექმნა საბჭოური ეკონო-

მისტების ქართული სკოლა, რომელიც საერთოდ დიდი საბჭოური მეცნიერების მოწინავე რიგებში დგას“ („ლიტერატურული საქართველო“, 1963, № 28; კ. გამსახურდია, რჩ: თხზულებანი, ტ. VII, 1965, თბ., გვ. 292-304).

ჩენი ძვირფასი იუბილერის პაატა გუგუშვილის ცხოვრების, მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ლეიტმოტივი ისაა, რომ ყველგან და ყოველთვის იღწვის და იწვის ქართული ხალხისათვის, ქართული მეცნიერებისა და კულტურის აყვავებისათვის, რაც ნათლად აისახა მის ნაშრომებშიც, მაგალითად ქართული ბეჭდვის წიგნისადმი მიძღვნილ მის თხზულებაშიც, სადაც აჩვენა, რომ ქართული სულიერი კულტურის მთელი სიმდიდრე, ხალხის მრავალი თაობის, საუკეთესო შველების ოცნებაში და მისწრაფებაში და ყოველივე ამასთან ერთად ქართული თვალთ ნანახი და განცდილი უცხო ქვეყნების, მთელი მსოფლიოს ხალხთა ცხოვრებისა და შემოქმედების მთავარი მოვლენები მეტნაკლები ზომითაა ასახული ქართულ წიგნში „ქართულმა წიგნმა იტვირთა და გაიზიარა თავისი შემოქმედებითი ხალხის ბედი და უბუღურება: მტრის ხელით ის იწვოდა საქართველოს სოფლებთან და ქალაქებთან, ეკლესია მონასტრებთან, ქოხებთან და სასახლეებთან ერთად, — ის დამპყრობლებს ტყვედ მიჰყავდათ ქართველ დედებთან და ბავშვებთან ერთად და მათთანვე ერთად ან ცალკე იყიდებოდა შორეულ ქვეყნებში.

პაატა გუგუშვილის მონოგრაფიების VI ტომში (1979) შევიდა გამოკვლევები: ვაჭრობის განვითარება 1831-1883 წწ.; ვაჭრობის პოლიტიკა; ბაჟის პოლიტიკა, ამიერკავკასიის ტრანზიტი და მისი მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში, შინაგანი ვაჭრობა, საგარეო ვაჭრობა, ვაჭართა ვილდები, ვაჭართა კლასის ფორმირება, ბაზრის სოციოლოგიისათვის.

ამ ტომისადმი მიძღვნილი პროფ. დ. ქორიძის რეცენზია თავდება შემდეგი სიტყვებით: „აკადემიკოს პ. გუგუშვილის მონოგრაფიების მეექვსე ტომი... დაწერილია მაღალ მეცნიერულ დონეზე, შემოქმედებითი ძიების მარქსისტული მეთოდოლოგიის გამოყენებით, იკითხება დიდი ინტერესით, ამ გამოკვლევამ არსებითად შეავსო ის ცარიელი ადგილი, რაც საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების ისტორიას აქამდე ახასიათებდა, წარმოგვედგინა მაშინდელი საზოგადოება როგორც მოძრავი, ცოცხალი ორგანიზმი, მთელი მისი საყოფაცხოვრებო მხარეებით, ეკონომიკური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელ კლასთა ანტაგონიზმის სოციალური გამოხატულებით, შესაბამისი ზედნაშენით. ყოველივე ეს მეცნიერების ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი წარმატებაა („ეკონომისტი“, 1980, № 7).

* * *

პ. გუგუშვილი აქტიური მონაწილეა 1951 წ. ნოემბერს სსკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს პროექტის გარშემო მოსკოვს მოწყობილი დისკუსიისა. აქ მან თავის გამოსვლაში, აგრეთვე როგორც სარედაქციო კომისიის წევრმა და სექციის ერთერთმა ხელმძღვანელმა გააკეთა რიგი შენიშვნა სახელმძღვანელოს პროექტის გაუმჯობესებისათვის და წარმადგინა კონკრეტული მასალები და დებულებები, რომლებმაც ასახვა პოვეს სახელმძღვანელოს საბოლოო ტექსტში. როგორც ცნობილია, ეს იყო პოლიტიკური ეკონომიის პირველი სრული მარქსისტული სახელმძღვანელო საერთოდ.

პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს (რომლის ქართული თარგმანი 1954 წელსვე გამოიცა პ. გუგუშვილისა და ი. ბაჭაძის რედაქციით) გამოქვეყნების შემდეგ მისი საჯარო განხილვა მოეწყო მოსკოვსა და ლენინგრადში, კიევისა და თბილისში. ავტორების მონაწილეობით თბილისში 1955 წ. აპრილს ჩატარებულ ამ წიგნის განხილვისადმი მიძღვნილ დისკუსიას ხელმძღვანელობდა პ. გუგუშვილი, რომელმაც აქაც წამოაყენა რიგი მოსაზრებანი სახელმძღვანელოს შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს პროექტის განხილვისას 1951 წ. ნოემბერს პ. გუგუშვილის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციებისა და კრიტიკული შენიშვნების მნიშვნელობის თვალსაზრისით, მაგალითისათვის, საკმარისია ითქვას, რომ მან პირველმა მიაქცია ყურადღება, რომ სახელმძღვანელოს პროექტის თითქმის მთელი საილუსტრაციო ფაქტობრივი მასალა წარმოდგენილი იყო დასავლეთის ქვეყნების სახალხომეურნეობრივი ცხოვრების ისტორიიდან.

ამ ასპექტში მის მიერ გაკეთებული შენიშვნებიდან ერთ-ერთი შეეხებოდა ეკონომიისა და მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოებში (კურსებში) მანამდე გაბატონებულ ევროპოცენტრულ თვალსაზრისს, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ეს სახელმძღვანელოები არსებითად მხოლოდ დასავლეთის ქვეყნების ცივილიზაციის ისტორიის საკითხებს აშუქებდნენ.

პ. გუგუშვილმა მიუთითა იმ უდიდეს როლზე, რასაც თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში თამაშობენ აღმოსავლეთის ქვეყნები და დააყენა საკითხი ამ ქვეყნების სახალხომეურნეობრივი და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან აღებული ფაქტობრივი მასალებით გაემდიდრებიათ პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელო.

* * *

დიდ ყურადღებას იმსახურებს პ. გუგუშვილის ნაშრომები ხალხთოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“ (1973). მონოგრაფიული გამოკვლევებისათვის არაჩვეულებრივად დიდი ტირაჟით (20 000) დაბეჭდილი ეს ნაშრომი ერთბაშად გაქრა წიგნის ბაზარზე; მან მკითხველთა უძარტესად ფართო გამოხმანერება და ღრმა დაინტერესება გამოიწვია და არა თუ მხოლოდ საქართველოში.

საკმარისია ითქვას, რომ ამ მონოგრაფიის ვრცელი რუსული რეზიუმე სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ (1974 წ.) — ბეჭდურად გამარავლა და სათანადო მიითებებით გაუგზავნა საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ყველა სტატისტიკურ ორგანოსა და ბიბლიოთეკებს. ესოდენ დიდი ყურადღება იშვიათად თუ რგებია საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებში გამოცემულ წიგნს, არა თუ საქართველოში, არამედ საერთოდ საბჭოთა კავშირში.

რეცენზენტის პროფ. გ. ჭანუყვაძის დასკვნით „სარეცენზიო ნაშრომი დაწერილია პრობლემის ღრმა ცოდნით, მდიდარი და მრავალფეროვანი ლიტერატურისა და სტატისტიკური მასალის კრიტიკული ანალიზის საფუძველ-

ზე. იგი წარმოადგენს დიდმნიშვნელოვან, საინტერესო და სასარგებლო გამოკვლევას“ („ეკონომისტი“, 1974, № 12).

მოკლედ მაგრამ გულისხმიერებით გამოეხმაურა ამ წიგნს მწერალი-აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია:

„...მე ვესწრებოდი თბილისის უნივერსიტეტში პაატა გუგუშვილის მიერ 1940 წელს სადოქტორო დისერტაციის დაცვას და ახლაც კარგად მახსოვს ის მაღალი შეფასება, რაც მისმა ოფიციალურმა ოპონენტებმა და, კერძოდ, მისმა მასწავლებელმა, ჩვენი უნივერსიტეტის მთავარმა ფუძემდებელმა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა მისცა თავისი სახელოვანი მოწაფის პაატა გუგუშვილის დისერტაციას და საერთოდ მის მეცნიერულ შემოქმედებას... მას მერმე პაატა გუგუშვილმა თავისი უაღრესად ნაყოფიერი მუშაობით პოლიტიკური ეკონომიის, სოციოლოგიის, სტატისტიკის, დემოგრაფის პრობლემებზე გამოცემული ღრმამეცნიერული გამოკვლევებით — გაამდიდრა და აამაღლა არა მხოლოდ ქართული, არამედ საერთოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შესაბამისი დარგები...“.

დიდად სასურველია „... ქართველმა მკითხველმა ყურადღებით წაიკითხოს, წაიკითხოს კი არა შეისწავლოს, და ჩვენი ერის მომავლის თვალსაზრისით ღრმად გაიაზროს ამ წიგნში წარმოდგენილი მსჯელობა და მთელი ფაქტობრივი მასალა ქართველი ხალხის გამარავლების მდგომარეობის თაობაზე... ძლიერ მიხარია, რომ შესაძლებლობა მაქვს ქართველ მკითხველს, ჩემს მკითხველს ვუჩიოთ ეს წიგნი, რომელიც საესებით იმსახურებს საპატო ადგილი ეჭიროს ყოველი ოჯახის შინაურ ბიბლიოთეკაში, დღენიადაგ საკითხავ და სწორედ ოჯახისათვის სახელმძღვანელო წიგნთა შორის“ (გაზ. „კომუნისტი“, 1974, № 40).

* * *

1950-იანი წლებიდან, ახალი ინდუსტრიული რევოლუციის აღმავლობის ვითარებაში დიდი ძვრები დაიწყო მსოფლიო ჰუმანიტარულ მეცნიერებაშიც, რომელთა შესაბამისად სსრ კავშირში დაიწყო სოციოლოგიური კვლევა-ძიების სწრაფი გააქტიურება. შეიქმნა საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაცია, რომლის პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს პ. გუგუშვილი. 1959 წელს სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესის მუშაობაში პირველად ღებულობს მონაწილეობას ხუთი კაცისაგან შემდგარი საბჭოთა მიცნიერების დელეგაცია. პ. გუგუშვილი, ხსენებული დელეგაციის წევრი, ამ რიგით IV, მსოფლიო კონგრესზე (იტალია—მილანო—სტრეზა), გამოდის მოხსენებით: „მრეწველობის ფორმათა სოციოლოგიური კლასიფიკაცია“.

სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესის მუშაობის შემაჯამებელ პლენარულ სხდომაზე კონგრესის ყველა სექციის მიერ მოსმენილ მოხსენებათაგან, პრობლემის მენციერული შესწავლილობისა და ანალიზის სიღრმის მხრივ, აღინიშნა ათიოდე მოხსენება, — რომელთაგან ერთი პ. გუგუშვილისა იყო, იგი იქვე აირჩიეს მსოფლიო სოციოლოგიური ასოციაციის საბჭოსა და აღმასკომის წევრად.

იმ დროიდან მოყოლებული პ. გუგუშვილი სისტემატურად მონაწილეობს ეკონომიკისათა და სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესების, აგრეთვე სხვა სპეციალურ საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და კონფერენციების მუშაობაში, სადაც, როგორც

წესი, დიდ ინტერესს იწვევენ მისი მოხსენებები ეკონომიკური განვითარებისა და შრომის მწარმოებლურობის ტემპების, სოციალურ-ეკონომიკური გეგმიანობისა და პროგნოზების საკითხის, ოჯახის ფორმირებისა და მოსახლეობის აღწარმოების პრობლემათა და სხვ. შესახებ. პ. გუგუშვილის ეს მოხსენებები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და სხვა ენებზე.

საერთოდ 1960-იან წლებში გამოქვეყნებული პ. გუგუშვილის სოციოლოგიური გამოკვლევების ნაწილის კრებული 1971 წელს გამოიცა ორ ტომად: „სოციოლოგიური ეტიუდების“ სახელწოდებით.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გაზეთის სარედაქციო სტატიამი ვკითხულობთ, რომ ავტორი „... ახალი საბჭოთა სოციოლოგიური ლიტერატურის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწეა. მისი „სოციოლოგიური ეტიუდები“ ფართო დიაპაზონისა და დიდი ერუდიციის შემოქმედის პროდუქტია და ცხოველი ინტერესით იკითხება...“. ეტიუდებში მოთავსებული „საქართველოს მოსახლეობა 160 წლის მანძილზე“ ქართული დემოგრაფის ფქმდებლური ნაშრომისა, მასში მეცნიერულად არის გაშუქებული ქართველი ხალხის რაოდენობრივი განვითარების სამანები. ეს ისეთი გამოკვლევაა, რომელიც ქართველი ერის ყოველმა მოჭირნახულემ დიდი გულმოდგინებით უნდა წაიკითხოს („სამშობლო“, 1971, № 14).

„ეტიუდებში“ შევიდა კერძოდ სოფლის ახალგაზრდობის შრომის ორგანიზაციისა და პროფესიული ორიენტაციის შესახებ ნარკვევები. „...არსებითად ის არის მასობრივი ანკეტური გამოკითხვის (10 000 ანკეტა, 200 000 პასუხი) საფუძველზე დაწერილი პირველი ქართული სოციოლოგიური გამოკვლევა“ („სამშობლო“, 1971, № 14).

პროფ. ბ. ხასიას დასკვნით „სოციოლოგიური ეტიუდები“ (I და II ტომები) საბჭოთა სოციოლოგიური ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია, ამ შრომებით საქართველოში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ახალ მიმართულებას საზოგადოებათმეცნიერებაში“ (ყურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1972, № 6, გვ. 73).

* * *

1972 წ. იბეჭდება პ. გუგუშვილის წიგნი „გეგმიანობისა და პროგნოზირების თეორიული ასპექტები“¹, რომელმაც ფართო გამოხმაურება გამოიწვია არა თუ ადგილობრივ და ცენტრალურ საბჭოთა, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ ეკონომიკურ და სოციოლოგიურ პრესაშიც.

ვიჩინიის უნივერსიტეტის პროფესორი ჯ. კოლეჯა თავის ვრცელ რეცენზიაში აცხადებს: წიგნის ავტორი „ღრმად განათლებული საბჭოთა მეცნიერი“ საკითხის ცოდნით აცხადებს, რომ „დასავლეთის ქვეყნებში (მაგალითად, საფრანგეთი, ჰოლანდია, ისევე როგორც აშშ და იაპონია) გარკვეულ პოპულარობას მიაღწია ფუტუროლოგიურმა კვლევამ“... პროფ. გუგუშვილი

¹ Г у г ш в и л и П. В., Теоретические аспекты планирования и прогнозирования, 1972.

ამტიკებს, რომ ეს მეცნიერული შრომები, ისევე როგორც გეგმიანობა და პროგნოზირება, რაც ტარდება, მაგალითად „საერთო ბაზრის“ ქვეყნებში, განწირულია: მაინც ქებას იმსახურებს, რომ პროფ. პ. გუგუშვილი მიუთითებს უმთავრესად დასავლეთის ლიტერატურას გრძელვადიანი გეგმიანობის პრობლემების შესახებ, მას საფუძვლიანად შეუსწავლია წიგნები, რომლებიც წინასწარმეტყველებენ, თუ როგორი იქნება მსოფლიო 2000 წელს...“.

—...მაგრამ ავტორი უარყოფს არასოციალისტურ ქვეყნებში გეგმიანობის შესაძლებლობას, თუმცა ჩანს, რომ პროფ. გუგუშვილს საკმაო ცნობები მოეპოვება, რომ ამ ქვეყნებშიც ბევრი რამ კეთდება გეგმიანობის სფეროში, მაგრამ განსხვავებული განზომილებითა და სხვა მეთოდებით; რასაკვირველია ის ამის შესახებ კარგადაა ინფორმირებული“.

დასასრულ, რეცენზენტი აცხადებს „უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ თანდათანობით მასთან და ჩვენთანაც სულ უფრო და უფრო მეტი შესაძლებლობა იქნება ვიმსჯელოთ გეგმიანობის საკითხებზე და ნაკლებად შეზღუდული ვიქნებით პოლიტიკური ორიენტაციის მხრივ“, — ირწმუნება კონვენციის თეორიის ცნობილი მქადაგებელი ამერიკელი პროფესორი.

ამას გარდა პ. გუგუშვილის თანაავტორობითა და რედაქციით სამჯერ გამოიცა დიდი კრებული „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა“ (1961, 1967, 1972 წწ.), ამავე სახით 1971 წ. რუსულად გამოიცა „საქართველოს სსრ“ — ხუთ წიგნად: 1. ისტორიულ-ეკონომიკური ნარკვევი, 2. ინდუსტრია, 3. სოფლის მეურნეობა, 4. კულტურა, 5. ხალხის მატერიალური კეთილდღეობა; ქართულად კი დაიბეჭდა ერთ წიგნად — „საქართველოს სსრ“ (1971, თბ.).

ამ სამუშაოს პარალელურად მიმდინარეობდა 1801-1921 წწ. საქართველოსა და ამიერკავკასიაში სოფლის მეურნეობისა და აგრარულ ურთიერთობათა განვითარებისა და, მასთანამე, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ამსახველი და მამხილებელი პირველწყაროების, საარქივო დოკუმენტების გამოვლინება და შესწავლა (დაიბეჭდა ოთხი ტომი).

* * *

დიდია პ. გუგუშვილის დამსახურება ქართული სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავების სფეროში. ამ პრობლემებზე პ. გუგუშვილმა მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში, როდესაც ჟურ. „საქ. ეკონომისტში“ (1928 წ. № 6) გამოაქვეყნა სტატია აღრიცხვისა და კომერციული ტერმინოლოგიის შესახებ.

20 წლის შემდეგ, 1947 წ. ეკონომიკისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტების გრიფით გამოცემული „ეკონომიკის ტერმინოლოგია“ (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული) შედგენილია პ. გუგუშვილის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე. ამ ტერმინოლოგიის გარშემო დღემდე გაგრძელებული დისკუსია მოწმობს, რომ იგი შეიქმნა მთელი მოსაბრუნო ქართული საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერების, სოციალურ-ეკონომიკური აზრის გაწვითარების ისტორიაში“.

„ეკონომიკური ტერმინოლოგია“ (შედგენილი პ. გუგუშვილისა და პ. კუჭაიძის მიერ, 1947) გამოიწვია ფართო დისკუსია. ამას გარდა დაიბეჭდა მრავალი საგაზეთო და საკურნალო სტატია, ცალკე

ბროშურა. პაექრობის საგანი შეიქმნა არა თუ ცალკეული რუსული ტერმინების ქართული ექვივალენტური შესატყვისები, არამედ თვით მეცნიერული ცნებები და კატეგორიები, რაც ამ ტერმინებში იყო ასახული და რამაც გამოავლინა დისკუსიაში მონაწილე სწავლულთა ძალების მეცნიერული აზროვნების დონე და შესაძლებლობა... ამ გარემოებამ, საბოლოო ანგარიშით, დიდად შეუწყო ხელი ქართული ეკონომიკური და საერთოდ იდეოლოგიურ მეცნიერებათა კადრების დონის შესამჩნევ ამაღლებას და განვითარებას. აქ ირჩევენ მსოფლიო სოციოლოგიური ასოციაციის საბჭოსა და აღმასკომის წევრად. ამ დროიდან იგი აქტიურად მონაწილეობს სოციოლოგთა და ეკონომისტთა მრავალი მსოფლიო კონგრესის მუშაობაში.

3. გუგუშვილის ცალკე წიგნად გამოცემული მთავარი სოციოლოგიური ნაშრომებია „თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის შესახებ“ (1960, 1966), „სოციოლოგიური ეტიუდები „ორი ტომი“ (1970, 1971); „ახალგაზრდობის სოციოლოგიის საკითხები“ (1981). მან წამოიწყო აგრეთვე პერიოდული გამოცემა კრებულებისა „სოციოლოგიისა და დემოგრაფიის პრობლემები“, ტ. I (1980), ტ. II (1984), ტ. III (1987).

3. გუგუშვილმა პირველმა მოაწყო საქართველოში ანექტური გამოკითხვის მონაცემთა ფართო მობილიზაცია სოფლის ახალგაზრდობის სოციოლოგიური შესწავლისათვის (1965) — შრომითი რესურსებისა და პროფესიული ორიენტაციის ასპექტში.

აკადემიკოსი პ. გუგუშვილი ავტორია ხუთასამდე ნაშრომისა, რომელთაგან 50-ზე მეტი ცალკე წიგნად გამოცემული. ისინი ეძღვნება უმთავრესად პოლიტიკური ეკონომიის, ეკონომიკური აზრისა და სახალხო მეურნეობის ისტორიის, სტატისტიკის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ბიბლიოლოგიის, საბჭოთა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა პრობლემებს. მისი შრომები და მათზე დაწერილი ასზე მეტი რეცენზია-ბიბლიოგრაფია დაბეჭდილია ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და უცხოურ ენებზე.

საკირთა აღინიშნოს, რომ პ. გუგუშვილმა, როგორც მეცნიერმა ადრე მიაღწია საერთაშორისო აღიარებას. მაგალითად, 1964 წელს, ისტორიკოსთა მსოფლიო კონგრესის მზადების წინა ხანებში განთქმული იტალიელი მეცნიერის ფრანჩესკო ვენტურისადმი — საბჭოთა ჰუმანიტარული მეცნიერების დიდმნიშვნელოვანი მიღწევების შესახებ, — ღია წერილში, რომელიც ერთდროულად გამოქვეყნდა რუსულ და იტალიურ ენებზე, აკად. მ. დრუჟინინი კერძოდ ეკონომიკურ ურთიერთობათა პრობლემებზე საბჭოთა მეცნიერს. სტრუმილინს, პ. ლიაშჩენკოს და პროფ. პაატა გუგუშვილს.

აკად. გ. ლონიძის საერთო დასკვნით „თავის ერუდიციასთან ერთად პაატა გუგუშვილი უნდა უმაღლოდეს ქართული კულტურისა და მეცნიერების ჭეშმარიტი კორიფეების, მისი ხსენებული სამივე მასწავლებლის (ივ. ჯავახიშვილი, ფ. გოიჩაიშვილი, ნ. ნიკოლაძე) ამაგსა და მზრუნველობას, რომ მისთვის სიჭაბუქეშივე ფართოდ გაიღო მეცნიერების მაღალი კარები, რომ მან სტუდენტობის წლებშივე შესძლო დაეწერა და დაებეჭდა 380 გვერდიანი ნაშრომი, რომელშიც ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი დარგის, ქართული ბეჭდვითი სიტყვის, სტამბური წიგნის მრავალჭირნახული ისტორიაა გაშუქებული და რომ საქართველოს სსრ განათლების კომისარიატმა

ქართული სტამბური წიგნის სამასი წლისათვის იუბილეს აღსანიშნავად ეს წიგნი გამოცემა“ („კომუნისტი“, 1965, № 300).

კ. გამსახურდია სხვათაშორის წერდა: „აკად. პ. გუგუშვილმა „...თავისი ხანგრძლივი ფრიად ნაყოფიერი მოღვაწეობით მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებას... სადაც ნამდვილად სისტემატური კვლევა-ძიების ტრადიცია დააფუძნა თავისი მრავალი სქელტანიანი ტომით, დიდმნიშვნელოვანი საკითხების წამოყენებით და გაშუქებით, ახალი კადრების აღზრდით, ეკონომიკის ინსტიტუტის ორგანიზაციით, თვით მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავებითა და სხვ. შექმნა საბჭოური ეკონომისტების ქართული სკოლა, რომელიც საერთოდ დიდი საბჭოური მეცნიერების მოწინავე რიგებში დგას“ („ლიტერატურული საქართველო“, 1963, № 28; რჩ. თხზულებანი, ტ. VII, 1965, თბ., გვ. 292—304).

აკად. პაატა გუგუშვილი ავტორია 500-მდე ნაშრომისა, მათ შორის 120-ზე მეტი მონოგრაფიისა. მისი ხელმძღვანელობით დაიწერა 80-მდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. ის იყო 100-ზე მეტი დისერტანტის ოფიციალური რეცენზენტი და ოპონენტი. მისი ნაშრომები და მათ შესახებ დაწერილი 150-ზე მეტი რეცენზია, ბიბლიოგრაფია და შენიშვნები დაბეჭდილია ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, უკრაინულ, ჩეხურ, პოლონურ, უნგრულ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და სხვ. ენებზე.

აკად. პაატა გუგუშვილმა საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების, გეგმიანობის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ბიბლიოლოგიის, ეკონომიკური და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის და სხვ. პრობლემებზე გამოქვეყნებული ფუძემდებლური ნაშრომებით, სწავლული ეკონომისტების კვალიფიკური კადრების მომზადებით, აკადემიის სისტემაში ეკონომიკის ინსტიტუტის ორგანიზაციით, მეცნიერული კვლევის მდიდარი ტრადიციების დამკვიდრებით, მისივე თაოსნობით ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ აღდგენით, ახალი ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებით საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა ეკონომისტების ქართულ სკოლას, რომელიც როგორც ზემოთ აღინიშნა, აღიარებულია სსრ კავშირში და საზღვარგარეთაც, რაც დასტურდება იმითაც, რომ „ამიერკავკასიის უძველესი ეკონომიკური მეცნიერული კვლევის ცენტრია — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი. საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოს სსრ-დან შეიტანა... პ. გუგუშვილმა

1973 წლიდან აკად. პ. გუგუშვილი ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთმოსახლეობის სოც.-ეკონომიკურ პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს, რომელიც სწავლობს მოსახლეობის აღწარმოების პროცესს, რათა შემუშავებულ იქნას დემოგრაფიული სიტუაციის შესაბამისი პრაქტიკული რეკომენდაციები.

პ. გუგუშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავების სფეროში. 1947 წელს პირველად გამოქვეყნდა „ეკონომიკის ტერმინოლოგია“; შემდეგ კიდევ გამოიცა აკად. პ. გუგუშვილს „ეკონომიკური ტერმინოლოგიისა და მეცნიერული თარგმანისათვის“ (1952), „დემოგრაფიული ტერმინოლოგიის საკითხები“ (1975, 1984) და სხვ.

აკად. პ. გუგუშვილი იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და მისი ეკონომიკური სექციის თავმჯდომარე; ივ. ჯავახიშვილის თხზულებათა თორმეტტომეულისა და მისივე „საქართველოს შინაშეწვევლობისა და ხელოსნობის ისტორიის“ ხუთტომეულის სარედაქციო კოლეგიის წევრი; ფ. გოგიჩაიშვილის „რჩეული ნაწერების“ ორტომეულის რედაქტორი.

პ. გუგუშვილი იყო ქართული სასტამბო შრიფტის გაუმჯობესების კომიტეტის, რესპუბლიკის საგეგმო კომისიის, საზღვარგარეთთან მეგობრობისა და კულტურული კავშირების საზოგადოების გამგეობის, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების გამგეობის, თბილისისა და მოსკოვში რიგი სამეცნიერო დაწესებულებების, უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო საბჭოების წევრი და სახალხო უნივერსიტეტის რექტორი.

დიდი ღვაწლი მიუძღვის პ. გუგუშვილს სამეცნიერო კადრების მომზადებაში, მისი ხელმძღვანელობით დაიწერა და დაცულია დაახლოებით 100 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. მის მოწაფეთაგან ბევრია მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი.

აკადემიკოს პ. გუგუშვილის თაოსნობით და ზემდგომი ხორგანოების აქტიური მხარდაჭერით შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი (1944 წ.), რომელიც დიდ როლს ასრულებდა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში.

Б. А. ХАСИЯ, Вл. ПАПАВА

Резюме

Доктор экономических наук, профессор, заслуженный деятель науки, академик П. В. Гугушвили является автором до пятисот трудов, более 50 из которых изданы отдельными книгами. В основном они посвящены различным проблемам политической экономики, истории экономической мысли и народного хозяйства, статистики, социологии, демографии, библиологии, вопросам социально-экономического развития Советской Грузии.

В 1927 году П. В. Гугушвили окончил социально-экономический факультет Тбилисского государственного университета по специальности экономист-финансист. В 1938 году ученый совет ТГУ по представлению профессоров Ф. Гогичаишвили, Г. Натадзе и М. Поликтова, на основе опубликованных трудов, без защиты диссертации, ему присвоил ученую степень кандидата экономических наук.

С 1950-х годов в СССР началась активизация социологических исследований, была создана Советская социологическая ассоциация, членом президиума которой избирают П. В. Гугушвили. В 1959 году в работе IV Всемирного социологического конгресса (Италия-Милан, Стреза) он выступает на этом конгрессе с докладом, где избирают его членом Совета и Исполкома Всемирной социологической ассоциации. С этого времени он активно участвует в работе многих всемирных конгрессов социологов и экономистов.

Благодаря неутомимой деятельности П. В. Гугушвили был создан Институт экономики и права АН ГССР (1944 г.), который играет большую роль в развитии экономической науки, в подготовке кадров, разработке важнейших проблем народного хозяйства.

ფილი 2 მან.

6 35/128

ინდექსი


ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა
76196